# საქართველოს რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 19 იანვარი, 2005 წელი. №14 (5047) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

◎ იუბილე

ნინო რამიშვილის დაბადების 95 წლისთავი



## ცოცხალ ლეგენდებს ლეგენდები მოჰყვებათ მემკვიდრეობად...

**მათი რომანტიკა არარომანტიკულ გარემოში აღმოცენდა და ის ორი არსება, ერთმანეთს ოპერის თეატრში შეხვდა... აქედან დაიწყო ლეგენდა და ეს ლეგენდა დროსა და სივრცეში მარადიული თვისობრიობით შეიმოსა. აქედან დაიწყო ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის დიდი ეპოქა, „სუხიშვილების“ ეპოქა, რომელიც ასოციურად იყო თავისუფლება, როგორც ჩაკეტილი სივრციდან ოცნებაში გაჭრილი მისტიკა.** მათ სახელს მუდამ თან სდევდა ხმაური, წარმატება თუ მძვინვარება. თუმცა, აღტკინებული ვნებათაღელვა ასე იოლად არ მოდიოდა, კულისებს მიღმა რუტინული შრომა, ფანატიკური სიყვარული, შიშველი ენთუზიაზმი, ან კიდევ, ახალგაზრდული მაქსიმალიზმი სუხიშვილისეული ქორეოგრაფიის მითსა თუ რეალობას ჰქმნიდა და მაშინ, როდესაც ამ ორი ვარსკვლავის შემოქმედებაზე დასავლეთ ევროპა ლეგენდებს აგებდა, მსოფლიოს უმკაცრესი პრესა „სუხიშვილებზე“ აი, რას წერდა:

„მსოფლიოს მერვე საოცრება!“... „თავსდამტყდარი გიჟური ტორნადო!“, „ძალისა და სინატიფის უზადო დემონსტრაცია!..“ „მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილი!“.. „ფანტასტიკა! ცეცხლი! ელექტრონი!“.. „პოეზია და ცეცხლოვანება!“, „უდიდესთა შორის უდიდესნი!.

იხ. მე-8 გვ.

## ნომერში წაიკითხავთ:




### ეს არის მდგომარეობა, როცა დემოკრატიული გადაგვარებით ცივილური გადაშენებისკენ ფეხაწყობილად მივდივართ

თაობა, რომელიც თავის თავს არ იცნობს ერის წარსულში, გაუნათლებელი და უკულტუროა.

მე-3 გვ.



### ახალი წლის სიურპრიზები

ფასების გაზრდა ნებისმიერი მყიდველისთვის უსიამოვნო ფაქტია, რასაც ხშირად ხელისუფლების მიმართ პრეტენზიებით გამოთქვამენ. უბრალო მოქალაქისთვის არა აქვს მნიშვნელობა, მთავრობას ამ პროცესში რა წვლილი მიუძღვის.

მე-4 გვ.


◎ დღე

## უტყუარად მხოლოდ ის არის დადგენილი, რომ დივერსანტებმა ქართულად დაწერილი ბარათი დატოვეს

**გუშინ საგანგებო რეჟიმში მუშაობდა ქუთაისის კოპიტნარის აეროპორტი.** შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის გიგი უგულავას და ენერგეტიკოსთა ჯგუფის წევრების მისვლა-მოსვლა და ფაცი-ფუცი აშკარად მიუთითებდა, რომ საქმე „ფარსაგად“ იყო. მართლაც: კოდორის ხეობაში დაზიანდა რუსეთთან დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი“, რის გამოც რუსეთიდან 350 მეგავატის იმპორტი შეწყდა, რამაც ქვეყნის ენერგომომარაგება მნიშვნელოვნად შეაფერხა.

რა იყო ეს: დივერსია თუ კლიმატური პირობების გაუარესების შედეგი?

იხ. მე-2 გვ.

◎ დღესასწაული

## დღეს ნათლისღებაა, გილოცავთ!



ეს დღესასწაული იესო ქრისტეს ნათლობას ასახავს. ამ დღეს მე ღვთისა მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემელმა მონათლა.

„იესო ქრისტე წმინდა და უცოდველი იყო, მაგრამ მაინც მოინათლა, რათა ეჩვენებინა ნათლობის აუცილებლობა. ნათლობისას გვენიჭება მადლი, რომელიც განგვწმენდს ცოდვებისაგან.“

◎ პრეზიდენტი

## იმსჯელეს ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე

**გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია სახელმწიფო კანცელარიაში რუსეთის „ვნეშტორგ ბანკის“ მმართველობის თავმჯდომარეს ანდრეი კოსტინს შეხვდნენ.**

შეხვედრაზე ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე და საფინანსო სფეროში ურთიერთობათა განვითარებაზე იმსჯელეს.

როგორც ცნობილია, „ვნეშტორგ ბანკმა“ „გაერთიანებული ქართული ბანკის“ აქციათა 51 პროცენტი შეიძინა. რუს ბიზნესმენებს იმედი აქვთ, რომ მსგავსი თანამშრომლობა ქართულ მხარესთან მომავალშიც გაგრძელდება.

## რწმუნებათა სიგელები გადასცეს

**გუშინ საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს სახელმწიფო კანცელარიაში რწმუნებათა სიგელები გადასცეს ჩინეთის ახალმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ვან კაიბენმა, ასევე ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა შაფთალ ცურმა და იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ტატა ჰარი აბემ.**

მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ მომავალში საქართველოს და ამ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა გაღრმავდება.



## შეხვედრა საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან

**გუშინ საქართველოს პრეზიდენტი სახელმწიფო კანცელარიაში საპარლამენტო უმრავლესობის ერთ ნაწილს შეხვდა.**

როგორც შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ განუცხადა, პრეზიდენტთან შეხვედრისას დეპუტატებმა ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, მათ შორის დასაქმებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხები განიხილეს.

ინტერ-პრესი.

◎ პარლამენტის თავმჯდომარე

## რუსეთის ხელისუფლებას ამხელს

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ რუსეთის ოფიციალური წრეების წარმომადგენელთა მიერ საქართველოსთან მიმართებაში ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებს „სამწუხარო რეალობა და უპასუხისმგებლო განცხადებები“ უწოდა.**

პანკისის ხეობაში ჩეჩენი და საერთაშორისო ტერორისტების არსებობასთან დაკავშირებით რუსეთის ოფიციალური წრეების განცხადებებს პარლამენტის თავმჯდომარემ დღეს სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა.

ბურჯანაძის განცხადებით, გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ რუსეთი ამდენი ხნის შემდეგ კვლავ ალაპარაკდა პანკისის ხეობაში ჩეჩენი და საერთაშორისო ტერორისტების არსებობის თაობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ინტერესებში შედის საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავება.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, მაშინ, როცა ოფიციალური მოსკოვის მხრიდან საქართველოსთან სახელმწიფო საზღვარზე ეუთოს მონიტორინგის მისიის გაგრძელება დაიბლოკა, ჩრდილოელი მეზობელი პანკისის ხეობაში ტერორისტების არსებობაზე ალაპარაკდა.

ბურჯანაძის განცხადებით, თუ რუსეთს ეჭვი აქვს პანკისის ხეობაში ტერორისტების არსებობის თაობაზე, მაშინ საზღვარზე საერთაშორისო მონიტორინგის განხორციელებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

### ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა რუსეთის ელჩი მიიღო

**გუშინ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი მიიღო.**

რუსი დიპლომატის განცხადებით, გუშინდელ შეხვედრაზე ქართულ-რუსული ურთიერთობების მოწესრიგების პერსპექტივებზე და იმ პრობლემებზე იმსჯელეს, რაც საქართველოსა და რუსეთს შორის დაგროვდა.

ჩხიკვიშვილის თქმით, რუსეთის მხარე საქართველოში თავისი სამხედრო მოსამსახურეებისთვის გამარტივებული სავიზო რეჟიმის შემოღებით არის დაინტერესებული და ამ საკითხში საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერისა და თანამშრომლობის იმედი აქვს.

რაც შეეხება რუსეთის საელჩოს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებას, რომელშიც იგი პანკისში ჩეჩენი მოთარეშეებისა და საერთაშორისო ტერორისტების ყოფნაზე მიუთითებდა, მისი კომენტარებისგან ჩხიკვიშვილმა თავი შეიკავა.

### ავარიის ლიკვიდაციის ვადებს ვერ ასახელებენ

**რუსეთთან დამაკავშირებელ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზზე „კავკასიონზე“ მომხდარი ავარიის ლიკვიდაციის ვადებს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ვერ ასახელებს.**

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გილაურმა აღნიშნა, „დაზიანების ადგილის აღმოჩენის შემდეგ გაირკვევა, კონკრეტულად რა დრო დასჭირდება გადამცემი ხაზის აღდგენას. ამიტომ, საღამოს საათებში საქართველოს რეგიონების ელექტრომომარაგება შეზღუდვებით განხორციელდება“, – განაცხადა მინისტრმა.

თბილისის ენერგოგამანაწილებელი კომპანია „თელასი“ წარმოქმნილ დეფიციტს რაიონების მიხედვით თანაბრად გადაანაწილებს“, – განაცხადა გილაურმა.

რაც შეეხება დივერსიის მოტივებს, როგორც მინისტრმა აღნიშნა, გილაურის თქმით, უკვე მიმდინარეობს მოკვლევა, რომელსაც შს სამინისტრო აწარმოებს.

### წითელი ჯვარი – დევნილებს

**წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო კომიტეტი დასავლეთ საქართველოში დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში 2005-2006 წლებში სარეაბილიტაციო სამუშაოებს ჩაატარებს.**

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ეთერ ასტემიროვას ინფორმაციით, 20 იანვარს იგი საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელთან პოლ კასტელასთან ერთად ხელს მოაწერს ურთიერთგაგების მემორანდუმს დასავლეთ საქართველოში კოლექტიური ჩასახლების ადგილებში სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ, რომელიც დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებში სარემონტო სამუშაოების განხორციელებას ითვალისწინებს.

მისივე თქმით, ხელმოსაწერად მომზადებული მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი 2005-2006 წლებში დევნილთა ჩასახლების ობიექტებში შეაკეთებს სახურავებს, ელექტრო და წყალგაყვანილობის სისტემებს და წესრიგში მოიყვანს სველ წერტილებს.

ინტერ-პრესი.

◎ ცხელი თემა

## თავად რუსეთი არ მისცემს საშუალებას აფხაზეთს, რომ იგი მას შეუერთდეს

### ამბობს ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის თავმჯდომარე ნოდარ სარჯველაძე

**– ბატონო ნოდარ, უკვე გამოქვეყნდა ნდობის შენების თქვენეული კონცეფცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში. იგი გადაუგზავნეთ, აგრეთვე, უშიშროების საბჭოს. მაინც რა წინაპირობა უნდა უძღვოდეს ნდობის შენებას ქართველებსა და აფხაზებს შორის?**

– დღეს მრავალთა განსჯის საგნად იქცა საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობა. ამაზე უკვე სერიოზული დავაა: ერთნი ფედერალისტურ მოდელს ანიჭებენ უპირატესობას, მეორენი – უნიტარულ მოწყობას. მაგრამ სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხამდე ჯერ ქართულ-აფხაზური დიალოგი უნდა შედგეს, ნდობის შენების გზაა გასავლელი.

ნდობის შენების ჩემეული კონცეფციის მიხედვით, ოთხი წინაპირობა უნდა შესრულდეს.

პირველი წინაპირობა ასეთია: ქართულმა მხარემ დოკუმენტურად უნდა აღუთქვას და შეუთანხმდეს აფხაზებს, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებს სამხედრო ძალას და არ შეეცდება პრობლემის იარაღით გადაჭრას, რომ მხარეები მხოლოდ მშვიდობიან გზას აირჩევენ. ეს არის მთავარი.

მანამდე არსებობდა გაბატონებული ფორმულა: „ჩვენ მზად ვართ, კონფლიქტი გადავწყვიტოთ მშვიდობიანი და პოლიტიკური მოლაპარაკების გზით, მაგრამ თუ მშვიდობიანი მოლაპარაკების რესურსი ამოიწურა, მაშინ სამხედრო ძალა უნდა გამოვიყენოთ“. ეს ფორმულა თავისებურ მუქარას შეიცავს და აფხაზურ მხარეს საშიშროებისგან თავდაცვის პოზიციაში აყენებს. ხოლო დაშინებულ ადამიანს, ბუნებრივია, ნდობა არ გააჩნია. ამიტომ ჩვენი უპირველესი ამოცანაა, ქართულმა მხარემ აფხაზურ მხარეს თავდაუსხმელობისა და ძალის გამოუყენებლობის სრული გარანტია მისცეს.

იხ. მე-2 გვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**ანატოლი ციგანოკი, სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატი, სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი, სამხედრო დაპროგნოზების ცენტრის ხელმძღვანელი.**

„ვრემია ნოვოსტეი“, 18 იანვარი.

## პოლიტიკური ტყუპები რუსეთის საზღვართან



**მას შემდეგ, რაც უკრაინის და საქართველოს პრეზიდენტებმა ერთკვირიანი საშობაო არდადეგები გაატარეს კარპატის მთებში, მრავალი ექსპერტი უკვე გამოთქვამდა პროგნოზს ტყუპი პოლიტიკოსების – იუშჩენკოსა და სააკაშვილის მომავალი ერთობლივი ნაბიჯების შესახებ.** ორივე ლიდერი განეკუთვნება იმ ახალი ტიპის პრეზიდენტებს, რომლებიც გამოჩნდნენ XXI საუკუნეში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში. როგორც თვითონ ამბობენ, ისინი „ხსნიან ევროპის განვითარების ახალ ეტაპს“.

იუშჩენკოსა და სააკაშვილის პოლიტიკური შეხედულებები და მისწრაფებები არის ზომიერი ნაციონალიზმი, ორიენტაცია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებს, პოლიტიკური მსგავსების გარდა, საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტებიც აერთიანებთ: ორიენტაცია ნატოსთან და ევროკავშირთან თანამშრომლობაზე, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა ერაყში; ისინი, აგრეთვე, არ იზიარებენ რუსეთის საინტეგრაციო გეგმებს.

იხ. მე-2 გვ.

## ინტერპანორამა

ღაზას სექტორში „ჰამასმა“ ახალი ტერაქტი ჩაიდინა: დაშავებულია ექვსი ებრაელი. აფეთქება მოხდა სამშაბათ საღამოს. პალესტინელმა თვითმკვლელმა თავი აიფეთქა სამხედრო ობიექტის ახლოს.



ჟენევა და შვეიცარიის მთელი ფრანგულენოვანი ნაწილი შეშფოთებულია ვოს კანტონში მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ავარიის გამო. წინასწარი მონაცემებით, დაზიანება ელვის შედეგად მოხდა. ეს ყველაზე მასშტაბური ავარიაა ამ ალპური რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკაში 1995 წლიდან.



უკრაინის უმაღლესმა სასამართლომ პრეზიდენტის არჩევნების შედეგების გამოქვეყნების ნება დართო. პუბლიკაციის შემდეგ, რომელიც შეიძლება 20 იანვარს დაიბეჭდოს, იუშჩენკოს შეუძლია ინაუგურაცია ჩაატაროს. „კურთხევა“ ალბათ 22 იანვარს მოხდება.



CYAN MAGENTA YELOOW BLACK

საქართველოს რესპუბლიკა
№ 14, ოთხშაბათი, 19 იანვარი, 2005 წელი.

⊙ პრეზიდენტი

## თბილისი კიდევ უფრო რომ დამშვენდეს

**18 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში შეხვდა ქალაქ თბილისის ხელმძღვანელობას – დედაქალაქის მერს ზურაბ ჭიაბერაშვილს, ქალაქის პრემიერს თემურ ქურხულს, საკრებულოს თავმჯდომარეს ზაზა ბეგაშვილს და საკრებულოს წევრებს.**

ქვეყნის პირველმა პირმა ილაპარაკა თბილისის მომავალზე, დედაქალაქის ახალმშენებლობებზე, ისტორიულ ცენტრზე. თქვა, რომ წლეულს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ევროპული დონის გზების მშენებლობას. თბილისში ასევე აიგება საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც სიდიდით დღევანდელს ორჯერ აღემატება და იგი შეძლებს რამდენიმე მილიონი მგზავრის მომსახურებას.

ამას გარდა რესპუბლიკის მოედანზე იქნება



ახალი, ინტერტეინმენტ ცენტრი. არის მოთხოვნა, რომ ვაკეში აშენდეს ახალი, ულტრათანამედროვე ბიზნეს-ცენტრი.

საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრიორიტეტული იქნება სკოლების მშენებლობა. აშენდება რამდენიმე ევროსტანდარტის სკოლა და ყველაფერი იქნება ისე, როგორც ნებისმიერ ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ სკოლებშია.

მიხეილ სააკაშვილი მერს, აგრეთვე, რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს, რომლებიც განხორციელების შედეგად თბილისი კიდევ უფრო კეთილმოწყობილი და ლამაზი გახდება.

**საკუთარი ინფორმაცია.**

⊙ დღე

## უტყუარად მხოლოდ ის არის დადგენილი, რომ დივერსანტებმა ქართულად დაწერილი ბარათი დატოვეს

(პირველი გვერდიდან)

[illegible]

იმის შესახებ, რომ საჭიროების შემთხვევაში კოდორის ხეობაში შესაძლოა სპეცოპერაცია ჩატარდეს. სახელმწიფო კანცელარიაში ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემაც განაცხადა. თქვა ისიც, რომ ქვეყნის ძალოვანები იმ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რომელიც პრობლემას მოაგვარებს. თუმცა ამას გარკვეული დრო და საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

მკაცრი განცხადება გააკეთა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამაც: რამდენიმე ავანტიურისტმა „კავკასიონზე“ დივერსია განახორციელა. კოდორის ხეობა განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტია და ასეთ დროს ჩემთვის გაუგებარია ზოგიერთი ავანტიურისტის ქმედება. არავის მივცემთ ასეთი რამის გამეორების უფლებას.

ჯერჯერობით გამოკვეთილად არავინ ამბობს „დივერსანტთა“ ვინაობას. მაგრამ არის მინიშნება, რომ „კავკასიონის“ ცეცხლსასროლი იარაღით დაზიანება შეიძლება შეიარაღებულ სახალხო რაზმ „მონადირის“ (ის დღეს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია), ზოგიერთი წევრის ნამოქმედარი იყოს, რომლებიც განაწყენებული არიან ხელფასის დაგვიანების გამო. ყოველ შემთხვევაში, დაზიანებულ ადგილზე დატოვებული ბარათი ქართულად არის დაწერილი: „ვინც ხაზს აღადგენს დედას მ...“

მოდი და გაიგე, ვინ არიან ეს მითიური „დივერსანტები“. ერთი კი ფაქტია, ვინც ეს გააკეთა, ქვეყანა ფეხებზე ჰკიდია.

**სანდრო ალექსიძე.**

⊙ კონტროლი

## ამოწმებენ ბენზინგასამართ სადგურებს

**სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია ქვეყნის მასშტაბით ბენზინგასამართი სადგურების სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებას აგრძელებს.**

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 50 შემოწმებული ბენზინგასამართი სადგურიდან, ექსპლუატაციის შეჩერებაზე დადგენილება 40-ზე იქნა გამოტანილი. 1 პასუხისმგებელი პირი დაჯარიმდა.

მარტვილის რაიონში მოქმედი 15 სადგურიდან 13-ს, ლაგოდეხის რაიონში 6 სადგურიდან 5-ს, ჩოხატაურის რაიონში 12 სადგურიდან 10-ს, სიღნაღის რაიონში 21 სადგურიდან 8 სადგურს შეუჩერდა ექსპლუატაცია.

სულ საქართველოში ექსპლუატაცია 311 ბენზინგასამართ სადგურს შეუჩერდა, 318 პასუხისმგებელი პირი კი დაჯარიმდა.

**„ინტერ-პრესი“.**

⊙ პარლამენტის თავმჯდომარე

## რუსეთის ხელისუფლებას ადანაშაულებს

(პირველი გვერდიდან)

პარლამენტის თავმჯდომარე მიმართავს ევროკავშირს, ევროპარლამენტს, ეუთოს, გაეროს და ევროსაბჭოს, განაახლონ საქართველო-რუსეთის საზღვარზე საერთაშორისო მონიტორინგი.

პარლამენტის თავმჯდომარე კატეგორიულად მოითხოვს რუსეთისგან შესრულდეს 1999 წელს სტამბოლში ეუთოს სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება რუსული სამხედრო ბაზების და შეიარაღებული ძალების საქართველოდან გაყვანის თაობაზე.

* * *

**ნინო ბურჯანაძის განცხადებით, თუ რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობაში ორმაგი სტანდარტებით მოქმედებას თავს არ დაანებებს, იგი ჩეჩნეთის პრობლემას ვერასოდეს გადაწყვეტს და დემოკრატიულ რუსეთს ვერ ააშენებს.**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე რუსეთის ოფიციალური პირების ჩასვლასა და აფხაზეთთან მიმართებაში რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკას საქართველოს საშინაო საქმეებში აქტიური ჩარევა უწოდა.

„საინტერესოა, რა რეაქცია ექნებოდათ რუსეთის ოფიციალურ წრეებს, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი და გენერალური პროკურორი ჩეჩნეთში ყოველგვარი ვიზის გარეშე რომ აღმოჩენილიყვნენ?“ – განაცხადა ბურჯანაძემ.

* * *

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობის მიუხედავად, თებერვლის მეორე ნახევარში თბილისში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ვიზიტს მიესალმება.**

როგორც მან განაცხადა, თუ რუსეთის ოფიციალურ პირებს გულწრფელად ექნებათ მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების მოწესრიგების სურვილი, პრობლემების დარეგულირება შესაძლებელი იქნება, მაგრამ არა – საქართველოს ეროვნული ინტერესების ხარჯზე.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში 18 თებერვალს იგეგმება. ამის შესახებ ჟურნა-



ლისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მისულმა რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა რამდენიმე დღის წინათ განუცხადა.

ლავროვის ვიზიტის დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილება. მათ შორის, საქართველოში არსებული რუსული ბაზების მომავალი და რუსეთ-საქართველოს შორის დიდი ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმების პერსპექტივები.

### ევროსაბჭოს მონიტორინგი

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან გუშინ ევროსაბჭოში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრები შეიკრიბნენ.**

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, საქართველოს დელეგაციის წევრები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე გამგზავრებამდე დეტალურად განიხილავენ ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის მიერ გამოთქმულ ყველა კრიტიკულ შენიშვნას.

ბურჯანაძის განცხადებით, დელეგაციის თითოეული წევრი გააანალიზებს ევროსაბჭოს შენიშვნებს საქართველოს მიერ ევროსაბჭოში გაწევრიანებისას აღებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

### ვიქტორ იუშჩენკოს ინაუგურაციას დაესწრება

**ნინო ბურჯანაძე საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად უკრაინაში ახლად არჩეული პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს ინაუგურაციას დაესწრება.**

როგორც „ინტერ-პრესს“ პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განუცხადა, ინაუგურაციის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად პარლამენტის თავმჯდომარე კიევში 21 იანვარს გაემგზავრება.

**„ინტერ-პრესი“**

⊙ ტენდერი

## ერთი მილიონი – ბიუჯეტს

**გუშინ ეკონომიკის განვითარების სამინისტროს სატენდერო კომისიამ აუქციონზე გამოიტანა ოთხი ლოტი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შპს საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“.** მისი 100-პროცენტიანი მეწილე სახელმწიფოა. წარმოდგენილი იყო ოთხი განაცხადი. საწყისი ფასი – 350 ათასი დოლარი წამი-წამს იცვლებოდა. 953 ათასი დოლარად საგამომცემლო გაერთიანება „გეორგია მობილიარემ“ შეიძინა.

დანარჩენ ლოტებზე აუქციონი არ შემდგარა იმ უბრალო მიზეზით, რომ ყოველ მათგანზე შემოსული იყო მხოლოდ თითო განაცხადი.

– აუქციონით კმაყოფილი ვართ, – განუცხადა ჟურნალისტებს ეკონომიკის განვითარების მინისტრის მოადგილემ ნათია თურნავამ და კმაყოფილების მიზეზიც იქვე განმარტა: – ბიუჯეტმა ერთ მილიონზე მეტი დოლარი მიიღო.

**საკუთარი ინფორმაცია.**

⊙ ცხელი თემა

# თავად რუსეთი არ მისცემს საშუალებას აფხაზეთს, რომ იგი მას შეუერთდეს

(პირველი გვერდიდან)

ეს ფორმულა ძირშივე მცდარია. მშვიდობის შენების რესურსები ამოუწურავია და უსასრულო. ეს ნგრევის რესურსებია ლიმიტირებული, თორემ რა დალევს მშვიდობის, კეთილმოსურნეობის, შენების, განვითარებისა და კეთილდღეობის ამაღლების რესურსებს. სამწუხაროდ, პოლიტიკოსთა უმრავლესობა სწორხაზოვნად აზროვნებს და არ უწყიან მშვიდობის შენებას და შესაბამის დიალოგს, დიპლომატიურ მოლაპარაკებას რაოდენ დიდი შესაძლებლობები აქვს. შემოქმედებითად მოაზროვნე პოლიტიკოსი სწორედ იქ პოულობს გამოსავალს და მოლაპარაკების ახალ რესურსებს, სადაც ჩვეულებრივი პოლიტიკოსები ჩიხს ხედავენ. სწორედ ამიტომ ზემოხსენებული, ვითომდა ჭკვიანური ფორმულა ჭეშმარიტად გონიერი ფორმულით უნდა შეიცვალოს: „ჩვენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი უნდა გადავწყვიტოთ მშვიდობიანი დიალოგით და რახან მშვიდობიანი მოლაპარაკების რესურსები ამოუწურავია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოვიყენოთ სამხედრო ძალა“.

ნდობის შენების მეორე წინაპირობა გულისხმობს ქართული მხარის მიერ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სრულ შეფასებას. უნდა გაკეთდეს აფხაზეთში ომის დაწყების, მისი მიმდინარეობის, დასრულებისა და ომის შემდგომი, 12 განვლილი წლის ანალიზი. უნდა გამოიკვეთოს კონფლიქტის პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკოლოგიური, სამართლებრივი, დემოგრაფიული და სხვა ასპექტები.

ეს შეფასება დაუნდობლად ობიექტური და გულწრფელი, ძალზე საქმიანი და ყოველგვარი პატრიოტული პათეტიკისა და რიტორიკისგან დაცლილი უნდა იყოს. ასეთი პირუთვნელი და ამომწურავი შეფასება წერტილს დაუსვამს მომხდარსა და განვლილს, რათა მხარეებმა მომავლისკენ გაიხედონ.

მესამე წინაპირობის მიხედვით, მხარეებმა სტრატეგიულად უნდა დაგეგმონ „მოგება-მოგებაზე“ ორიენტირებული დიალოგის პროცესი. პარიტეტულობა წამყვან ფაქტორადაც კი შეიძლება იქცეს გარკვეულ მომენტში. ქართულმა მხარემ უნდა ისწავლოს, რომ აფხაზურ მხარეს, როგორც თანაბარს ისე უყუროს პოლიტიკური მოლაპარაკებების დროს, აფხაზური მხარის არჩეულ პრეზიდენტს, ვისთანაც იგი დაჯდება სალაპარაკოდ, პარიტეტულ საწყისებზე ესაუბროს. ამას წინათ, ჩვენმა პრეზიდენტმა ბრძანა, რომ გამარჯვებას არ მიულოცავდა ბაღაფშს, რადგან ლეგიტიმური არ არის. სინამდვილეში, ბაღაფში ლეგიტიმური პრეზიდენტია. იგი არალეგიტიმური, თვითგამოცხადებული სახელმწიფოს პრეზიდენტია, მაგრამ ხალხმა მას მანდატი მისცა. ამდენად, საკუთარი ხალხის ნდობის აღიარების თვალსაზრისით, იგი ლეგიტიმურია, თუმცა არაღიარებული, არალეგიტიმური სახელმწიფოს წარმონაქმნის პირობებში.

თვითონ ბაღაფშს მოსახლეობამ ნდობა გამოუცხადა და პრეზიდენტად აღიარა, ამიტომ მასთან დიალოგის უგულებელყოფა არ შეიძლება. ქართულ მხარეს პარიტეტულ საწყისებზე მოლაპარაკების წარმართვა მართებს. იმავდროულად, ეს უნდა იყოს „მოგება-მოგებაზე“ ორიენტირებული მოლაპარაკება, რაც გულისხმობს ორივე მხარისთვის სარგებელს. ორივე მხარემ უნდა ისწავლოს ამ საერთო მოლაპარაკებიდან სარგებლობის გამოტანა.

მეოთხე წინაპირობის მიხედვით კი, საქართველომ უკვე დღეიდან უნდა იზრუნოს, რომ აფხაზეთს მოეხსნას დსთ-ს მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციები. ამით იგი დაუპირისპირდება დსთ-ს, სამაგიეროდ, აფხაზებს უჩვენებს, რომ ეკონომიკური სანქციების წინააღმდეგია და აფხაზი შეიძლება ნდობით განიმსჭვალოს ქართველის მიმართ. უფრო მეტიც, საქართველომ აქტიურად უნდა იზრუნოს რკინიგზის აღდგენაზე, აფხაზეთში ინვესტორთა შესვლაზე, აფხაზი და აფხაზეთში მცხოვრები სხვა ხალხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ფიზიკურ გადარჩენაზე.

აი, ამ ოთხი წინაპირობის დაცვის შედეგად, შესაძლებელია აშენდეს ნდობის ხიდი და შემდეგ დაიწყოს საუბარი სახელმწიფოებრივი მოწყობის ვარიანტებზე.

**– თქვენ სახელმწიფოებრივი მოწყობის რომელ მოდელს ანიჭებთ უპირატესობას?**

– ნდობის ხიდის აშენების შემდეგ, ორივე მხარისთვის მომგებიანი, ვფიქრობ, ფედერალური წყობა იქნება. უნიტარული სახელმწიფოს იდეა მკვდარ იდეად მიმაჩნია.

ფედერალიზმის იდეა დელიკატესი არ გახლავთ, იგი გარდაუვალია. აფხაზებთან მოლაპარაკებისა და სახელმწიფოს მშენებლობის სხვა შანსი არ გაგვაჩნია. ბუნებრივია, აფხაზი გაბატონებულ იდეას შემოგვთავაზებს, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას გულისხმობს, ჩვენ კი მთელი ქვეყნის ერთიანობა და მთლიანობა დავისახეთ უპირველეს მიზნად. ამ გასაყარზეა ფედერალიზმის იდეა. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი დაუსრულებელი გახდება, თუ ორივე მხარისთვის მისაღები მოდელი დროზე არ შევიმუშავეთ.

უნიტარული სახელმწიფოს იდეას დღესაც ათასობით ადამიანი ეწირება ისრაელში და პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი დაუსრულებელი გახდა, რადგან ისრაელს უნიტარული სახელმწიფო უნდა, პალესტინა კი ამ მოდელის წინააღმდეგია. მე, საერთოდ, ფედერალურ წყობას უპირატესობას ვანიჭებ.

**– თქვენ არ ფიქრობთ, რომ ფედერალიზმი ქვეყნის დაშლას და დაქუცმაცებას გამოიწვევს?**

– არავითარ შემთხვევაში, ეს არ მოხდება. ფედერალიზმი გარკვეული ადამიანების ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, გარკვეული ხელშეკრულებით. ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ დამრღვევს გაცილებით ძვირად უჯდება დარღვევა, ვიდრე შენარჩუნება.

შვეიცარია დღემდე კონფედერა-



ციის სახით არსებობს და არ დაშლილა, ამ მხრივ კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებაც შეგვიძლია გავითვალისწინოთ. აქ რუსეთის მაგალითი არ გამოგვადგება, რადგან იგი ძალზე ხელოვნური წარმონაქმნია ეთნიკური თვალსაზრისით. ამასთან, სხვა პრობლემებიც იჩენს თავს. ამიტომ გვირჩევნია სხვა ცივილიზებულ ქვეყნებს მივბაძოთ. საფრანგეთი უნიტარული სახელმწიფოა, თუმცა კორსიკა და ბრეტანი ჰყავს. გაერთიანებული სამეფო, გარკვეულწილად, ფედერალურია, თუმცა შოტლანდიასა და უელსს თავისი ავტონომიები აქვს. სეცესიის, ანუ გამოყოფის თაობაზე შოტლანდიაში საუბრობენ, მაგრამ, ეს ადვილი არ გახლავთ, რადგან სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა ამის საშუალებას არ იძლევა. წარმოიდგინეთ, ჩვენთან ჯავახეთმა რომ მოინდომოს დამოუკიდებლობა, ეს ხომ აბსურდი იქნება.

საქართველო პატარა სახელმწიფოა, რომელსაც დაშლის საფრთხე, ვფიქრობ, ნაკლებად ემუქრება. პირიქით, მისი ფედერალური მოწყობა საინტერესოდ მესახება. ფედერალიზმსაც აქვს თავისი მინუსები, ესა თუ ის ნებისმიერი გადაწყვეტილება წლების განმავლობაში იწელება, პრეზიდენტის თუ მმართველი პარტიის რაღაც პროექტი ჭიანურდება იმის გამო, რომ ფედერალურ სუბიექტებს შორის მოლაპარაკების მრავალი საფეხურია გასავლელი. სამაგიეროდ, მომგებიანია იმ თვალსაზრისით, რომ ძალიან დემოკრატიულია და ხელს უწყობს ხანგრძლივ, სტაბილურ მშვიდობას, თუმცა ფინანსური დანაკარგები დიდია. ასე რომ, ფედერალიზმი ძალიან ძვირია, უნიტარიზმი კი იაფია და ხშირად – იაფფასიანიც კი.

**– ნდობის ხიდის აშენება და დიალოგის წარმართვა მისასალმებელია, მაგრამ როგორ უგულებელვყოთ რუსეთის ფაქტორი, რომელიც აშკარად ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში და აფხაზეთს, ალბათ, არ დათმობს...**

– გეთანხმებით, რუსეთის ფაქტორი ძალიან ძლიერია, თავად ბაღაფშიც დეკლარირებულად რუსეთზე საუბრობს. მაგრამ რუსეთსაც საკუთარი პრობლემები აქვს. იგი ცდილობს, რამენაირად იმპერია შეინარჩუნოს. უკრაინის მოვლენებმა დაგვანახა, რომ რუსეთს ძალა ეკარგება, იგივე დავინახეთ ჩეჩნეთის მაგალითზეც. რუსეთი ცდილობს რამენაირად შეინარჩუნოს გავლენა კავკასიაში. მართებული არ იქნება გვეფიქრა, თითქოს რუსეთი უბრძოლველად რამეს დათმობს. არც ერთი იმპერია არაფერს არ თმობს. რაიმეს დაკარგვა ყველას ეშინია და ენანება. მაგრამ რუსეთს თავად ცხოვრება ნელ-ნელა პოზიციებს ათმობინებს.

ბესლანის ტრაგედიის შემდეგ, კავკასიელთა წარმოდგენაში, რუსეთის, როგორც ძლიერი მფარველის როლი, ნელ-ნელა ქრება. კავკასიელმა ხალხებმა, მათ შორის აფხაზებმაც დაინახეს, რომ რუსეთს შეუძლია საკუთარი მოქალაქეების გაწირვაც კი. ბესლანის ტრაგედია დიდი გაკვეთილი იყო. ამიტომ დაუჯერებელია, თითქოს აფხაზებს უნდოდეთ რუსეთის შემადგენლობაში ასოცირებულად შესვლა. აფხაზს რუსეთთან ყოფნა იმდენად უნდა, რამდენადაც იგი ამოისუნთქებს, ეკონომიკურად წინ წაიწევს. პოლიტიკურად საერთოდ არ აინტერესებს რუსეთი. აფხაზს სურს დამოუკიდებლობა რუსეთისგანაც და საქართველოსგანაც, ანუ სრული დამოუკიდებლობა. მაგრამ აქ მარხია ძაღლის თავი. ეს არის უაღრესად დიდი ილუზია, რითაც აფხაზი იკვებება. მას თავად რუსეთი არ მისცემს საშუალებას, რომ აფხაზეთი რუსეთს შეუერთდეს, რადგან ამ ნაბიჯით რუსეთი საერთაშორისო დინების წინააღმდეგ უნდა წავიდეს. საერთოდ კი, თანამედროვე სამყაროში შეუძლებელია სრული დამოუკიდებლობა, თვით დიდი სახელმწიფოებიც კი ხანდახან პატარა სახელმწიფოებზე არიან დამოკიდებულნი, დამოუკიდებლობის იდეაზე მეტად ურთიერთდამოკიდებულების იდეას ენიჭება უპირატესობა.

ამ თვალსაზრისით აფხაზეთს არჩევანის გაკეთება მოუწევს. იგი მიემხრობა მას, ვისაც დასავლური ორიენტაცია ექნება, ანუ საქართველოს, რომელიც მდიდარ, განვითარებულ, უპრობლემო ქვეყნებს მიანიჭებს უპირატესობას. აფხაზეთი რუსეთს აღარ აირჩევს, რადგან დარწმუნდება, რომ მან უარყოფითი მაგალითი აჩვენა. მაგრამ ამას დრო სჭირდება.

ამიტომ საქართველომ დაბეჯითებით უნდა იაროს დემოკრატიზაციისა და დასავლური ღირებულებების შენების გზით, ამით იგი აფხაზს დაეხმარება, რათა ისიც ნელ-ნელა ამ ლიანდაგზე გადმოვიდეს, საქართველოს მხარში ამოუდგეს და მისი ურთიერთობა საქართველოსთან უფრო მომგებიანი გახდეს.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი.**

⊙ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# პოლიტიკური ტყუპები რუსეთის საზღვართან

**ანატოლი ციგანოკი,**
**სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატი, სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი, სამხედრო დაპროგნოზების ცენტრის ხელმძღვანელი.**

**„ვრემია ნოვოსტეი“, 18 იანვარი.**

(პირველი გვერდიდან)

ორივე პრეზიდენტი მხარს უჭერს პოლიტიკის შეცვლას 1999 წელს შექმნილი გაერთიანების – სუამის ფარგლებში (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდავეთი). დიდ ყურადღებას ამახვილებენ ბალტიის ზღვა – შავი ზღვის თანამშრომლობის განვითარებაზე.

უკრაინისა და საქართველოს ლიდერებს აქვთ მსგავსი შეხედულებები რეგიონული უშიშროების სისტემაზე და კავკასიაში კონფლიქტების მოგვარებაზე, აგრეთვე, თავიანთ ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნის შესახებ.

იუშჩენკოს და სააკაშვილს პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევენ სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლები, ახალგაზრდა მასწავლებლები და ასპირანტები, რომელთა ლოზუნგიც არის „უკრაინა უკრაინელთათვის“ და „საქართველო ქართველთათვის“. ორივე ლიდერი ხელისუფლების სათავეში მოვიდა რევოლუციების – „ვარდების“ და „ნარინჯისფერი“ რევოლუციების შედეგად.

როგორც 38 წლის სააკაშვილი, ასევე 51 წლის იუშჩენკო, ახალგაზრდები არიან, თუმცა, ისინი შედიოდნენ პოლიტიკურ ელიტაში წინა ხელისუფლების დროსაც: სააკაშვილი იყო იუსტიციის მინისტრი, იუშჩენკო კი ჯერ უკრაინის ცენტრობანკის ხელმძღვანელი, შემდეგ კი – პრემიერ-მინისტრი. მათი მრჩევლების წრეშიც არის თითო „რკინის ლედი“ აგრეთვე მეორე პლანის ბიზნეს-ელიტის წარმომადგენლები და ყოფილი მთავრობის წევრები. ეს ადამიანები თავიანთ პრეზიდენტებსა და მთავრობებს ოპოზიციაში ჩაუდგნენ მას შემდეგ, რაც გადადგნენ თანამდებობებიდან.

ორი ქვეყნის ახალი პოლიტიკის კონტურები გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის დამდეგს მოაწერეს ხელი კარპატის დეკლარაციას უკრაინისა და საქართველოს ევროპული განვითარების შესახებ. საქართველოში შექმნილი ვითარება ამ ქვეყანას უკრაინის გეოპოლიტიკური ინტერესების ცენტრში აყენებს. თავის მხრივ, საქართველოც უკრაინის მაქსიმალური მხარდაჭერის გარეშე, ვერ შეძლებს გაყინული წერტილიდან დაძრას ქვეყნის შიგნით არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმე.

სადღეისოდ ნაკლებად სარწმუნოა იმის პერსპექტივა, რომ კიევი და თბილისი შეძლებენ სუამის, როგორც ქვეყნების ბლოკის განვითარებას, მიანიჭონ ახალი იმპულსი, რომელიც მას მისცემს რუსეთის საინტეგრაციო პროექტებისთვის კონკურენციის გაწევის შესაძლებლობას. საქმე ის არის, რომ ამ ბოლო ხანებში დაისახა სერიოზული შემობრუნება სუამის წევრი ქვეყნების პოლიტიკაში: აზერბაიჯანი და უზბეკეთი უპირატესობას ანიჭებენ რუსეთთან თანამშრომლობას, უწინარეს ყოვლისა, ენერგეტიკულ სფეროში. ამრიგად, არის იმის ყველა შანსი, რომ სუამის ნაცვლად დარჩეს მხოლოდ სუ (საქართველო, უკრაინა) ან, უკეთეს შემთხვევაში! – სუმ (საქართველო, უკრაინა, მოლდავეთი), რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუკი მოლდავეთი არ დაკარგავს ამ გაერთიანებისადმი ინტერესს.

რაც შეეხება უახლოესი წლების განმავლობაში ევროკავშირთან და ნატოსთან უკრაინის და საქართველოს შეერთების პერსპექტივებს, ესეც საკმაოდ ბუნდოვანია. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ევროკავშირმა დაუჭირა მხარი ევრაზიის ნავთობის სატრანსპორტო დერეფნის შექმნის პროექტს და „ვირტუალური აბრეშუმის გზის“ პროექტის ამოქმედებას (კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის თანამგზავრული სისტემა), ინტეგრაციის რეალური შედეგები ჯერჯერობით არ ჩანს.

შესაძლოა, შეიცვალოს უკრაინის პოლიტიკა ერაყშიც, თუმცა, ამ ქვეყანას განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან. უკრაინის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ეწინააღმდეგება უკრაინელ სამხედროთა ყოფნას ერაყში, და იუშჩენკოც, შესაძლოა, დათანხმდეს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისთვის არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმას. წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ახალ პრეზიდენტს ხომ არაერთგზის განუცხადებია, რომ ერაყიდან გამოიყვანს უკრაინის მთელ საჯარისო კონტინგენტს. ამჟამად ერაყში იმყოფება 1589 უკრაინელი სამხედრო მოსამსახურე და 2072 ერთეული ტექნიკა. 2003 წლის აგვისტოდან ამ ქვეყანაში დაიღუპა 17 უკრაინელი.

მოსალოდნელია, რომ კიევმა და თბილისმა სცადონ უფრო მჭიდრო ორმხრივი ურთიერთობის დამყარება ჩინეთთან ისე, რომ არ მიმართონ რუსეთის შუამავლობას.

სამხედრო-ეკონომიკური ურთიერთობა რუსეთთან საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებისთვის კვლავ დარჩება უმნიშვნელოვანეს საკითხად საგარეო პოლიტიკაში. უკრაინას და საქართველოს შეგნებული აქვთ, რომ რუსეთი, შესაძლოა, დაემუქროს მათ ეკონომიკურ ინტერესებს. მაგრამ პროდასავლური ლობის გავლენა ძლიერდება, და არ არის გამორიცხული, რომ უკრაინამ გადასინჯოს თავისი შეთანხმება ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების შესახებ. არც ის არის გამორიცხული, რომ უკრაინამ მოითხოვოს ყირიმის საზღვაო ინფრასტრუქტურის რუსეთისთვის იჯარით გადაცემის შესახებ ხელშეკრულების გადასინჯვა, რომელიც დაიდო 1997 წლის 28 მაისს და რომლის მოქმედების ვადაც 20 წელია. ამ ხელშეკრულების თანახმად, რუსეთს დარჩა შავი ზღვის ფლოტის სახომალდო შემადგენლობის ბაზირების სამი პუნქტი, ავიაციის ბაზირების ორი ძირითადი და ორი სათადარიგო აეროდრომი. უკრაინის მხარდაჭერით საქართველოს შეეძლება, კიდევ უფრო მეტი დაჟინებით მოითხოვოს რუსეთის სამხედრო ბაზების, რაც შეიძლება სწრაფად გაყვანა გუდაუთიდან და ახალქალაქიდან.

ამრიგად, რუსეთის საზღვრებთან გამოჩნდა ორი სახელმწიფო, რომლებსაც სათავეში უდგანან პოლიტიკური ტყუპი-პრეზიდენტები. დასავლეთის მხარდაჭერით ისინი ახლა უფრო მტკიცედ დაიცავენ თავიანთ ეროვნულ ინტერესებს, ვიდრე ეს წინათ ხდებოდა.

მოამზადა
**სიმონ კილაძე.**

⊙ ინფორმაცია

## ხელისუფლება მკაცრი საპასუხო რეაქციით იმუქრება

**რუსეთთან დამაკავშირებელ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზზე „კავკასიონზე“ დივერსიის დადასტურების შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება მკაცრ ზომებს მიიღებს. ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა: „ახლანდელი ხელისუფლება თავისი წინამორბედის უმოქმედობას ვერ გაიზიარებს. არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ იმას, რომ ვინმეს სურვილზე იყოს დამოკიდებული საქართველოს ელექტრომომარაგება“.**

## 31 მილიონი დოლარი – გრანტის სახით

**უახლოესი 6 წლის განმავლობაში ბრიტანული ნავთობკომპანია „ბრითიშ პეტროლიუმი“ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს გრანტის სახით 31 მილიონ დოლარს გამოუყოფს.**

**როგორც გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე საქართველოში „ბრიტიშ პეტროლიუმის“ გენერალურმა მენეჯერმა რიჩ დიგინგსმა განაცხადა, სახელმწიფო ბიუჯეტმა 2004 წლის ბოლოს უკვე მიიღო გრანტი 9 მილიონი დოლარის ოდენობით, რაც 2005 წლის ბიუჯეტში სტუდენტების ვაუჩერებზე, სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეების დახმარებაზე და რეგიონებში პენსიების გაზრდაზე გაიწერა.**

**„2005 წელს საქართველო 11 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტს მიიღებს. 2006 წლიდან 2010 წლამდე კი, ყოველწლიურად, – 4 მილიონ დოლარს. არ არის გამორიცხული, რომ დახმარება 2010 წლის შემდეგაც გაგრძელდეს“, – განაცხადა დიგინგსმა.**

**ამასთან, კომპანია 10 მილიონ დოლარს სოციალური პროექტების განხორციელებისთვის გამოყოფს. „საქართველოს ფინანსთა მინისტრთან და პრემიერ-მინისტრთან ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ერთობლივი პროექტების თაობაზე. სავარაუდოდ, პრიორიტეტი ჯანდაცვისა და განათლების სექტორებს მიენიჭება“, – აღნიშნა დიგინგსმა.**

**თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლებას კომპანიის მიერ გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშის მომზადების ვალდებულება ეკისრება. „2005 წლის მეორე კვარტალის ბოლოს უკვე გვექნება მთავრობის მიერ მომზადებული ანგარიში, რომელიც საჯარო იქნება და მედიის საშუალებებში გამოქვეყნდება“, – აღნიშნა დიგინგსმა.**

**„ინტერ-პრესი“.**

გზად თანაცხოვრებისკენ

# 2. ეს არის მდგომარეობა, როცა დემოკრატიული გადაგვარებით ცივილური გადაშენებისკენ ფეხაწყობილად მივდივართ

## თაობა, რომელიც თავის თავს არ იცნობს ერის წარსულში, გაუნათლებელი და უკულტუროა

ცნობისათვის: 2004 წლის 18 სექტემბერს საქართველოში ჩამოვიდა თავანკარა ქართულით მოსაუბრე 30 ფერეიდნელი ქართველი. უფრო ადრე ფეხისვლით გვეწვივნენ ძმები ხოსროშვილები. ფერეიდნელთა 30-კაციანმა ჯგუფმა მოიარა ქართული სულიერების ძეგლები და სიწმინდეები, ზოგიერთი მათგანი მოინათლა მამა-პაპურ სარწმუნოებაზე. უმძიმესი დენაციონალიზაციის 400 წელმა ვერ გადააშენა მათში ქართული სული და ჯიში.

მოდით, ერთმანეთს დავეკითხოთ, რამდენი ქართველი გვეგულება ჩვენ, რომელთაც მოიარეს მსოფლიო, მათ შორის თურქეთი და გაახსენდათ იქ მოღაღადე ქართული მარადისობა – ქართული სოფლები, ქართველები, მათი შეულანძღავი ადათ-წესები და რაც მთავარია, ჩვენი ვინაობის დასტური – ეკლესია-მონასტრები?! რამდენმა შეიხსენა საკუთარი ვინაობა მათ ნანგრევებთან?!



ილორის ეკლესია. თამაზ ქიქავას ფოტო.

ჭაობურმა დემოკრატიამ ქართული ეთნონედლეულიდან შეძლო ეგომანიაკური თაობის ფაბრიცირება და მათი დისლოცირება საქართველოში. იგი დასავლეთიდან „გადმოშპარგალკებული“ – ხმაბაძვით მუდმივი ქაოსის ინსპირირებისათვის საქმიანობს, რათა ქვეყანაში ყოველთვის იყოს საბაბი „დემოკრატიის შეზღუდვის“ მხილებისათვის.

ამას წინათ ე. წ. თავისუფლების ინსტიტუტმა გამოაქვეყნა საგანგაშო სტატისტიკა, თითქოს 2004 წლის განმავლობაში საპატიმრო ადგილებში უწამებიათ 513 პატიმარი.

სინამდვილეში ეს არის მორიგი ბეზღობა და ლაქუცური პატაკი, რათა გრანტები მოიზიდონ უცხოეთიდან. ასეთი უწყებები საკუთარ ქვეყანაზე ცილისწამების გავრცელებით (ვითომცდა რელიგიურ უმცირესობათა დევნა და სხვა) მსუყე ლუკმას კი შოულობენ, მაგრამ ქვეყნის ავტორიტეტსა და ღირსებას სვრიან ლაფში. გარე ძალებს უქმნიან პირობებს, უბოდიშოდ ჩაერიონ ჩვენს საშინაო საქმეებში.

ასეთია ე. წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის პროგრამა საქართველოში, რომელიც მიმდინარეობს საყოველთაო ეთნიკური დეგრადაციის მცდელობისა და მისი ნაწილობრივი განხორციელების პირობებში.

აქ, კიდევ ერთხელ, თუნდაც ზოგადად უნდა შევჩერდეთ აგრესიული გლობალიზმის ადგილობრივი აგენტურის საქმიანობაზე, რომელიც ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, სხვა არაფერია, თუ არა საოკუპაციო გარნიზონი ოკუპირებულ საქართველოში.

თავის დროზე აფხაზეთის ასსრ-ის შექმნამ და აფსუათა დარწმუნებამ იმაში, რომ ისინი აფხაზები არიან, გამოიწვია მათში ფსევდო ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისკენ ლტოლვა, რამაც ქართველი, რომელიც არ თმობდა მის მამულს, მათს შეგნებაში მტრად დააყენა.

დროთა განმავლობაში ქართველთა ერთმა ნაწილმა, მიჩქმალული ისტორიის გამო, დაიჯერა, რომ აფხაზეთი არაქართული ქვეყანაა, მაგრამ ვინაიდან საქართველოს სსრ შემადგენლობაში შედიოდა, იგი საბჭოთა ეთნოდივერსიული ცენტრ-ნაცმენობის პრინციპით ცხოვრობდა აქ. ქართველთა მეორე ნაწილი, რომელსაც არასოდეს არ დავიწყებია თავისი ვინაობა, იბრძოდა საკუთარი უფლით დადასტურებული უფლებისათვის, მხოლოდ თავის ცნობიერ მფლობელობაში ჰქონოდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (ცხუმ-აფხაზეთი).

**სერგი საჯაია,**
**საქართველოს ეროვნული აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-კულტურული ცენტრის ხელმძღვანელი, პუბლიცისტი.**

**(გაგრძელება იქნება).**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 13.**

ინფორმაცია

### ცუნამის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ქართველი ხელოვანები 2004 წლის 26 დეკემბერს ინდოეთის ოკეანის ფსკერზე მიწისქვეშა ბიძგებით გამოწვეული ცუნამის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად „მოწყალების აქციების“ გამართვას გეგმავენ.**

**როგორც გუშინ კინოთეატრ „ამირანში“ გამართულ პრესკონფერენციაზე გიორგი ქავთარაძემ განაცხადა, აქციაში მონაწილეობის სურვილი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა, გრიბოედოვის სახელობის, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის, ერთი მსახიობისა და სამეფო უბნის თეატრებმა, კინოთეატრებმა „რუსთაველმა“, „ამირანმა“ და „ახმეტელმა“, ასევე სახელმწიფო ფილარმონიამ გამოთქვეს. ერთი დღის წარმოდგენებიდან და ფილმებიდან შემოსული თანხები დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადაირიცხება.**

**მისი თქმით, ტელევიზიებით სოციალური ვიდეორგოლის გაშვება იგეგმება. გამოიყოფა სპეციალური ნომრები მაგთისა და ჯეოსელის აბონენტებისათვის, სადაც ერთი ზარის ფასი 50 თეთრი ეღირება. მათ, ვისაც სურვილი აქვთ, დახმარება აღმოუჩინონ ცუნამის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას, თანხები უნდა გადარიცხონ საქართველოს საპატრიარქოს ანგარიშზე №012700392, ლარებში – 204395537, აშშ დოლარებში კი – 221070693 ნომერზე.**

### სპეციალური ფონდი – ქართული ფილმების გადასარჩენად

**კინოთეატრ „რუსთაველში“ დღეს ს/ს „ქართული ფილმის“ საცავში არსებული ფილმების და ფონოგრამების გადასარჩენად სპეციალური ფონდი შეიქმნა. ფონდის დაარსების იდეა კინოთეატრის გენერალურ დირექტორს გიორგი ბაზღაძეს ეკუთვნის. ფონდში სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი“, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და „თიბი-სი ჯგუფი“ გაერთიანდნენ.**

**როგორც დღეს „რუსთაველში“ გამართულ პრესკონფერენციაზე კინოთეატრის განვითარების მენეჯერმა ირაკლი ჩიკვაიძემ განაცხადა, ფონდში ფილმების ციფრული გადამუშავება იგეგმება. მისი თქმით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, შესაძლებელი იქნება ს/ს „ქართული ფილმის“ კუთვნილი ფილმების DVD ფორმატში გადატანა და დაზიანებული ფონოგრამების აღდგენა.**

**„ქართული ფილმის“ ფილმსაცავში 15 იანვარს გაჩენილი ხანძრის შედეგად დამწვარი მასალების ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია. დღეს სრულდება საცავიდან ასლების გამოტანა, გაწმენდა და ლაბორატორიაში გადატანა. სავარაუდოდ, საცავში არსებული ასლების 10-15 პროცენტია დაზიანებული“, – აღნიშნა შეხვედრაზე ს/ს „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელმა რეზო ჩხეიძემ.**

**„ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ფონდი ფუნქციონირებდეს და უზრუნველყოფილი იყოს საჭირო თანხებით. ამ ფონდის მიზანი ქართული ფილმების სრული ციფრული არქივის გაკეთებაა,“ – აღნიშნა შეხვედრაზე კულტურის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა.**

**„თი-ბი-სი ჯგუფი“ ფონდის დაფინანსებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. „ეს არის ქართველი ხალხის განძი, რომელიც უნდა შევინახოთ და მომავალ თაობებს გადავცეთ ისეთ დონეზე შენახული, რომ მას განადგურების საფრთხე აღარასოდეს დაემუქროს“, – აღნიშნა „თიბი-სი ჯგუფის“ პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ.**

**ინტერ-პრესი.**

ისტორია

# 2. ერთა ლიგა და საქართველო

## რატომ არ მიიღეს საქართველო ერთა ლიგაში

საქართველოს მთავრობის მიერ ერთა ლიგისადმი გაგზავნილ მემორანდუმში ვკითხულობთ: „საქართველოს სურს, მხოლოდ იცნოს გაერთიანებულმა ერებმა ის დიდი მუშაობა, რომელიც მიმართულია თავისუფლების და დემოკრატიული წყობილების დამყარებისაკენ. გარდა ამისა, საქართველოს მხურვალე და გულწრფელი სურვილი არის მიიღოს თავიდანვე მონაწილეობა ლიგის საერთო მუშაობაში, რომელიც მიმართულია ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისაკენ“. შემდეგ მემორანდუმში აღნიშნულია, რომ „საქართველოს მიღება ერთა ლიგაში გაუადვილებს მას (ერთა ლიგას – **მ. ს.**) ამიერკავკასიის პოლიტიკის წარმოებას და ამავე დროს ასწევს თვით ლიგის ავტორიტეტს ამიერკავკასიაში, სადაც ამ ავტორიტეტის განმტკიცებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება“.

მემორანდუმის დასკვნით ნაწილში ხაზგასმულია საქართველოს ადგილი დემოკრატიისათვის ბრძოლაში: „საქართველოს მთავრობა ფიქრობს, რომ თვით პრინციპები, რომლებმაც უნდა მოაწესრიგოს საერთაშორისო ცხოვრება სოლიდარობისაკენ მიმართული, მოითხოვენ ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახში ძველი ერის მიღებას, რომელიც ოდესღაც იყო ქრისტიანობის ავანგარდი აღმოსავლეთში და რომელიც დღეს ითვლება დემოკრატიის ავანგარდად, უნდა იქნეს მიღებული ის ერი, რომელიც მიისწრაფის თავისუფალ შრომისაკენ თავის სახლში, რომელიც არის მისი კანონიერი და უდავო მემკვიდრეობა“.

ერთა ლიგაში ახალი სახელმწიფოების კანდიდატურების განსახილველად შეადგინეს საერთო კრების განსაკუთრებული V კომისია, 36 პირისაგან შემდგარი, ჩილეს დელეგაციის თავმჯდომარეობით.

საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინისა და კოსტარიკას მიღების შესახებ განცხადებები გადაეცა მე-3 ქვეკომისიას, რომლის თავმჯდომარე იყო მსოფლიოში ცნობილი ნორვეგიელი პოლარული მკვლევარი ფრიტიოფ ნანსენი, ხოლო მისი წევრები იყვნენ რუმინეთის, ავსტრალიის, ესპანეთის, იუგოსლავიისა და ჩინეთის წარმომადგენლები. ამ ქვეკომისიას უნდა შეესწავლა კანდიდატი ქვეყნების შემდეგი მონაცემები:

a) ლიგაში მიღების შუამდგომლობის ფორმალური კანონი;

b) შუამდგომლობის აღმძვრელი მთავრობა ცნობილია თუ არა de jure, ან de facto და სახელდობრ, რომელი სახელმწიფოების მიერ;

c) კანდიდატი არის თუ არა მტკიცე მთავრობისა და გარკვეული საზღვრების მქონე ერი; მდებარეობა და მოსახლეობა;

d) აქვს თუ არა სახელმწიფოს თავისუფალი მართვა-გამგეობა;

e) როგორია მისი განწყობა თანახმად აქტებისა და დეკლარაციებისა – ანუ საერთაშორისო მოვალეობებისადმი.

25 ნოემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მრჩეველმა პოლიტიკურ საკითხებში ზურაბ ავალიშვილმა და შვეიცარიაში საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა მიხეილ სუმბათაშვილმა ფრიტიოფ ნანსენის ქვეკომისიის განმარტებები მისცეს აღნიშნულ საკითხებზე. მე-3 ქვეკომისიის დასკვნა კეთილგანწყობილი აღმოჩნდა საქართველოს კანდიდატურისადმი. საქართველოს მთავრობა მტკიცე მთავრობად იქნა მიჩნეული.



**მენშევიკური მთავრობის ლიდერი ნოე ჟორდანია თანაგუნდელებთან ერთად.**

2 დეკემბერს ერთა ლიგის V კომისიის წინასწარ სხდომაზე საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიღებულმა დადებითმა დასკვნამ, ნანსენისა და სხვების მცდელობის მიუხედავად, ვერ მოიპოვა უმრავლესობის მხარდაჭერა. დიდი ბრიტანეთის დელეგაციის წევრის ფიშერის წინადადებით გადაწყდა, საკითხი საქართველოს შესახებ განეხილათ ყოფილი რუსეთის იმპერიის დანარჩენ სახელმწიფოებთან ერთად. კომისიამ კამათის შემდეგ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

a) რომ მისი შუამდგომლობა განხილულ იქნა თანაგრძნობით, (avec favour – with sympathy), მაგრამ მდგომარეობა (sic) ნებას არ იძლევა საბოლოო დადგენილების გამოტანისა.

b) რომ კრების შემდგომი გადაწყვეტილების მოლოდინში ამ სახელმწიფოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლიგის საერთო მნიშვნელოვან ტექნიკურ ორგანიზაციებში.

ეს დასკვნა გადაეცა ლიგის საერთო კრებას განსახილველად.

1920 წლის 16 დეკემბერს პლენარულ სხდომაზე განიხილეს კანდიდატი სახელმწიფოების ლიგაში მიღების საკითხი.

ცხარე კამათის შემდეგ ერთა ლიგაში მიიღეს ავსტრია, ბულგარეთი, კოსტა-რიკა, ფინეთი და ლუქსემბურგი, ხოლო მიღებაზე უარი ეთქვა ლიტვას, ლატვიას, ესტონეთსა და სომხეთს.

საქართველოს ერთა ლიგაში მიღებას აქტიურად დაუჭირა მხარი ფრიტიოფ ნანსენმა. მან თავის მხურვალე გამოსვლაში აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს – არა მარტო საქართველოსთვის, არამედ თვით ლიგისათვის – საქართველოსთვის ხელის შეწყობას მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

**მიხეილ სვანიძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

**(გაგრძელება იქნება).**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 13.**

დედაქალაქი

# კორუფციული სისტემა თბილისის საქალაქო სამსახურებში

## პირადი ინტერესები, პოლიტიკური ნების უქონლობა თუ არაპროფესიონალიზმი?

**ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილთან ერთად, ამ წერილის ავტორები ვუერთდებით ქვეყნის პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ კურსს დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის საქმეში, რომელიც კორუფციასთან შეურიგებელი ბრძოლით, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირებით და სისტემური რეფორმების გზით მიიღწევა.**

**ამ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის რეალურ დამკვიდრებას, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად გამოყენებას, მართვის სისტემის ეფექტურობის ამაღლებას.**

მხედველობაში არ გვაქვს ის ძირეული რეფორმები, რომელიც ხელისუფლებას დაგეგმილი აქვს თვითმმართველობის რეალურად დამკვიდრებისთვის, პარლამენტის მიერ „ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ“ კანონების მიღება და სხვ. ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ კორუფციულ სისტემაზე, რომელიც მართვის ადგილობრივ დონეზე ძველი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბდა და დღესაც გრძელდება. მათი აღმოფხვრა ამ რეფორმებთან არ არის დაკავშირებული...

ბოლო დროს გახმაურებული ფაქტი – განათლების საქალაქო სამსახურში კანონის მოთხოვნათა დარღვევით ჩატარებული ტენდერი – გამონაკლისს არ წარმოადგენს, იგი ჩვეულებრივი მოვლენაა. ქ. თბილისის შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში სისტემატურად ადგილი აქვს ადმინისტრაციულ და სამართალდარღვევათა ფაქტებს, კანონმდებლობის მოთხოვნების იგნორირებას. ადგილობრივი შესყიდვების ჩამოყალიბებული სისტემა სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. შემსყიდველი ორგანიზაციები (საქალაქო სამსახურები, რაიონული გამგეობები, მუნიციპალური დაქვემდებარების შპს-ები) ადგენენ წინამოსამზადებელ სამუშაოთა მოცულობას და სავარაუდო ღირებულებას, აკეთებენ განაცხადს პრესაში, ქმნიან სატენდერო კომისიებს და აჯამებენ ტენდერის შედეგებს. კანონმდებლობით, წინამოსამზადებელი სამუშაოების შემსრულებელ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს შესყიდვების შემდგომ პროცედურებში მონაწილეობა ეკრძალებათ. არსებული სისტემა საშუალებას იძლევა ხელოვნურად გაიზარდოს დაგეგმილ სამუშაოთა მოცულობა ან უხარისხოდ იქნეს შესრულებული. ეს კორუფციისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის, ხელს უწყობს შემსყიდველ, მიმწოდებელ და მაკონტროლებელ ორგანიზაციებს შორის წილობრივი მენტალიტეტის ჩამოყალიბებას. ირღვევა კანონით დადგენილი მონეტარული ზღვრები და ტენდერის ნაცვლად ერთ პირთან მოლაპარაკებით ხელშეკრულებებს ენიჭება პრიორიტეტი. ასე მაგალითად: ქ. თბილისის 2003 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა ითვალისწინებდა 125,5 მილიონი ლარის შესყიდვებს, გაფორმდა 2128 ხელშეკრულება 80,3 მილიონ ლარზე. ფაქტობრივმა შესრულებამ 54,4 მილიონი ლარი, ხოლო დაფინანსებამ – 45,6 მილიონი ლარი შეადგინა. განხორციელებულ სამუშაოებზე საერთო მოცულობის 87 პროცენტი მოდის. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის გამოკვლევებით დადგენილი ტიპიური დარღვევები, – კორუფციული გარიგებები, ტენდერების ჩატარება შირმის სახით და გაუმჭვირვალედ, არაკონკურენტული გარემო, დაინტერესების გარეშე კონტრაქტით გათვალისწინებული თანხების გადაურიცხაობა, ღია პროტექციონიზმი და ა. შ. საზოგადოებისთვის დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან მას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ექსპერტთა შეფასებით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, საბიუჯეტო სახსრების 15-20 პროცენტი კორუფციულ ინტერესებს ემსახურება, რაც ადგილობრივი შესყიდვების სისტემის გარდაქმნის აუცილებლობაზე მიგვითითებს.

ამასთან, საქალაქო მეურნეობის დარგებისთვის „საბჭოური“ დოტაციური რეჟიმი კვლავ გრძელდება, რომელიც ისევ კორუფციის ინტერესებს ემსახურება. ამაზე მიუთითებს შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მომსახურების საკომპენსაციოდ ბიუჯეტიდან გამოსაყოფი სუბსიდიების მოცულობისა და დაბალი ტარიფის შესანარჩუნებლად დოტაციების ხელოვნურად გაზრდა. 2004 წლის ბიუჯეტში ამ მიზნით 60 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული. სუბსიდიების, დოტაციების გაანგარიშებას აწარმოებენ მუნიციპალური შპს-ები და საქალაქო სამსახურები ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურთან შეთანხმებით. ყველაზე ნათლად ეს სამგზავრო ტრანსპორტის მაგალითზე შეიძლება დავინახოთ. როგორც ცნობილია, ლტოლვილები უფასო მგზავრობის უფლებით სარგებლობენ ტრამვაი-ტროლეიბუსებით და მეტროპოლიტენით. შესაბამისად, თბილისის ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის საქალაქო სამსახური კომპენსაციის სახით იღებს 1,25 მილიონ და მეტროპოლიტენი – 7,1 მილიონ ლარს. სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებით, ტრამვაი-ტროლეიბუსებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა წლიურად შეადგენს 25 მილიონს, ხოლო მეტროპოლიტენით – 100 მილიონს. ლტოლვილების რაოდენობა 80 ათასის ფარგლებშია. ამდენად, გამოდის, რომ 80 ათასი ლტოლვილი 125 მილიონჯერ გადაადგილდება ტრამვაი-ტროლეიბუსით, ხოლო მეტროპოლიტენით – 35,5 მილიონჯერ, ანუ ერთი დევნილი საშუალოდ ტრამვაი-ტროლეიბუსით მგზავრობს 156-ჯერ, ხოლო მეტროპოლიტენით – 443-ჯერ, მაშინ როდესაც ერთი რიგითი თბილისელი, შესაბამისად – 12,5-ჯერ და 65-ჯერ, თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში, მუნიციპალურ გადამზიდავებზე გასანაწილებლად, 2003 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 3,8 მილიონი ლარი, ხოლო 2004 წელს – 4,38 მლნ. ლარი. 2001 წელს, როდესაც საკრებულოს გადაწყვეტილებით გაუქმდა შპს „თბილტრანსი“ და შეიქმნა ტრანსპორტის რეგულირების და მართვის სამსახური, იმის ნაცვლად, რომ შემუშავებულიყო სუფსიდიების და დოტაციების გადამზიდავებზე განაწილების წესი და თანხები ბიუჯეტში უშუალოდ გადამზიდავებზე გაწერილიყო, თბილისის მთავრობამ მეწარმეობის, საჯარო სამსახურის და ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონების მოთხოვნათა უგულებელყოფით მიიღო დადგენილება, რომლითაც მუნიციპალური შპს-ების მართვის უფლება გადაეცა ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს. მასვე მიეცა სუბსიდიების და დოტაციების განაწილების უფლება, რაც მიუთითებს არა რომელიმე პიროვნების კორუმპირებულობაზე, არამედ კორუფციის ჩამოყალიბებულ სისტემაზე. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ მუნიციპალურ საავტობუსო საწარმოებში სამართავი თითქმის არაფერი არ არის, ავტობუსები მძღოლებზე იჯარით არის გაცემული და ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობის ფუნქციები მინიმუმამდეა დაყვანილი. ამ დროს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევით საავტობუსო საწარმოები თავის მხრივ შედიან „მუნიციპალური ავტობუსების საწარმოო გაერთიანებაში“ და მთელი ეს სისტემა ემსახურება მხოლოდ 140-150 ავტობუსის ხაზზე გამოსვლას! მეტ-ნაკლებად ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის საქალაქო მეურნეობის სხვა დარგებშიც.



წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა ცალკეულ დარგებში ქალაქისთვის მიწოდებული მომსახურების მოცულობის, ტექნიკური და კომერციული დანაკარგების დადგენა, რაც საშუალებას აძლევდა საქალაქო სამსახურებს, მუნიციპალურ შპს-ებს, მოსახლეობიდან მომსახურებისთვის ამოღებული თანხები მიეთვისებინათ და ტექნიკური დანაკარგებისთვის მიეწერათ ისე, როგორც ეს დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა სს „თბილგაზში“ (აღძრულია სისხლის სამართლის საქმე).

წყლის წლიური ტექნიკური დანაკარგები 150 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, ანუ მიწოდებული მოცულობის 41 პროცენტს. ხოლო ბუნებრივი გაზისა 30 პროცენტს აღემატება! ამ დროს, საინჟინრო სამსახურებისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს მიწოდებული წყლის თუ ბუნებრივი გაზის მოცულობის და ტექნიკური დანაკარგების დადგენა. „თბილგაზის“ ახალი გენერალური დირექტორი, ბატონი დავით მორჩილაძე საზოგადოებას დაპირდა, რომ პირველ რიგში ტექნიკურ დანაკარგებს დაადგენდა. მისასალმებელია ეს გადაწყვეტილება, რადგან მიგვაჩნია, რომ ამის გარეშე შეუძლებელია დარგის მართვა, სახსრების რაციონალურად განაწილება.

წლების განმავლობაში მძიმე ეკონომიკურ-ფინანსურ მდგომარეობაშია თბილისის მთავრობის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები. მათი უმეტესი ნაწილი ზარალიანია. მნიშვნელოვანია დებიტორული და ბანკის სასესხო კრედიტორული დავალიანებებიც. პარალიზებულია ბიუჯეტში ფინანსური რესურსების მოზიდვისა და ხარჯვის მექანიზმები. ამის მიუხედავად, მართვისა და კონტროლის არაეფექტური სისტემა უცვლელია, არ გამოიყენება საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი მართვის მეთოდები და მექანიზმები. აბსოლუტურად არაეფექტურია მუნიციპალური შპს-ების საქმიანობის კონტროლი მეთვალყურეთა საბჭოების მეშვეობით. იგი მხოლოდ მაღალჩინოსანთა მეგობარ-ახლობლების კეთილდღეობას ემსახურება, – მანქანა, მაღალი ხელფასი და წილი! ასეთი საბჭოების მუშაობა ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც კერძო აქციების მფლობელები ქმნიან მათ და აკონტროლე- [illegible] ცდილობს მართვის არსებული სისტემის შენარჩუნებას, აქტიურ წინააღმდეგობას უწევს რეალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, მისთვის დამახასიათებელი მართვის მეთოდებისა და მექანიზმების გამოყენებას. არადა, მხოლოდ ადმინისტრირებით შეუძლებელია რეალური შედეგების მიღება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ადმინისტრირება და კონტროლი კორუფციის ახალი წყარო ხდება.

ხელისუფლების უმაღლეს დონეზე მიმდინარე რეფორმები სათანადო ეფექტს ვერ მოგვცემს. თუ პარალელურად არ მოხდება ადგილობრივი მმართველობის სისტემის რეფორმაც, არ ჩამოყალიბდება ადგილობრივი მართვის ოპტიმალური სქემა, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად არ დადგინდება რეგულირების დონე ბუნებრივი მონოპოლიის, შეზღუდული ან თავისუფალი კონკურენციის პირობებში მომუშავე დარგებისთვის და არ შეიქმნება ადგილობრივი ნორმატიული ბაზა. ყოველივე ეს კი ქალაქის ხელმძღვანელობის პოლიტიკურ ნებას მოითხოვს.

ბუნდოვანი და გაუგებარია რა მოტივით ხელმძღვანელობდა ქალაქის მთავრობა ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორიცაა ცნობილ „სამკუთხედზე“ ცალმხრივი მოძრაობის დაწესება, ან ახვლედიანის ქუჩის ქვაფენილით მოკირწყვლა, გლდანის ცენტრალური მაგისტრალების ცალმხრივ მოძრაობაზე გადაყვანა. ისიც საინტერესოა, რატომ არ ხდება მიკროავტობუსებისთვის ადგილობრივი მოსაკრებლის 200 ლარამდე გაზრდის თაობაზე პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედება?

ამ თვალსაზრისით, დღევანდელ ეტაპზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კადრების პროფესიონალიზმს. სამწუხაროდ, ქვეყანაში პოლიტიკური სპექტრი ჯერ კიდევ არ დახვეწილა, პარტიებში თანამდებობის მაძიებელთა უამრავი მიტმასნილი პირია. ერთადერთ გამოსავლად საკვანძო თანამდებობებზე კადრების კონკურსის მეთოდით დანიშვნაა. მაშინ ნაკლები ალბათობა იქნება საპასუხისმგებლო პოსტებზე შემთხვევითი პიროვნებების მოხვედრისა.

კორუფციას ცალკეული დამნაშავის დაჭერით ვერ აღმოვფხვრით. მართვის სისტემა უნდა შეიცვალოს, იგი ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს. მაშინ საზოგადოებისთვის ადვილი გასასჯელი იქნება, რა როლს თამაშობს ქალაქში მიმდინარე პროცესების მართვაში პირადი ინტერესები, არაპროფესიონალიზმი თუ პოლიტიკური ნების უქონლობა...

**ჯუმბერ შენგელია,**
**თბილისის საკრებულოს ფრაქცია „სამართლიანობის“ თავმჯდომარე;**

**ზაურ კაჭარავა,**
**არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა თვითმმართველობის სრულყოფისთვის“ თავმჯდომარე;**

**რობერტ იანტბელიძე,**
**არასამთავრობო ორგანიზაციის „მძღოლი, გზა, სამართალი“ პრეზიდენტი;**

**სპარტაკ ქოზულია,**
**ჩვენი კორ.**

# ახალი წლის სიურპრიზები

**ადამიანთა ცხოვრებაში ახალი წელი ყველაზე ტრადიციული დღესასწაულია, თუმცა ტრადიციულად მას ყოველთვის სასიამოვნო სიუპრიზები არ მოაქვს. ამ მხრივ გამონაკლისი წლევანდელი წელიც რომ არ იქნებოდა, ეს ყველასთვის ცხადი იყო, თუმცა გაძვირების ასეთი „სიურპრიზი“ მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. ფასების გაზრდა ნებისმიერი მყიდველისთვის უსიამოვნო ფაქტია, რასაც ხშირად ხელისუფლების მიმართ პრეტენზიებით გამოთქვამენ. უბრალო მოქალაქისთვის არა აქვს მნიშვნელობა, მთავრობას ამ პროცესში რა წვლილი მიუძღვის, ან რას აკეთებს მის შესაჩერებლად. მთავარი მისთვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაა და არა გაუარესება. ორივე შემთხვევაში ყველაფერი მაინც ხელისუფლებას ბრალდება.**

## „რევოლუცია“ არ მოხდება

როგორც სტატისტიკის დეპარტამენტის სოციალური სამმართველოს უფროსი ნოდარ კაპანაძე აცხადებს, წლეულს პროგნოზის დონეზე ჩვენს ცხოვრებაში დადებითი რევოლუციური ცვლილებები არ მოხდება. თუ გავითვალისწინებთ ბოლო წლების დინამიკას, სიღარიბის აღმოფხვრის თვალსაზრისით ხელშესახები ძვრები მოსალოდნელი არ არის. ეს განსაკუთრებით შეეხება სოფელს, ამ წელს



სოფლად სიღარიბემ შეიძლება მოიმატოს კიდეც, თუ კი მთავრობა გადამჭრელ ზომებს არ მიიღებს.

თუ 2001 წელს საარსებო მინიმუმი 115 ლარი იყო, წლეულს მან შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისთვის ოფიციალურად 144,2 ლარი შეადგინა, საშუალო მომხმარებლისთვის – 126,5 ხოლო საშუალო ოჯახისთვის – 251,0 ლარი.

სიღარიბის ზღვარზე მყოფია ის ადამიანი, ვისაც 67 ლარი აქვს ხელფასი. 2005 წლის დასაწყისშივე ფასები გაიზარდა ყველზე, სიგარეტზე, წამლებზე. როგორც ბატონი ნოდარი გვარწმუნებს, წლეულს ფასები მოიმატებს, მაგრამ არა ისე, როგორც ეს 2004 წელს მოხდა – 2003 წელთან შედარებით. დღესდღეობით სიგარეტზე ფასების გაძვირება გამოიწვია აქციზის გაძვირებამ და კონტრაბანდის შემცირებამ.

ის, რომ კონტრაბანდა აღმოიფხვრება და ლეგალურ ბიზნესს გზა გაეხსნება, ეს ქვეყნისთვის კარგია, მაგრამ თვითონ ერთი ცალკე აღებული ოჯახისთვის ეს შეიძლება ცუდი იყოს. თუმცა გარკვეული დროის განმავლობაში შესაძლებელია ყველაფერი ეს დარეგულირდეს და წონასწორობა დამყარდეს.

უპირველესად, თუ გვინდა, რომ ბაზარზე პროდუქცია გაიაფდეს – სოფლის მეურნეობის განვითარებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, იმას, რომ სოფლად მოსახლეობას ნამეტი პროდუქცია გაუჩნდეს.

სტატისტიკის დეპარტამენტის, ფასების სტატისტიკის სამმართველოს უფროსმა ლია მღინარაძემ ჩვენთან საუბარში თქვა, რომ ფასები მართლა მნიშვნელოვნად გაიზარდა სურსათზე (4,5 პროცენტით), მათ შორის ბოსტნეულის, ბაღჩეულის, კარტოფილისა და სხვა ბოლქოვანების ჯგუფზე (10,6 პროცენტით), ასევე რძეზე, ყველსა და კვერცხზე, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს სოფლად მცხოვრები გლეხების მდგომარეობაზე. მათ არ აქვთ შესაძლებლობა, შექმნან ნამეტი პროდუქცია, რაც მაშინვე აისახება ქალაქის ბაზრებზე. ამიტომაც საშურია სოფლის მეურნეობის გეგმაზომიერად განვითარება, რაც უთუოდ იმოქმედებს ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე.

წლეულს ამ მიმართულებით მთავრობამ გადამჭრელი ზომები თუ არ მიიღო, შეიძლება სიღატაკემ კიდევ უფრო დაგვჯაბნოს.

**ლალი ქინქლაძე.**

## ხელფასები, პენსიები, დახმარებები

**წლეულს საბიუჯეტო სფეროში 115 ლარზე ნაკლები ხელფასი აღარ გაიცემა.**

**პენსიონერებს 1 იანვრიდან 28 ლარი დაენიშნათ, მეტი ყურადღება დაეთმობა სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებს.**

დასახულია ქვეყნის საბიუჯეტო მოწყობის არსებითი სრულყოფა. წინა წლებთან შედარებით მცირდება საბიუჯეტო დაწესებულებათა რაოდენობა, იზრდება უწყებების და ორგანიზაციების დამოუკიდებლობა.

სოციალური დახმარება აღარ იქნება ორიენტირებული მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიებზე.

ახალი საგადასახადო კოდექსით თვითდასაქმებული მოსახლეობა თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისაგან იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ეწევიან სხვა ადამიანთა შრომის ექსპლუატაციას.

2005 წლისთვის გადაისინჯება და განახლდება დედათა და ბავშვთა სამედიცინო დახმარების მინიმალური ბაზისური პაკეტი.

2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სოფლად გათვალისწინებულია 15 პროგრამული ღონისძიების განხორციელება, მათ შორის 10 არის მიზნობრივი პროგრამა, ხოლო 5 – საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით განსახორციელებელი პროექტი.

ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის მიხედვით, 2005 წლისათვის მშპ-ის ზრდის ტემპმა 6 პროცენტი უნდა შეადგინოს.

მოსახლეობის სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 384,1 მილიონი ლარი.

## ჯერ სიგარეტი და სასმელი გაძვირდა...

**წლევანდელ ახალ წელს ბაზარში ყველაფერს ცეცხლი ეკიდა. წლების წინათ ფასები როცა მატულობდა, ეკონომიკის ექსპერტები დოლარის კურსის ზრდის ტენდენციით ხსნიდნენ. ახლა პირიქით ხდება. დოლარის კურსი თანდათან ეცემა, ფასები კი მაინც მატულობს. იმასაც ამბობენ, ფასების ზრდა კიდევ გაგრძელდებაო.**

საინტერესოა, სიგარეტის აქტიური მომხმარებლები როგორ მოიქცევიან, იქნებ ახლა მაინც მიაქციონ ყურადღება კოლოფზე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გაფრთხილებას? სიგარეტზე, გასაგებია, მაგრამ ბენზინიც თუ გაძვირდა, ავტომანქანებს რა ვუყოთ? ნუთუ საჭისთვისაც თავის დანებება მოგვიწევს? ან იმ ადამიანებმა რა ქნან, ვისთვისაც მანქანა კომფორტი კი არა, გადაადგილების ერთადერთი საშუალება რომ არის? თუმცა სახელისუფლო შტოები ტელევიზიის საშუალებით გვმოძღვრავენ, საწვავზე და სიგარეტზე ფასების მომატება აქციზური გადასახადების მომატებამ გამოიწვიაო. მაგრამ არ მგონია, ამან შვება მოგვიტანოს. ნუთუ თვეების მანძილზე ახალ საგადასახადო კოდექსს იმიტომ ველოდით, რომ ცხოვრება კიდევ უფრო გაძვირებულიყო?

შევეცადეთ, რომ სიგარეტისა და ნავთობპროდუქტის რეალიზატორსა და მომხმარებელს გავსაუბრებოდით, გაგვეგო, „საახალწლო სიახლეებით“ ჩვენი ბიუჯეტი ივსება, თუ ზარალდება?

**ქეთინო ბეზღჰკორი, აფხაზეთიდან დევნილი, სიგარეტით მოვაჭრე:** ფასების მომატებამ, რა თქმა უნდა, რეალიზაციაზე იმოქმედა. ადრე რომ ვყიდდი, იმის ნახევარსაც ვერ ვასაღებ დღეს. მოდიან, ფასს კითხულობენ. უმეტესობა ვერ ყიდულობს და გაბრაზებული მიდის, თითქოს გაძვირება ჩემი ბრალი იყოს. იმასაც ამბობენ, ფასები კიდევ უფრო მოიმატებსო. განსაკურებით გაძვირდა უცხოეთიდან შემოტანილი სიგარეტი – 80 თეთრიდან 1 ლარამდე, ადგილობრივი კი 50-60 თეთრით. არ ვიცი, რა მეშველება, ოჯახში მარტო მე ვმუშაობ, ესეც თუ სამუშაოა, დღე და ღამე ქუჩაში ვარ.

**თინათინ გაბისონია, საბითუმო სიგარეტით მოვაჭრე:** ძვირიან სიგარეტს ნაკლებად ყიდულობენ, ყველას დაბალფასიანი უნდა, რაც ძირითადად ცხინვალიდან შემოდის, განსაკუთრებით კი, „ტროიკა“ და „ნოვოსტი“. ყველა მწეველმა, იცის, რომ სიგარეტი მავნეა, თან ჯიბესაც უცარიელებს, მაგრამ ვერ ელევიან. ეგეც არ იყოს, უარესი სიგარეტი ხომ უარესი ჯანმრთელობაც არის. ჩემი აზრით, ფასების მომატებით კონტრაბანდა უფრო ხელშესახები გახდება. ნეტავ ვცდებოდე, მაგრამ არა მგონია.

**რეზო სურგულაძე, ისტორიკოსი, უმუშევარი:** 25 წელია, სიგარეტს ვეწევი. ბევრჯერ მინდოდა მისი მი-



ტოვება, მაგრამ ყოველთვის მღალატობდა ნებისყოფა. ისედაც მრცხვენოდა, დედაჩემი რომ მაძლევდა სიგარეტის ფულს. ახლა ნამდვილად ვეღარ მოვთხოვ. თავი უნდა დავანებო, სხვა გზა არა მაქვს.

**ზენადი სურგულაძე, პენსიონერი:** 70 წლის კაცი ვარ, თითქმის 55 წლის სამუშაო სტაჟით. ვიცი, რომ სიგარეტი მავნეა, თანაც ჩემი ასაკისთვის, მაგრამ რა ვქნა, აგერ, ნახევარი საუკუნეა, ვეწევი... შეიძლება პური არ ვჭამო, მაგრამ სიგარეტს თავს ვერ დავანებებ. ჩემი პენსია 28 ლარი შეიძლება სიგარეტზეც კი არ მეყოს. რას ფიქრობს ჩვენი მთავრობა? გარდა მაგისა, რა, მარტო სიგარეტი გაძვირდა? მე არ ვიცი, მაგრამ ამბობენ, ნავთობპროდუქტებიც და სასმელიც გაძვირდაო. თუ ჩვენმა ხელისუფლებამ მარტო ფასების მომატებაზე იზრუნა, ეს სიკეთეს არ მოგვიტანს, არც ჩვენ, არც ჩვენს მთავრობას. „რევოლუციების“ გამოცდილება კი ქართველებს, იცოცხლეთ, ნამდვილად არ გვაკლია...

იმის გასაგებად, ბენზინი გაძვირდა თუ არა, კლიენტის მომლოდინე ტაქსის მძღოლს **ზურამ მჭედლიშვილს** გავესაუბრე.

– ამბობენ, გაძვირდაო, მაგრამ ჯერჯერობით არა მგონია. ადრე რა ფასშიც ვასხამდი მანქანაში ბენზინს, დღესაც იმ ფასში ვიყიდე. გაძვირება მეტაქსეების ბიუჯეტზე ძალიან იმოქმედებს. მე ძირითადად ღამით ვმუშაობ. მანქანა ჩემი არ არის, დაქირავებული მაქვს. ბენზინის გაძვირების შემდეგ კლიენტთა რიცხვი, ალბათ, შემცირდება, და ტაქსსაც თავს დავანებებ. მანქანის შეკეთებაც შემიძლია და სადმე ვიმუშავებ. 4 შვილი მყავს, ოთხივე მოსწავლე. უქმად ყოფნა რა ხეირს დამაყრის? – (აღელდა და ვერ დაწყნარდა ჩემი მოსაუბრე) – გუშინ ერთ პარლამენტარს მოვუსმინე, გვარი არ მახსოვს, ისე კი, ხშირად გვმოძღვრავს ტელევიზიით – ძლივს ეღირსა ჩვენს ქვეყანას, რომ თანამდებობის პირებს ნორმალური ხელფასები აქვთ, ალბათ აღარ მოიპარავენო. თქვე დალოცვილებო, მთავარი ეს არის? უმუშევრობა რომ იზრდება, რატომ მთავრობა ამას ყურადღებას არ აქცევს? თუ დააკვირდით, ახლა ყველა სამ-



სახურში ახალი უფროსი სტრუქტურული ცვლილებებით და რეფორმებით იწყებს მუშაობას, რაც უწინარესად ხალხის შემცირებით იწყება და მთავრდება. ნუთუ რეფორმა ეს არის? მათ კი აქვთ დიდი ხელფასები, მაგრამ რატომ საშუალო ფენაზე არ ფიქრობენ, ან პენსიონერს, თუნდაც გაორმაგებული პენსია – 28 ლარი ერთ თვეს ეყოფა?..

ზოგიერთი საკითხის გარკვევის მიზნით ფირმა „კანარგოს“ გენერალურ დირექტორს **ვასილ ხორავას** ტელეფონით ვესაუბრე:

***– ბატონო ვასილ, მაინტერესებს, ბენზინი გაძვირდა თუ არა. ზოოპარკთან მდებარე თქვენს ბენზინგასამართ სადგურში გამოვიარე, ოპერატორებმა ამიხსნეს, ჩვენთან კი არ გაძვირდა, პირიქით, გაიაფდაო. არადა, გაზეთები აჭრელებულია, ბენზინი გაძვირდაო, თქვენ რა კომენტარს გააკეთებდით?***

– ოპერატორებს მართალი უთქვამთ, ჩვენს სადგურებში ე.წ. „რეგულარი“, თუ ადრე, ე.ი. ახალ წლამდე 1,20 ლარი ღირდა, ახლა 1,05 ლარია. ყოველ შემთხვევაში, 1.40 ლარზე ძვირი ბენზინი არ ღირს.

***– როგორ, მარტო თქვენს ფირმაში გაიაფდა, თუ საერთოდ საუბარიც არ არის გაძვირებაზე?***

– ჩემთან ასეა, რაზეც მე პირადად ვაგებ პასუხს, სხვაგან როგორ არის, ამაზე ვერაფერს გეტყვით. პროგნოზზე ლაპარაკი ძნელია. ერთს კი ვიტყვი, დეკემბერში ბენზინზე საერთაშორისო ფასი არ გაზრდილა. ამიტომ გაძვირებას არ უნდა ველოდოთ. ეს დღეისთვის, მომავალში რა იქნება, ვერაფერს გეტყვით.

**ახალი წელი ჩვენმა ქვეყანამ ახალი საგადასახადო კოდექსით დაიწყო იმ იმედით, რომ ლიბერალური გადასახადები, და ისიც შემცირებული, თითოეულ მეწარმეს შვებას მოუტანს და ეს საკუთარ ბიუჯეტშიც სათანადოდ აისახება, მაგრამ ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეგვიძლია, რეალურად იგი რა შედეგს მოიტანს, უმრავლესობა უპირველესად ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ელის და არა გაუარესებას.**

**დაველოდოთ.**

**ნაზი იმნაიშვილი.**

### სოფლის მეურნეობის პროდუქტების საშუალო სარეალიზაციო ფასი აგრარულ ბაზრებში (კილოგრამებში)

| | *2004 წლის დეკემბერი* | *2005 წლის იანვარი* |
|---|---|---|
| ხორცი საქონლის – | 6 ლარი | 6-5 ლარი |
| ხორცი ცხვრის – | 5 ლარი | 4 ლარი |
| ხორცი ღორის – | 6 ლარი | 5 ლარი |
| ყველი იმერული – | 6 ლარი | 5 ლარი |
| სულგუნი – | 8 ლარი | 7,5 ლარი |
| ქათამი სოფლის – | 15 ლარი | 14 ლარი |
| ქათამი ფაბრიკის – | 13 ლარი | 8,5 ლარი |
| კარტოფილი – | 0,5 ლარი | 0,55 ლარი |
| ხახვი – | 0,8 ლარი | 0,8 ლარი |
| ნიორი – | 2,3 ლარი | 2,3 ლარი |
| კომბოსტო – | 0,4 ლარი | 0,5 ლარი |
| მწვანილი – | 5 ლარი | 6,5 ლარი |
| ვაშლი – | 1 ლარი | 1 ლარი |
| მსხალი – | 2 ლარი | 1,5 ლარი |
| ნიგოზი – | 14 ლარი | 11 ლარი |

## ამას მეწარმენი და მოვაჭრენი ამბობენ

**გიორგი ქოქრაშვილი, შპს „ფარმტრეიდის“ ხელმძღვანელი:** ევროპის ქვეყნებიდან შემოტანილმა წამლების ფასმა რვა პროცენტიდან ზემოთ უკვე მოიმატა. ეს მაჩვენებელი გაიზრდება თუ შემცირდება, ვერ გეტყვით. ამის წინასწარი პროგნოზირება ძნელია. ფასების გაზრდა ძირითადად ევროსთან მიმართებაში დოლარის გაუფასურებამ გამოიწვია, ჩვენ კი ამაზე ვართ დამოკიდებული. რაც შეეხება რუსულ და უკრაინულ მედიკამენტებს, მათი ფასი ჯერჯერობით არ გაზრდილა, იმის გარანტიას, რომ არც გაიზრდება, ვერავინ მოგცემთ, რადგან ეს დაბეგვრის ახალ რეჟიმზეა დამოკიდებული. მე ახალ საგადასახადო კოდექსს არ ვიცნობ და არ ვიცი არსებული შეღავათები მოიხსნა თუ არა. ან განბაჟება, რომელიც აქამდე ხუთი პროცენტი იყო, გაიზარდა თუ არა. მომატების შემთხვევაში ყველა მედიკამენტი, ეს იქნება ევროპული თუ რუსული, მნიშვნელობა არა აქვს, 35-40 პროცენტით გაძვირდება. ეს არც მოსახლეობისა და არც ჩვენთვის სასურველი არ არის.

ჩვენს ბაზარზე მედიკამენტების ოთხი დიდი ფირმაა, რომლებიც შესაბამისად ერთმანეთის კონკურენტებიც ვართ, ამიტომ მომატების შემთხვევაში ყველა ფირმა ერთნაირად გაზრდის ფასს და წამალს ნებისმიერ აფთიაქში ერთნაირი ღირებულება ექნება. უკვე გაძვირებულ წამლებზე მოთხოვნილება არ შემცირებულა, რადგან, სამწუხაროდ, ეს იმდენად აუცილებელი საშუალებაა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, რომ ავადმყოფი ამისთვის უკანასკნელ გროშსაც გაიღებს.



**ნინო სხირტლაძე, საჩუქრების მაღაზიის მფლობელი:** მე გასაყიდი ნივთები ახალ წლამდე შევიძინე, მაშინ ფასები მომატებული არ იყო. მომავალში კი, როგორ იქნება, არ ვიცი. ამბობენ, რომ ყველაფერი გაძვირდა, მე კი მთლიანად ბაზრობის ფასებზე ვარ დამოკიდებული. მაღაზიას იქიდან ვამარაგებ. თუ იქ გაძვირდება, შესაბამისად ფასს მეც ავწევ. არ ვიცი, რა უნდა ვქნა, ამდენ გადასახადს ძლივს ვიხდი, გაძვირების შემთხვევაში კი



კლიენტი მომაკლდება. ამიტომ მირჩევნია, დაბალი ღირებულება და მეტი რეალიზაცია მქონდეს, ეს ჩემთვისაც და მყიდველისთვისაც სასურველია...

**ლალი სიხარულიძე, ინდმეწარმე, ტანსაცმლის მაღაზიის მფლობელი:** პროდუქცია ინდოეთიდან შემოგვაქვს, საქონელს ფასს დოლარის კურსის მიხედვით არ ვადებთ, ჩვენ განბაჟების ღირებულებაზე ვართ დამოკიდებული. ჯერ კიდევ დეკემბრის დასაწყისში გავაძვირეთ ტანსაცმელი, რადგან საბაჟოზე ადრინდელთან შედარებით მეტი გადაგვახდევინეს, ახლა რაც მეტია ტვირთის წონა, პროცენტულად მით მეტის გადახდა გვიწევს. მომავალში ფასები მთლიანად ახალ საგადასახადო კოდექსზე იქნება დამოკიდებული. ამბობენ, რომ ახალ კანონში მეწარმეებისთვის ბევრი შეღავათია ჩადებული, ამიტომ, ვფიქრობ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**თამარ მერაბიშვილი, საკანცელარიო მაღაზიის გამყიდველი:** ძალიან მიხარია, რომ ფასების მომატება, ჯერჯერობით, ჩვენს საქონელს არ შეხებია, რაც ადრე ღირდა ყველაფერს ახლაც იგივე ფასებში ვყიდით, თუმცა იმის იმედი, რომ არ გაძვირდება, არა მაქვს. თუ მასობრივად ყველაფრის ფასი მოიმატებს, თავისთავად, მაშინ, საკანცელარიო ნივთებიც გაძვირდება. შვილები სკოლის მოსწავლეები მყავს და ვიცი, რამდენი წვრილმანია ბავშვისთვის საჭირო. ყველაფრის შეძენას კი არც თუ მცირე თანხები სჭირდება. ჯერ აქამდე ჩემს ხელფასს ძლივს ვაწვდენდი ოჯახს, ახლა კი რა უნდა ვქნა არ ვიცი, ძალიან განვიცდი...

**ნუნუ ჯიბღაშვილი, სუპერმარკეტის გამყიდველი:** პურპროდუქტების და ბურღულეულის გარდა, ყველაფრის ფასმა მოიმატა. გაძვირება კი, როგორც ჩვენმა უფროსმა თქვა, აქციზურმა მარკებმა გამოიწვია. ყველაფერმა 20-25 პროცენტით მოიმატა. თუ ყავა, შოკოლადი, კარამელი 10-50 თეთრით გაძვირდა, ადგილობრივი რძის პროდუქტები, მაგალითად ყველი, ერთიდან – ორ ლარამდე. თითქმის, ამდენითვე მოიმატა ხორცის პროდუქტებმაც. არ ვიცით ხალხს რა გვეშველება, დილის ცხრა საათიდან საღამოს ცხრა საათამდე ხუთ ლარზე ვმუშაობთ და ამ ფულით ერთი კილო ყველი ან ხორციც კი არ მოგვივა. ამ ქაოსს ხელისუფლებამ დროულად უნდა მიხედოს, ასე, მშიერი ხალხით ეკონომიკას ვერ გააძლიერებენ...

**დარეჯან ზიზია, ბავშვთა კვების მაღაზიის გამყიდველი:** ჩვენთან გასაყიდად, ძირითადად, უცხოური ფირმების ნაწარმია. ფასებს დოლარის კურსის მიხედვით ვცვლით. „ჰიპის“ ფირმამ ახალი წლიდან დაახლოებით 30 პროცენტით უკვე გააძვირა თავისი პროდუქცია. ამბობენ, რომ ანალოგიურად გაიზრდება ფასი სხვა დანარჩენი ფირმების ნაწარმზეც...

**მეტრო ახმეტელთან მდებარე ცენტრალური ბაზრის გამყიდველები:** – რა თქმა უნდა, ფასები მომატებულია. ვაშლი, რომელიც ადრე 80 თეთრი ღირდა, ახლა ლარნახევარი ღირს, ხორცი – 5-7 ლარამდე, ყველი – 5-6 ლარამდე, მანდარინი – 1,5. ეს იმიტომ, რომ ახალი წლის დღეებია. ამ დროს ყოველთვის ასე ხდება. სხვა წლებთან შედარებით წელს უფრო სიძვირეა. ვფიქრობთ, ფასები ხელოვნურად იზრდება, რასაც მთავრობამ უნდა მიხედოს, თორემ, აბა, გაძვირება ან გაიაფება მართლა ჩვენზე კი არ არის დამოკიდებული...

**ლელა მანაველიშვილი.**

**სიტუაცია**

## იოდი ჩვენი ჯანმრთელობისა ახლა სხვაგან უნდა ვეძიოთ?!

**ახლა, როცა საქართველოს ხელისუფლებას საზღვარგარეთ მცხოვრები ეროვნული ინტელექტუალური პოტენციალის მქონეთა ქვყანაში დაბრუნების კურსი აქვს აღებული, ქვეყნიდან მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა თუ ხელოვანთა გადინების პროცესის ხელოვნურად ინტენსიფიცირება, მისთვის ხელშეწყობა, ჩვენი ღრმა რწმენით, სხვა არაფერია, თუ არა საქმისადმი, მთლიანად ხალხისა და სამშობლოს მომავლისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომის აშკარად არმისაბაძი მაგალითი.**

**თუ კერძოდ რა გვაქვს მხედველობაში, ამის თაობაზე ქვემოთ მოგახსენებთ, თუმცა ოდნავ შორიდან დავიწყებთ.**

იოდი – ადამიანის ჯანმრთელობისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქიმიური ელემენტია, რომელიც ადამიანის ფარისებრი ჯირკვლის შემადგენლობაში შედის. ორგანიზმში მისი დეფიციტი იწვევს ჩიყვის განვითარებასა და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციურ დარღვევას; ბავშვებისა და მოზარდების ფიზიკურ და გონებრივ განუვითარებლობას; იმუნური და ნერვული სისტემების მოქმედების დასუსტებას; გულსისხლძარღვთა პათოლოგიას; უნაყოფობას, პოტენციის დაქვეითებასა და ფეხმძიმობის შეწყვეტას.

სწორედ ამიტომაა, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, მეცნიერები იოდირებული ჩაის შექმნას ცდილობდნენ, რომლის მეშვეობით ადამიანის ორგანიზმში იოდდეფიციტის შემცირება შესაძლებელი იქნებოდა. თუმცა, ამ პრობლემის გადაჭრისას ისინი გარკვეულ წინააღმდეგობებს წააწყდნენ. საქმე ის არის, რომ მოხარშვის შემდეგ ჩაიში არსებული ბუნებრივი ნაერთები იოდს „იჭერენ“, რის გამოც იგი ნაყენში არ კონცენტრირდება. იოდირებული პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელი ჩაის შექმნაზე (ვინაიდან მას სამკურნალო თვისებები არ გააჩნია) მუშაობდნენ როგორც რუსი, ასევე ქართველი მეცნიერები, თუმცა წარმატებას პირველებმა ქართველმა ფარმაკოლოგებმა მიაღწიეს. იოდირებული ჩაის მიღების ტექნოლოგია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წამალთა ტექნოლოგიის კათედრაზე დაამუშავეს, თავად ჩაის კი, რომელიც იოდთან ერთად A, B-2 და C ვიტამინებსაც შეიცავს, „კოლხი“ დაარქვეს.

გარდა ამისა, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ იოდდეფიციტს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში (რომ აღარაფერი ვთქვათ საქართველოზე, განსაკუთრებით კი მის მაღალმთიან რაიონებზე) ბავშვების 30 და მოზარდების 70 პროცენტი განიცდის. თითოეული ჯანმრთელი ადამიანისთვის იოდის ყოველდღიური ნორმა კი 100-დან 200 მილიგრამს უდრის. ამასთან ერთად, ბოლო დროს ჩვენში მოსახლეობას პროპაგანდას უწევენ, რომ იოდდეფიციტი დაძლიონ იოდირებულ სუფრისა თუ საჭმლის მარილის მოხმარებით. არადა, მარილში იოდის ნაერთის შეტანა წყალში გახსნილი სახით შეუძლებელია, ხოლო მშრალი მეთოდის გამოყენებისას კი, იოდის მოცულობის სიმცირის გამო (ორი გრამი კალიუმიოდიდი 100 კილოგრამ სუფრის მარილზე), მარილის მთელ მასაში მისი თანაბრად განაწილება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ყოველივე ამის თაობაზე ჩვენი მოსახლეობა საკმაოდაა ინფორმირებული, ვინაიდან პრესაში (მათ შორის ჩვენს გაზეთში) არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა, მაგრამ აღნიშნულ თემას კვლავ იმიტომ ვუბრუნდებით, რომ ამ უაღრესად საჭირო და, რაც მთავარია, ხარისხიანი კვების პროდუქტის ფართო სამრეწველო წარმოებას ჩვენში საშველი არ დაადგა.

2004 წლის ზაფხულში საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ იოდირებული ჩაის წარმოების ტენდერი ჩაატარა. ტენდერში იოდირებული ჩაის ორი სახეობა მონაწილეობდა: ერთი შპს „საქართველოს ჩაის კომპანიის“ მიერ გამოშვებული „ტონუსი“, ხოლო მეორე – „კოლხი“. ტენდერში გამარჯვებულად ჩაი „ტონუსი“ გამოცხადდა, თუმცა, როგორც სატენდერო კომისიის თავმჯდომარის თამაზ თხელიძის სახელზე დაწერილი ჩაი „კოლხის“ ტექნოლოგიის შემქმნელი სამეცნიერო ჯგუფის წევრების ერთობლივ განცხადებაშია აღნიშნული, **„...ჩაი „ტონუსის“ წარმოების ტექნოლოგიური და სამედიცინო დარღვევები სავსებით დასტურდება საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტებით (საქართველოს კანონი წამლის და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ და კანონქვემდებარე აქტები. ტომი 1, 1997 წელი, თბილისი. საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1996 წელი, № 007)“.** შემდგომ განცხადებაში მოყვანილია ამონარიდები აღნიშნული კანონებიდან და კანონქვემდებარე აქტებიდან, რომლებშიც ლაპარაკია მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე, რის შემდეგ, დასკვნის სახით, კერძოდ, ნათქვამია: **„ზემოაღნიშნული ეხება ჩაი „ტონუსის“ დამზადების ტექნოლოგიას მაღალი კონცენტრაციის და რაოდენობის სპირტის გამოყენებით. ასევე არამართებულია ის დასკვნა, რომ ჩაი „ტონუსი“ შენახვის ვადის გასვლის შემდეგ (ორი წელი) კარგავს თავის „სამკურნალო“ თვისებებს და იგი შეიძლება მოხმარებული იყოს როგორც ჩვეულებრივი ჩაი და სხვა“.**



ჩაი „ტონუსს“, რომელიც მოწოდებულია როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალება, არ გააჩნია პროდუქციის უვნებლობის **„სამედიცინო-ბიოლოგიური შეფასების დასკვნა...“** არადა, ჩაი „ტონუსის“ კოლოფს აქვს წარწერა **„რომ იგი აპრობირებული და რეკომენდებულია ენდოკრინოლოგია-მეტაბიოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრის მიერ, როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალება. ასეთი დასკვნის გაცემის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს.**

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩაი „ტონუსს“ ტენდერში მონაწილეობა მიზანშეუწონლად მიგვაჩნია, რადგან იგი გვთავაზობს სამკურნალო საშუალებას და არა ფართო მოხმარების პროდუქტს“,** – აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ ა. კალანდარიშვილი, ი. მონიავა, გ. გრიგორაშვილი და გ. წოწორია.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ტექნიკური და ტექნოლოგიური დეტალების განხილვისას ორი სახეობის ჩაის შეჯიბრში „კოლხი“ არამართებულად „დაისაჯა“. ახლა კი მის წარმოებას... უკრაინაში აპირებენ და სწორედ ეს გახდა წინამდებარე წერილის დაწერის მამოძრავებელი იმპულსი.

**ოთარ ტურაბელიძე.**

# კაცი ცილინდრით

## ზოგი რამ ახალი უინსტონ ჩერჩილზე

მეორე მსოფლიო ომის წლებში უინსტონ ჩერჩილის ხასიათში სულ უფრო მეტად ჭარბობდა თავგამოდებული ბანქოს მოთამაშე: იგი გამუდმებით ლავირებდა, არ ერიდებოდა ბლეფს, ჩადიოდა რისკიან, მაგრამ მუდამ გამართლებულ ფსონს. ჯერ იყო და, დიდი მიმოწერა გააჩაღა მუსოლინისთან, ცდილობდა დაეყოლიებინა იგი ნეიტრალიტეტის შენარჩუნებაზე, შემდეგ კი მთელი ყურადღება საბჭოთა კავშირზე გადაიტანა, რადგან მისი აზრით, მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს შეეძლო ნაცისტური აგრესიის შეჩერება. დუჩეს დაყოლიება ჩერჩილმა ვერ შეძლო, სტალინს კი სულ სხვა ინტერესები ამოძრავებდა – საიდუმლო შეთქმულება ჰიტლერთან, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირმა და გერმანიამ დაინაწილეს ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოთა ტერიტორიები.



1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, და ინგლისიც, როგორც მოკავშირე, ჩაება ომში. სახელდახელოდ ჩამოყალიბებულ დროებით სამხედრო მთავრობაში ჩერჩილმა დაიკავა სამხედრო-საზღვაო მინისტრის პოსტი. მან უმთავრეს ამოცანად დაისახა ის, რომ გერმანელებს მთელი ყურადღება გადაეტანათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომზე, ხოლო როცა 1939 წელს დაიწყო საბჭოთა კავშირ-ფინეთის შეიარაღებული კონფლიქტი, ლონდონმა კინაღამ გაგზავნა თავისი ჯარები ფინელების დასახმარებლად, რაც ინგლის-სსრ კავშირის შეიარაღებული დაპირისპირების ტოლფასი იქნებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

1940 წელს უინსტონ ჩერჩილი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გახდა (ამავდროულად მას თავდაცვის მინისტრის პოსტიც ეკავა). ეს უაღრესად მძიმე დრო იყო, რადგან, ბრიტანეთმა განიცადა მარცხი ინგლის-გერმანიის ფრონტზე. აუცილებელი გახდა ახალი მოკავშირეების გამოძებნა. რომელთაგან ყველაზე ძლიერები სსრ კავშირი და შეერთებული შტატები იყვნენ. როცა გერმანია თავს დაესხა სსრ კავშირს, ძალთა განლაგება უკვე ყველასთვის ნათელი გახდა, მით უმეტეს, რომ ექვსი თვის შემდეგ, იაპონიამ მიიტანა იერიში პერლ-ჰარბორში დაბანაკებულ ამერიკელთა სამხედრო ფლოტზე და შეერთებული შტატებიც ჩაება საომარ მოქმედებაში.

სტალინს არაერთგზის დაუსვამს ინგლისისა და შეერთებული შტატების წინაშე ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის საკითხი, მაგრამ ლონდონი და ვაშინგტონი მხოლოდ მაშინ ჩაუფიქრდნენ სერიოზულად ამას, როცა 1943 წლის ზაფხულში საბჭოთა ჯარებმა მთლიანად გაანადგურეს ფაშისტთა ურდოები კურსკის რკალთან, და უკვე აშკარა გახდა, რომ საბჭოთა არმიის წინსვლას დასავლეთის მიმართულებით ვერაფერი ვეღარ შეუშლიდა ხელს. მაშასადამე, სსრ კავშირი მარტოც გაუმკლავდებოდა ჰიტლერს. 1943 წლის ნოემბრის დამლევს გაიმართა თეირანის კონფერენცია, რომელზეც სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის მეთაურებმა მიიღეს გადაწყვეტილება მეორე ფრონტის გახსნის შესახებ.

1945 წლის თებერვალში, იალტის კონფერენციაზე, ჩერჩილმა, რუზველტმა და სტალინმა საბოლოოდ განსაზღვრეს გერმანიისა და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების ომისშემდგომი ბედი. იმავე წლის ზაფხულში ჩერჩილის მეუღლე ეწვია მოსკოვს, სადაც საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა იგი წითელი დროშის ორდენით „რუსეთის დახმარების ფონდის“ კომიტეტში გაწეული მუშაობისთვის. ლედი კლემენტინამ 1945 წლის 9 მაისს რადიოთი მიულოცა საბჭოთა ხალხს დიადი გამარჯვება.

სანამ ბრიტანეთი მშვიდობიან ცხოვრებაზე ოცნებობდა, ჩერჩილი ამუშავებდა სსრ კავშირისა და ევროპაში სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმებს. 1945 წლის 23 მაისს ჩერჩილი და ომის წლებში ჩამოყალიბებული მთავრობა გადადგა, მაგრამ სერ უინსტონს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მორიგ არჩევნებში გამარჯვებას მიაღწევდა. ამ განწყობილებით გაემგზავრა იგი პოტსდამში გამარჯვებული ქვეყნების კონფერენციაზე, სადაც აპირებდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის დაყოლიებას სსრ კავშირზე ძალისმიერი ზემოქმედებისთვის.

რადგან პოტსდამის კონფერენციის მუშაობა დაიწყო მანამ, სანამ ცნობილი გახდებოდა ინგლისში გამართული არჩევნების შედეგები, სპეციალურად გამოყვეს დრო იმისთვის, რომ ჩერჩილს შეძლებოდა ლონდონში ჩასვლა კენჭისყრის შედეგების გამოცხადებაზე დასასწრებად. პოტსდამიდან გამგზავრებისას იგი ყველას არწმუნებდა, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდა... მაგრამ ჩერჩილს მოულოდნელი დარტყმა ელოდა: ამომრჩევლებმა არ მისცეს ხმა მას და კონსერვატორთა პარტიას. სერ უინსტონისთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო. იგი ვერ ხვდებოდა, თუ რატომ მოხდა ეს.

სახელმწიფოს მართვას ჩამოშორებული ჩერჩილმა 1946 წლის 5 მარტს ამერიკის ქალაქ ფულტონის ვესტმისტერის კოლეჯში წარმოთქვა თავისი სახელგანთქმული სიტყვა, უფრო სწორად, ეს იყო ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ანტისაბჭოური პროგრამა. ითვლება, რომ სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო „ცივი ომი“ შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის.

1951 წლის 25 ოქტომბერს კონსერვატორებმა გაიმარჯვეს საარჩევნო კამპანიაში, და მომდევნო დღეს ჩერჩილი კვლავ გახდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი. ახლა იგი ფრთხილობდა, ახორციელებდა ზომიერ საშინაო პოლიტიკას, საგარეო პოლიტიკის სფეროში კი ბრიტანეთის პრემიერის მთელი ძალისხმევა მიზნად ისახავდა მჭიდრო კონტაქტს შეერთებულ შტატებთან და ერთობლივ ბრძოლას საბჭოთა კავშირის მხრიდან ატომური საფრთხის წინაშე. მაგრამ ამერიკელებს არ სურდათ „ბებერი ინგლისისთვის“ დაეთმოთ პრიორიტეტი სსრ კავშირთან ბრძოლაში და ჩერჩილის არაერთი მოგზაურობა შეერთებულ შტატებში „განსაკუთრებული ურთიერთობის“ დამყარების მიზნით, უშედეგო გამოდგა.



1953 წელს ნობელის კომიტეტმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს მიანიჭა პრემია ლიტერატურის დარგში. როცა სერ უინსტონის პოლიტიკურ მოღვაწეობაში იძულებით შესვენებების პერიოდები დგებოდა, იგი შვებას მწერლობაში ეძებდა. 1930-იან წლებში დაასრულა მრავალტომიანი ნაშრომი „მსოფლიო კრიზისი, 1916-1918“ და ავტობიოგრაფიული წიგნი „ჩემი ცხოვრების ადრეული წლები“, მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ექვსტომიან „ოჯახურ“ ეპოპეაზე „მარლბოროს ცხოვრება“.

მაგრამ ბოლო წლებში ჩერჩილს მწერლობისთვის არც ფიზიკური და აღარც ინტელექტუალური ძალები არ ჰყოფნიდა. მისი უკანასკნელი ნაშრომია ოთხტომეული „ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ხალხების ისტორია“.

ჩერჩილი უკვე 80 წლის იყო, მას ტანჯავდა ძლიერი დეპრესია და აშკარად კარგავდა სულიერ ძალებს. 1955 წლის 5 აპრილს, კონსერვატორ-პოლიტიკოსთა ახალგაზრდა თაობის ზემოქმედების შედეგად, სერ უინსტონმა დატოვა უკანასკნელი სახელმწიფო პოსტი.

პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ჩერჩილმა ცხოვრების ბოლო ათი წელი პენსიონერის სტატუსში გაატარა.

1965 წლის დამდეგს ჩერჩილი გაცივდა და ლოგინად ჩავარდა, 15 იანვარს კი ტვინში სისხლი ჩაექცა, რის შემდეგაც იგი გონს აღარ მოსულა...

1965 წლის 24 იანვარს ლონდონის „ტაიმსი“ იტყობინებოდა, რომ 90 წლის ასაკში აღესრულა მარლბოროს კლანის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული წარმომადგენელი სერ უინსტონ ჩერჩილი. გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე სერ უინსტონს დაუცდა ფეხი კაზინოს მარმარილოს კიბეზე და თეძოს ძვალი მოიტეხა. სამხედრო სანატორიუმში ყოფნის დროს, მან დაწერა საკუთარი დაკრძალვის სცენარი: „მე მსურს, რომ დამასაფლავონ როგორც უბრალო ჯარისკაცი“.

ჩერჩილის ანდერძი აღასრულეს, ოღონდ ერთი შესწორებით – ინგლისი იმპერიის უდიდეს ჯარისკაცს სამეფო ღირსებით მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე. საბჭოთა ტელევიზიამაც კი, რომლისთვისაც „კაცი ცილინდრით“ მუდამ იყო პერსონა ნონ გრატა, გადასცა სამგლოვიარო ცერემონიის რეპორტაჟი ვესტმინსტერის სააბატოს ტაძრიდან.

თვით სერ უინსტონ ჩერჩილი უკვე კარგა ხანია იქცა ძეგლად. მისი ბრინჯაოს ფიგურა ვესტმინსტერის ფონზე სადღეისოდ ლონდონის ისეთივე ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, როგორც ტაუერის ხიდი ან „დიდი ბენი“.

**(იბეჭდება მცირე შემოკლებით).**

**გიორგი ელინი,**
**„ვოკრუგ სვეტა“.**

**სურათებზე: ისტორიული ხელის ჩამორთმევა – ჩერჩილი, ტრუმენი, სტალინი პოტსდამში 1945 წელს; უინსტონ ჩერჩილის საფლავი ბლენჰეიმის მახლობლად.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 12-13.**


# განცხადება

## საქართველოს კონტროლის პალატა აცხადებს ღია ტენდერს საწვავის შესყიდვაზე

რეკვიზიტები – ქეთევან წამებულის №96, 0144 თბილისი

შესყიდვის ობიექტებია:

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

– ყველა შესასყიდი საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2005 წლის მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) 2005 წ. 4 თებერვლიდან – 7 თებერვლის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე:

**თბილისი (0144), ქეთევან წამებულის გამზირი №96, სართული 5, ოთახი №514.**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

– ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

– ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

**ფიზიკური პირებისათვის:**

– ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

– ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500 ლ.) გადახდის შემდეგ, მისამართზე – **ქეთევან წამებულის გამზირი №96, სართული 5, ოთახი №514, – ქართულ ენაზე,** 2005 წლის 15 თებერვლიდან – 17 თებერვლის 17 საათამდე.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა, დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა.

პრეტენდენტები ზემოთ ჩამოთვლილ მისამართზე, ყოველი შესყიდვის ობიექტზე წინადადებებს წარმოადგენენ ცალ-ცალკე.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს – თამარ ბოზელია, ტელეფონის ნომერი – 94-04-18, ქეთევან წამებულის გამზირი 96, ოთახი 514.**


# ბუშმა არ გამორიცხა ირანის წინააღმდეგ ომის დაწყების შესაძლებლობა

**„იმედი მაქვს, რომ ჩვენ ამ პრობლემის მოგვარებას შევძლებთ დიპლომატიური გზით, მაგრამ მე არც სხვა ვარიანტებს გამოვრიცხავ“, – განაცხადა „ენ-ბი-სი“ ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. საქმე, კერძოდ, ეხებოდა იმას, თუ რა ზომებს მიმართავს შეერთებული შტატები იმ შემთხვევაში, თუ ირანი კვლავაც განაცხადებს უარს შეასრულოს მსოფლიო გაერთიანების მოთხოვნა სამხედრო ბირთვული პროგრამის შეწყვეტის შესახებ.**



ვაშინგტონში მოელიან, რომ სენატში, სადაც უნდა გაიმართოს მოსმენა ქვეყნის ახალი სახელმწიფო მდივნის პოსტზე კონდოლიზა რაისის კანდიდატურის დამტკიცებასთან დაკავშირებით, შეერთებული შტატების პრეზიდენტის ამჟამინდელ მრჩეველს ეროვნული უშიშროების საკითხებში დაუსვამენ ასევე მრავალ კითხვას ამერიკა-ირანის ურთიერთობის თაობაზე.

ამავე დროს, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ უარყო ჟურნალ „ნიუ-იორკერში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს, ამერიკის სპეციალური დანიშნულების რაზმები საიდუმლოდ ახორციელებდნენ ერაყში სადაზვერვო ოპერაციებს და არჩევდნენ სამიზნეებს შესაძლო დარტყმების მიყენებისთვის, კერძოდ, იმ ობიექტებს, რომელსაც ირანი იყენებს ბირთვული და სარაკეტო პროგრამებისთვის. პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ლოურენს დირიტამ განაცხადა, რომ „ამ პუბლიკაციაში დაშვებულია უამრავი ფაქტობრივი შეცდომა, რის გამოც, იგი აბსოლუტურად არ არის სარწმუნო“.

სტატიის ავტორი სეიმურ ჰერში, წარსულში ცნობილი არაერთი ჟურნალისტური გამოძიების ავტორი, სპეცსამსახურებში თავისი წყაროების დამოწმებით წერდა, რომ შეერთებული შტატები ემზადება ირანში სამხედრო ოპერაციისთვის, რათა ამ ქვეყანას არ მისცეს ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობა. როგორც სტატიის ავტორს მიაჩნია, ბუშის ადმინისტრაცია ასეთ ზომებს მიმართავს საერთაშორისო ტერორიზმისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო სტრატეგიის ფარგლებში.

მანამდე კი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურმა მრჩეველმა დენ ბარტლეტმა „სიენ-ენ“ ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამერიკის ადმინისტრაცია კვლავ ძირითად ყურადღებას გაამახვილებს „დიპლომატიურ ინიციატივებზე“, რათა დაარწმუნოს თეირანი ბირთვულ ამბიციებზე ხელის აღების აუცილებლობაში.

# აფეთქება ერაყის ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭოს შენობასთან

**ამოქმედდა ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც ავტომობილში იყო დადებული. პოლიციის მონაცემებით, აფეთქების შედეგად დაიღუპა 3 და დაიჭრა 11 კაცი. ზოგიერთი დაჭრილის მდგომარეობა კრიტიკულია.**

წინასწარი მონაცემებით, ტერორისტული აქტი განახორციელა კამიკაძემ, რომელიც აფეთქებულ ავტომანქანაში იჯდა.

ერაყის ისლამური რევოლუციის უმაღლეს საბჭოს სათავეში უდგას აბდელ აზიზ ალ-ჰაკიმის გარდამავალი მთავრობა. თვით ალ-ჰაკიმის კანდიდატურა წამოყენებულია 30 იანვრისთვის დანიშნულ არჩევნებზე.

# ოპერაციის დროს ამერიკელებმა ერაყში 1363 სამხედრო მოსამსახურე დაკარგეს

**2000 წლის მარტიდან, ანუ ერაყში საომარი ოპერაციის დაწყების მომენტიდან, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგა 1363 ჯარისკაცი და ოფიცერი.**

როგორც პენტაგონი აცხადებდა, 1071 სამხედრო მოსამსახურე მოკლეს მოწინააღმდეგესთან საომარი შეტაკებების დროს, დანარჩენები კი დაიღუპნენ უბედური შემთხვევების შედეგად. გარდა ამისა, 10 ათასმა კაცმა მიიღო სხვადასხვა ხარისხის ჭრილობები.

სხვა ქვეყნების ქვეგანაყოფებმა, რომლებიც თავის დროზე შედიოდნენ, ან ახლაც შედიან კოალიციური ძალების შემადგენლობაში, ასევე განიცადეს დანაკარგები. დიდი ბრიტანეთის სამხედრო სარდლობა აცხადებდა, რომ ერაყში დაიღუპა 76 ინგლისელი ჯარისკაცი და ოფიცერი.



ამერიკული პრესის მონაცემებით, იტალიამ დაკარგა 19 სამხედრო მოსამსახურე, უკრაინამ და პოლონეთმა – 16-16, ესპანეთმა – 11, ბულგარეთმა – 7, სლოვაკეთმა – 3, ნიდერლანდმა, ესტონეთმა და ტაილანდმა – 2-2, ყაზახეთმა, ლატვიამ, დანიამ, უნგრეთმა და სალვადორმა – თითო ჯარისკაცი.

# 2014 წლისთვის კაცობრიობა ტოტალურად იქნება დამოკიდებული ინტერნეტზე

**ასეთია Pew Internet and American Life Project გავლენიანი კვლევითი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგები.**

გამოკითხვაში მონაწილეობენ მაღალტექნოლოგიათა დარგის წამყვანი სპეციალისტები, მეცნიერები, ანალიტიკოსები და ინტერნეტით უბრალო მოსარგებლეები.

გამოკითხვის მონაწილეთა აზრით, მსოფლიო ქსელის განვითარება გააუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს. მაგრამ ინტერნეტით მოსარგებლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფიქრობს, რომ მსოფლიო ქსელის განვითარებას ისიც მოჰყვება, რომ ტერორისტები ინტერნეტზე მიიტანენ „გამანადგურებელ იერიშს“. გამოკითხულთა 66 პროცენტი უახლოესი 10 წლის მანძილზე ელის ინტერნეტის ინფრასტრუქტურის ან შეერთებული შტატების ეროვნული ენერგოსისტემის დანგრევისთვის გამიზნულ დიდმასშტაბიან ტერორისტულ აქტს.

თუმცა, სპეციალისტთა ვარაუდით, ინტერნეტით მოსარგებლეთა ასეთი შიში უსაფუძვლოა. დიდმა შეტევამ მსოფლიო ქსელის წინააღმდეგ, შესაძლოა გამოიწვიოს მხოლოდ „გარკვეული უსიამოვნებები“, მაგრამ ეს, ალბათ, არ გახდება ადამიანთა დაღუპვის მიზეზი.

Pew Internet and American Life Project ორგანიზაციის სპეციალისტთა აზრით, მთავარი პრობლემაა ის, რომ კაცობრიობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული კომპიუტერულ ქსელზე. მაღალტექნოლოგიათა განვითარების უშუალო შედეგი გახდება ის, რომ გაქრება ისეთი ცნება, როგორიც არის „კერძო ცხოვრება“. სპეცსამსახურებს მიეცემათ მეტი საშუალება საეჭვო მოქალაქეების სათვალთვალოდ.

ასეთი ტენდენცია სამართალდამცველთა დიდ შეშფოთებას იწვევს. მეორე მხრივ კი, ინტერნეტის განვითარებამ, შესაძლოა, შეუწყოს ხელი მთელ რიგ ქვეყნებში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ინტერნეტთვალთვალის ტექნოლოგიებს გამოიყენებენ მსხვილი კორპორაციები უფრო წარმატებული სამარკეტინგო კამპანიების განსახორციელებლად.



2014 წლისთვის ინტერნეტი მაინც არ იქნება უსაფრთხო და საკმარისად დაცული ადგილი. სწორედ ამიტომ, უახლოესი ათი წლის მანძილზე, ამერიკელებს, ალბათ, არ ექნებათ საშუალება ინტერნეტით მისცენ ხმა ამა თუ იმ კანდიდატს პრეზიდენტის არჩევნების დროს, რადგან ქსელი საკმარისად დაცული არ იქნება.

# მოკლედ




**„ძალზე ვწუხვარ, ვინმე თუ გავანაწყენე, ან უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენე. ეს იყო კოსტიუმის მოუფიქრებელი არჩევა, რის გამოც, ბოდიშს ვიხდი“, – განაცხადა პრინცმა ჰარიმ.**

**ბრიტანელი უფლისწული კვლავ მოექცა სკანდალის ცენტრში. ლონდონურმა „სანდიმ“ პირველ გვერდზე დაბეჭდა ჰარის ფოტო, რომელზეც იგი გამოსახულია სვასტიკიანი სამკლაურით, ფოტოს კი ასეთი წარწერა აქვს: „ნაცისტი ჰარი“. ძნელია, ახალგაზრდა უფლისწულს დავწამოთ, თითქოს იგი ნაციონალ-სოციალიზმის იდეებს იზიარებდეს. ეს უფრო ახალგაზრდული თავქარიანობა იყო. თანაც, ფოტო გადაღებულია პრინცის მეგობართან გამართულ კერძო კოსტიუმირებულ საღამოზე, რომელიც უილტშირის საგრაფოში გაიმართა.**

* * *

**შრი-ლანკაში მოქმედებს „სტიქიური სპეციალური დანიშნულების რაზმები“. ქვეყნის რუკაზე გაჩნდება 15 ახალი ქალაქი. შრი-ლანკის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ახალი ქალაქების მშენებლობა.**



**გარდა ამისა, განხორციელდება 32 დიდი და საშუალო ქალაქის, 30 პატარა ქალაქის რეკონსტრუქცია. ქვეყნის აღდგენა მთავრობას 3,5 მილიარდი დოლარი დაუჯდება.**

* * *

**რუსეთი გახდა რიგით მეცხრე ქვეყანა, რომელშიც გამოჩნდა ფიჭური ტელეფონების Cabir.a ვირუსი. ამ მავნე პროგრამის პირველი მსხვერპლი რუსეთში გახდა აპარატი, რომელსაც Symbin OS საოპერაციო სისტემის პლატფორმად იყენებენ. ვირუსი აღმოაჩინეს გასული წლის ივნისში. იგი შექმნილია სპეციალურად სმარტფონებისთვის და დამანგრეველი ფუნქცია აქვს. მისი შემქმნელების მიზანი იყო, დაედასტურებინათ, რომ არსებობს Symbin სისტემისთვის ვირუსის შემუშავების რეალური შესაძლებლობა. ინფიცირების საშიშროება ყველაზე მეტად არსებობს მასობრივი თავშეყრის ადგილებში: მეტრო, კინოთეატრები, ვაგზლები, აეროპორტები.**

* * *

**66 წლის კათოლიკე-არქიეპისკოპოსი ბაზილ ჟორჟ კასმუსა, რომელიც შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს ერაყის ქალაქ მოსულში, გათავისუფლებულია. სასულიერო პირის გათავისუფლებისთვის გამტაცებლებმა მოითხოვეს 200 ათასი ამერიკული დოლარი. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, გადაიხადა თუ არა ვინმემ ეს თანხა.**

* * *



**ტაილანდის ხელისუფლება ინტერნეტის მეშვეობით გადასცემს სიკვდილით დასჯის ამსახველ კადრებს. ინტერნეტში ჩართულ კამერებს დაამონტაჟებენ ბანგკოკის მკაცრი რეჟიმის საპყრობილეში. ამ ციხეში ამჟამად იმყოფება ათასობით პატიმარი, რომლებსაც სიკვდილით დასჯა ელით.**

* * *



**საფრანგეთში იწყება „გაფიცვათა კვირეული“. ფოსტისა და რკინიგზის სამსახურების გაფიცულ მუშაკებს ექიმები და მასწავლებლები, ელექტრიკოსები და გაზის სამსახურის თანამშრომლებიც შეუერთდებიან. საბიუჯეტო ორგანიზაციათა მუშაკები მოითხოვენ, რომ მთავრობამ 5 პროცენტით გაზარდოს მათი ხელფასები, აგრეთვე, შეწყვიტოს სამსახურებიდან მასობრივი დათხოვნა.**

ჟამი შეჯამებისა




ალექსანდრე ჩიკვაიძე

# ომს მამები იწყებენ, ტყვია კი შვილებს ხვდება

## წიგნიდან — „პოლიტიკური ჭადრაკი"

დღიან აფხაზეთის დაკარგვისა, რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის გზა უსიამოვნო კატაკლიზმებითაა აღსავსე. ახალმა ათასწლეულმა ველარ არაფერი სიკეთე შემოგვთავაზა. თუმცა, მივყვეთ ქრონოლოგიურად:

2000 წლის 5 დეკემბრიდან რუსეთმა აამოქმედა სავიზო რეჟიმი საქართველოსთან მიმართებით. საყურადღებოა, რომ ეს რუსეთში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ლიდერების სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა. აი ასე, საბჭოთა ჰიმნის აკომპანიმენტის ქვეშ სავიზო რეჟიმის შემოღებით მიულოცა რუსეთმა საქართველოს ახალი წელი, ახალი საუკუნე, ახალი ათასწლეული...

მნიშვნელოვანია, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთათვის შემოიღეს „გამარტივებული რეჟიმი", რომლის მიხედვით, აღნიშნული ტერიტორიებიდან რუსეთში მოხვედრა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე იყო შესაძლებელი. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზები და ოსები [illegible] გარეშე ხვდებოდნენ რუსეთში, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრები სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ბერძნებისა და თავად რუსებისგან განსხვავებით.

2001 წლის აგვისტო-სექტემბერში კოდორის ხეობაში გამოჩნდა ბოევიკთა დაჯგუფება ცნობილი საველე მეთაურის რუსლან გილაევის ხელმძღვანელობით, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ნაკითხ და განათლებულ პიროვნებას უწოდებდა. ძნელად ასახსნელია, რა ჭეშმარიტ მიზანს ემსახურებოდა ეს ავანტიურა, თუმცა ერთი რამ ფაქტია — ამან ნამდვილად ვერანაირი ღირსება ვერ შემატა საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას. მოვლენები კი შემდეგნაირად განვითარდა: შეიარაღებული დაჯგუფების ნახევარი გაანადგურა რუსულმა ავიაციამ და აფხაზმა სამხედროებმა, ხოლო მეორე ნახევარი გილაევის ხელმძღვანელობით დაუბრუნდა პანკისის ხეობას.

ერთი რამ ფაქტია: ამან გამოიწვია სამართლიანი გაღიზიანება რუსეთის მთავრობაში , რაც აისახა საგარეო უწყების ნოტაში, რომელიც გაზეთ „ვრემია ნოვოსტეის" მიერ შეფასდა როგორც ულტიმატუმი. გაზეთის მტკიცებით, რუსულ-ქართული კონფლიქტი გახდება „თავისებური საცდელი ტესტი, რამაც უნდა მოახდინოს დემონსტრირება, თუ როგორ შეიცვალა საერთაშორისო კოორდინატთა სისტემა ნიუ-იორკის კოშმარის შემდეგ". ბევრი რამ იყო დამოკიდებული ვაშინგტონის რეაქციაზე — როგორ შეაფასებდა ის რუსეთის ახალ ანტიტერორისტულ ამოცანებსა და მათი გადაჭრის რუსეთისეულ გზებს.

ვაშინგტონმა, მიუხედავად მძიმე დროებისა, საქართველო არ გაწირა. მეტიც, საქართველოში გამოაგზავნა 200 სამხედრო ინსტრუქტორი, რომელთაც ქართული არმიის 1500 წევრს ჩაუტარეს ანტიტერორისტული სწავლებები „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში.

2002 წლის 27 თებერვალს პენტაგონმა გაახმოვანა პროგრამის დეტალები. არ დააყოვნა კრემლის რეაქციამაც. საგარეო საქმეთა მინისტრის ივანოვის განცხადებით, ეს მხოლოდ გაართულებდა რეგიონში შექმნილ სიტუაციას. ხოლო ფედერაციის საბჭოს სპიკერმა სერგეი მირონოვმა განაცხადა, რომ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ჰქონდა უფლება, „მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება და დახმარებისათვის მიმართოს სხვა ქვეყანას", თუმცა, იქვე დასძინა, რომ „ნებისმიერ შემთხვევაში რუსეთი მონაწილეობის გარეშე ვერ დატოვებს თავის სამხრეთ საზღვრებთან შექმნილ სიტუაციას, როდესაც საუბარი ტერორიზმის ფაქტების გამოვლინებას ეხება".

უკვე 28 თებერვალს სოხუმი აცხადებს თავის მზადყოფნას, დაამყაროს ასოცირებული ურთიერთობა რუსეთთან. იმავე დღეს ცნობილი ხდება, რომ აფხაზეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნობის საკითხი შეტანილია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში. კომიტეტის თავმჯდომარის იური როგოზინის განცხადებით, „დეპუტატებმა უნდა განიხილონ სახელმწიფო დუმის განცხადების პროექტი აფხაზეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის აღიარების შესახებ. ეს კი ასევე შესაძლებელია, შეეხოს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის აღიარებასაც". საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპასუხო განცხადებაში ვკითხულობთ: — „აშშ გეგმავს ქართული არმიის რამდენიმე ქვედანაყოფის მომზადებასა და ეკიპირებას ტერორიზმთან ბრძოლისა და პანკისის ხეობაში წესრიგის დამყარების მიზნით... ამ პროგრამის ძირითადად მიმართულია საქართველოს სუვერენიტეტის გაძლიერებისა და ტერორიზმთან ბრძოლისაკენ, რაც უნდა შედიოდეს თავად რუსეთის ინტერესებში".

12 აპრილი. რუსეთმა განახორციელა სამხედრო ქვედანაყოფებისა და ტექნიკის ვერტმფრენებით დესანტირება კოდორის ხეობის სოფელ აჟარასთან. იმავე საღამოს ბერლინიდან კომენტარს აკეთებს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში დიტერ ბოდენი და აცხადებს, რომ „არ არსებობს არანაირი შეთანხმება, რომელიც გაამართლებდა რუსეთის საჯარისო შენაერთების აქციას კოდორის ხეობაში". პრეზიდენტი შევარდნაძე გაემგზავრა ხეობაში. შედგა მისი სატელეფონო საუბარი პრეზიდენტ პუტინთან. შედეგად, რუსული შენაერთები დაუბრუნდნენ დისლოკაციის ადგილს. იბადება ბუნებრივი შეკითხვა: მაშ, ვისი მითითებით განხორციელდა ეს აქცია?

ივნისი, 2002. ყოფილი საბჭოთა კავშირის პასპორტების მფლობელთათვის რუსეთის მოქალაქეობის მიღების გაიოლებული რეჟიმის შემოღების შესახებ რუსეთის სახელმწიფო დუმის გადაწყვეტილების შედეგად დაიწყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა სრული პასპორტიზაცია. მართებულად ჟღერდა ჩვენი მთავრობის განცხადება, რომ „ეს გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, გულისხმობს ფარულ ანექსიას და საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის მცდელობას". სამხრეთ ოსეთის უღიარებელი რესპუბლიკის ლიდერი ედუარდ კოკოითი კი ღიად აცხადებს სურვილს რუსეთთან ამ რეგიონის მიერთების შესახებ. მსგავსი მოვლენები ვითარდებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზეც.

აგვისტოს დასაწყისი. პასპორტიზაციასთან დაკავშირებული ვნებები ცხრება საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებზე აფეთქებული ბომბების ხმაურში. ეუთოს მისიამ, რომელიც რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მონაკვეთის მონიტორინგს ახორციელებდა, დააფიქსირა 2 აგვისტოს საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიის დაბომბვის ფაქტი, რაც რუსი გენერლების მიერ პრევენციულ დარტყმებად შეფასდა. ამ ფონზე გაკვირვება არ გამოუწვევია დსთ-ის ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის კონსტანტინე ზატულინის განცხადებას, რომ პანკისის ხეობაში სამხედრო მოქმედებების განხორციელება რუსეთს არ სჭირდება, ეს მხოლოდ „მოსკოვის წინააღმდეგ საერთო კონსოლიდაციას" გამოიწვევს. მისი თქმით, ბევრად ეფექტური იქნებოდა „რუსეთის პოზიციების გამაგრება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომლებიც ოფიციალური თბილისისათვის პრობლემატურ მონაკვეთებს წარმოადგენენ და სადაც რუსეთის მოქალაქეების დიდი რიცხვია თავმოყრილი". ამაში პოლიტოლოგი, სამხედრო ფაქტორების გარდა, ოსეთისა და აფხაზეთის ეკონომიკურ აღორძინებას გულისხმობდა.

23 აგვისტო. დაბომბვა უკვე მიზანმიმართულია. დაიღუპა ერთი და დაიჭრა შვიდი მშვიდობიანი მოქალაქე. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ოფიციალური განცხადებით შეშფოთებას ვერ ფარავს 23 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო თვითმფრინავების მიერ განხორციელებული დაბომბვების გამო.

ნოემბერი, 2002. რუსეთი ბლოკავს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გენერალური მდივნის მიმართვის ტექსტის განხილვას კონფლიქტის მხარეებისადმი, რაც ე. წ. „ბოდენის დოკუმენტის" განხილვის დაწყებასა და თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილების გაყოფას გულისხმობდა. საინტერესოა, რომ ამ დოკუმენტის შედგენა რუსეთის, როგორც „მეგობარი ქვეყნების" წევრი სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა, თუმცა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს მანამდე არასოდეს დაუფიქსირებია. საქართველოს საგარეო უწყების წარმომადგენლის კახა სიხარულიძის განცხადებით, ეს „განუმტკიცებს ამბიციებს აფხაზურ მხარეს, რომელიც უარს აცხადებდა ნებისმიერი წინადადების განხილვაზე ერთიანი საქართველოს ფარგლებში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის მიზნით".

და ბოლოს, დეკემბერი, 2002. დაიწყო სოჭსა და სოხუმს შორის რეგულარული ელექტრომატარებლების მიმოსვლა. რუსეთმა კვლავ არათუ არ შეუთანხმა თავისი ეს ნაბიჯი ოფიციალურ თბილისს, არამედ საერთოდაც არ გააგებინა ქართულ მხარეს.

აფხაზეთი კვლავ რჩება ქართული სახელმწიფოებრიობის ყველაზე დიდ ტკივილად, იარად, მუდმივ წინააღმდეგობად ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების გზაზე. რჩება, ვიდრე რეალურად არ გამოიძებნება პრობლემის გადაჭრის გზა.



დრო მკურნალიაო, ნათქვამია, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში იგი ქართველი და აფხაზი ხალხის წინააღმდეგ მუშაობს. დაღვრილია სისხლი და ამ ტრაგედიით შობილი სიძულვილის გამოსწორებას, ვინ იცის, რამდენი თაობის ძალისხმევა დასჭირდება. რაც დრო გადის, აფხაზეთში მკვიდრდება, მტკიცდება ილუზია, რომ იგი გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელიც არასოდეს ისურვებს საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში თანაცხოვრებას.

ბუნებრივად ისმის კითხვა: რა გზები აქვს საქართველოს ხელისუფლებას იმისათვის, რომ აღადგინოს სტატუს-კვო აფხაზეთთან მიმართებაში. დღეს აფხაზებსა და ქართველებს შორის შერიგების გზების ძიებაა საჭირო. უფრო ღრმა, ორმხრივი დიალოგია აუცილებელი. ამას კი იმ პოლიტიკოსთა თაობა და ის მთავრობა ვერ შეძლებდა, ვინც თავის დროზე ვერ განჭვრიტა დიდი ტრაგედიის მოახლოება, არსებითად, არაფერი იღონა ომის თავიდან ასაცილებლად და, ფაქტობრივად, მოვლენები თვითდინებაზე მიუშვა. ორივე მხრიდან მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა მოვიდეს პოლიტიკოსთა ის ჯგუფი, ვისაც უნდა და მორალური უფლებაც აქვს კომპრომისი და შერიგება ეძიოს...

პირველ რიგში, ვფიქრობთ, რეალურად და საჯაროდ უნდა შეიცვალოს ჩვენი დამოკიდებულება აფხაზეთსა და აფხაზი ხალხის მიმართ. უნდა პრევალირებდეს კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. ისტორიულად, საუკუნეების მანძილზე ვცხოვრობდით ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში. ამ გეოგრაფიულ გზაჯვარედინზე ერთად ვიზიარებდით ავსა და კარგს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ხელისუფლების განცხადებები „ფართო ავტონომიის" შესახებ, არასოდეს ატარებდა კონკრეტულ ხასიათს. ასეთი მიდგომით ვერ ჩამოყალიბდება ნდობა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია საუბარი ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში თანაარსებობაზე. მსგავსი შენიშვნები არაერთხელ გამოუთქვამთ აფხაზეთის წარმომადგენლებს შეხვედრებისას. „ახალი კონსტიტუცია საქართველოს აცხადებს ფედერალურ სახელმწიფოდ, თუმცა, ფედერალიზმთან დაკავშირებული ყველა საკითხის გარკვევას მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ გულისხმობს. ბუნებრივია, რომ ეს დამოკიდებულება მხოლოდ აძლიერებს აფხაზი ხალხის უნდობლობას საქართველოს ხელისუფლების რეალური მიზნებისადმი".

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი არასდროს არც ერთი ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო დონეზე კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა, მაგრამ, სამწუხაროდ, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ოფიციალური თბილისის მხრიდან კონკრეტული წინადადებები ერთიანი სახელმწიფოებრივი სივრცის მოწყობის შესახებ, საერთოდ არ გაჟღერებულა. თუმცა, იყო წინადადებები არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის ან მოძრაობის მხრიდან, რაც არ შეიძლება განხილული ყოფილიყო, როგორც საქართველოს ოფიციალური პოზიცია. ასიმეტრიული სახელმწიფო მოწყობის მოდელად შეიძლება გამოდგეს რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობის წინადადება, რომლის მიხედვითაც, „სახელმწიფო ფორმად მიზანშეწონილია განხილულ იქნეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს მოდელი, რომლის შემადგენელი სუბიექტები იქნებიან საქართველოს რესპუბლიკა და აფხაზეთის რესპუბლიკა. თბილისი და სოხუმი შექმნიან ერთიანი სახელმწიფოს კონსტიტუციას. საქართველოს ერთიანი სახელმწიფო მოწყობილი იქნებოდა ასიმეტრიული რეგიონიზმის პრინციპით".

ამასთან, ერთ-ერთ პრიორიტეტულ და მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ ეკონომიკური დაინტერესების გაზრდა. არსებული მდგომარეობა, „არც ომი, არც მშვიდობა", სახიფათო და უპერსპექტივოა ორივე მხარისათვის, სერიოზული ბარიერია სრულიად კავკასიური სტაბილურობისა და თანამშრომლობისათვის. რეგიონული მოწყობის პრინციპების განხილვისას აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ უნდობლობა მკვეთრად გამოხატული ხასიათისაა და ადვილად აიხსნება შექმნილ ვითარებაში: ქართული მხარე, შიშობს, რომ აფხაზებისათვის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას ტერიტორიაზე დევნილების დაბრუნებამდე აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება გამოიყენებს საქართველოსგან გამოყოფის ოფიციალური და სამართლებრივი გაფორმებისათვის. ხოლო აფხაზები თვლიან, რომ დევნილთა დაბრუნების შემდეგ უკვე დემოკრატიული გზებით (რეფერენდუმი, არჩევნები) საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მიაღწევს აფხაზთათვის იმ უფლებების შეზღუდვასაც, რასაც ისინი საბჭოთა პერიოდში ფლობდნენ. შექმნილ ვითარებაში წინა პლანზე უნდა წამოვიდეს ეკონომიკური განვითარების აუცილებლობა. ეკონომიკის უკლებლივ ყველა სფეროში, რითაც როგორც აფხაზი, ასევე ოსი ხალხისათვის ბუნებრივად მიმზიდველი გახდება ერთიანი ქართული სახელმწიფო. აფხაზეთის საქართველოში სრული რეინტეგრაციის ძირითად პრობლემად აფხაზებისათვის თვითმოწყობის გარანტიების შექმნაა, ანუ აფხაზებს უნდა მივცეთ თავიანთი უფლებების მთელი კომპლექსის რეალიზაციის საშუალება. მარტივი ჭეშმარიტებაა — აფხაზებმა უნდა დაინახონ, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს სივრცეში არსებობისას მათ ექნებათ მეტი საშუალება საკუთარი პოტენციალის რეალიზაციისათვის, ვიდრე ნებისმიერ სხვა პირობებში. მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოში ცხოვრება აფხაზთათვის უნდა იყოს მომგებიანი, მშვიდი და უსაფრთხო... აფხაზეთის რეინტეგრაციის რეალური შანსი გამოჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველო გახდება ძლიერი, საკუთარი თავისა და სხვათა პატივისმცემელი და პატივცემული სახელმწიფო, სადაც დაცული იქნება ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათი უსაფრთხოება, გარანტირებული იქნება ეკონომიკური კეთილდღეობა, კანონის რეალური და არა მხოლოდ დეკლარირებული უზენაესობა...

აუცილებლად გასათვალისწინებელია რუსეთის ფედერაციის როლი. სამხრეთ კავკასიის რეგიონში დიდ მეზობელთან უარყოფითი ურთიერთობების სპეციფიკური ბალანსია დაცული: აზერბაიჯანს — ირანთან, სომხეთს — თურქეთთან, საქართველოს — რუსეთთან. ეს იმის ფონზე, რომ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის გასაღები, გვსურს ჩვენ ეს თუ არა, პირველ რიგში, რუსეთში უნდა ვეძებოთ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ დახმარებაზე რუსეთი წამოვა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დარწმუნდება, რომ მას სამხრეთ საზღვარზე საქართველოს სახით ისეთი მეზობელი ჰყავს, რომელიც ანგარიშს გაუწევს რუსეთის პოლიტიკურ და გეოგრაფიულ ინტერესებს. ამას რუსეთის ფედერაცია ერთმნიშვნელოვნად ვერ გრძნობდა წინა ხელისუფლებასთან ურთიერთობის დროს. ეს კი, შესაბამისად, ართულებდა ჩვენი ქვეყნის მთლიანობის აღდგენის საკითხს. ამ მიმართულებით საჭირო იქნება ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების დამკვიდრება და გაჯანსაღება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ცხოვრებაში. მახსენდება რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის 2001 წლის 12 ოქტომბრის განცხადება, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს შიდა საქმეა, მან შემდგომ დაამატა: „თუ საქართველო გადაწყვეტს აღნიშნულ საკითხს ძალის გამოყენებით, რუსული სამხედროების მონაწილეობას იქ ადგილი არ ექნება". მსგავსი დადებითი ტენდენციის საფუძველი ალბათ ის ფაქტია, რომ 11 სექტემბრის ცნობილი მოვლენებიდან ერთი თვის შემდეგ აშშ კონგრესში განხორციელდა მოსმენები კავკასიასა და კასპიის რეგიონში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია კონგრესზე გაჟღერებული შემდეგი სიტყვები: „ჩვენ აუცილებლად გვჭირდება რუსეთთან თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლაში და, ცხადია, რომ ამისთვის მოგვიწევს დათმობაზე წასვლა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმით, რომ რუსეთს გავუხსნით ხელებს საქართველოში. უფრო მეტიც, საქართველო არ უნდა გახდეს ჩეჩნეთში რუსული სამხედრო აქციის წარუმატებლობის გასამართლებელი მიზეზი. რუსეთს აშშ ადმინისტრაციის მიერ უმაღლეს დონეზე უნდა განემარტოს, რომ ცენტრალურ აზიაში თანამშრომლობა არ გულისხმობს აშშ-ის მიერ საქართველოში რუსეთის მოქმედებებზე თვალის დახუჭვას" და შემდეგ: „დროა დავამტკიცოთ, რომ უმძიმეს პერიოდშიც კი აშშ მზადაა, მხარი დაუჭიროს სტაბილურობას საქართველოში და საქართველოს გავლით — მთელ კავკასიურ რეგიონში".

ვფიქრობ, რეალიები, რომლებიც 11 სექტემბრის შემდეგ წარმოჩინდა, სერიოზულ ანალიზს და, ჩვენი მხრივ, პოლიტიკურად გათავისებას საჭიროებს. სავარაუდოდ, კორექტივი ელოდება ბევრ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ პროექტს, მათ შორის — სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ინტერესებთან პირდაპირ კავშირში. სრულიად ნათელია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები, მესამე ქვეყნები, შუამავლები, სახალხო დიპლომატია და სამშვიდობო პროცესის სხვა კომპონენტები დაგვეხმარებიან კონფლიქტის მოგვარებაში, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში თავად კონფლიქტს ვერ მოაგვარებენ. სამხრეთ კავკასიაში, სადაც საზოგადოება ჯერ კიდევ შორს არის იმისგან, რომ ხელისუფლებამ მას აზრი ჰკითხოს (ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ე. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში), მხოლოდ პოლიტიკურ ნებას და ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს შეეძლო, დაეძრა საკითხი მკვდარი წერტილიდან.

წინსვლა შეინიშნებოდა დსთ-ის წევრი სახელმწიფოების 2001 წლის 30 ნოემბრის სამიტის შემდეგ, რომელზეც რუსეთმა დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ არ შეუშლის ხელს გაეროს მიერ შესაბამისი რეზოლუციების მიღებას. დიდი აჟიოტაჟი ატყდა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დიტერ ბოდენის მიერ მომზადებული დოკუმენტის ირგვლივ, „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ", რომელიც არაერთხელ იქცა გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების თბილისში აკრედიტებული ელჩების განხილვის საგნად. 2000 წლის 30 ოქტომბერს ის უნდა განხილულიყო და მიღებულიყო გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ. მაგრამ ასე არ მოხდა. ამის ფონზე დსთ-ის სამიტზე რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული განცხადება საქართველოს ხელისუფლების მიერ აღიქმებოდა, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი. მიუხედავად ამისა, კონკრეტული არაფერი გაკეთებულა...

მახსენდება რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ივლიანე ხაინდრავას სიტყვები მოსკოვში, არასამთავრობო ორგანიზაციათა შეხვედრაზე: „ჩვენ დიდი ხანია, ვცხოვრობდით უფროსი ძმის სინდრომის პირობებში. შევეჩვიეთ კიდეც ამას, მაგრამ არ შევეგუეთ და ახლა, ზოგჯერ შენიღბულად, ზოგჯერ კი ღიად ცდილობენ ჩვენს დაჩოქებას, ეს უკვე აღიქმება როგორც „მამის სინდრომი".

დღეს საქართველოს ახალი ხელისუფლების წინაშე ორი უმწვავესი პრობლემაა — აფხაზეთი და სამაჩაბლო. სრულიად კონკრეტული პრობლემა — როგორ უნდა მოხდეს მათი დე იურე და დე ფაქტო დაბრუნება ერთიან ქართულ სახელმწიფო სივრცეში? ცალსახა პასუხი არ არსებობს. ძალის გამოყენებას თავიდანვე გამოვრიცხავ, ვინაიდან აქ პერსპექტივა არ არსებობს და დღევანდელ მსოფლიო წესრიგში ეს არაფრისაკენ მიმავალი განზრახვაა. ამის დასტური უამრავი ცნობილი მიზეზია, რის ჩამოთვლასაც არ შევუდგები. ძალისმიერი მეთოდით პრობლემის შექმნაა მხოლოდ შესაძლებელი და არა — მოგვარება. ამდენად, მოკლედ მინდა შევაჯერო და კიდევ ერთხელ გავიმეორო ის ძირითადი, რაც, ჩემი აზრით, გასათვალისწინებელია აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან მიმართებაში.

პირველი. გვინდა თუ არ გვინდა, კონფლიქტების დარეგულირების გასაღები მოსკოვშია. ეს სავსებით ნათელი გახდა ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე — ნატოში ახალი წევრების მიღებამ და ავღანეთის კრიზისის გამო ამერიკელების შესვლამ შუა აზიის რესპუბლიკებში რუსეთი, ფაქტობრივად, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ალყაში მოაქცია.

**(დასასრული იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ" № 297-299, 301-303 — 2004 წ. № 6-13 — 2005 წ.

## ინფორმაცია

### ტექნიკური ხარვეზის გამო...

საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტის ერთ-ერთი ავტორი, პარლამენტის წევრი გიგა ბოკერია აღიარებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილ საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების ვადა ტექნიკური ხარვეზის გამოა გამორჩენილი.

როგორც ბოკერიამ „ინტერ-პრესს" განუცხადა, პარლამენტში განხილვისას პროექტში ნებისმიერი ხარვეზი გასწორდება.

საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს წარუდგინა, დეპუტატთა 150 კაცამდე შემცირებას ითვალისწინებს. თუმცა, პროექტში დაკონკრეტებული არ არის 150-კაციანი პარლამენტის უფლებამოსილების ვადა.

### უცხოელი ბიზნესმენები მათი უფლებების დაცვას საქართველოს პრეზიდენტს სთხოვენ

„საქართველოს თამბაქოს წარმოების" აქციათა 90 პროცენტის მფლობელი არაბი ინვესტორები „საქართველოს სამართლებრივ სივრცეში გამეფებულ კორუფციაზე" საუბრობენ და აცხადებენ, რომ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში არაფერი შეცვლილა".

უკმაყოფილო ინვესტორის ჰუსეინ ალის ოფიციალური წარმომადგენლები საქართველოში იასირ აბდულ ლატიფი და მუნა ფირიანი სახელმწიფო კანცელარიასთან საპროტესტო აქციას მართავენ და პრეზიდენტისათვის ღია წერილის გადაცემას გეგმავენ.

მანამდე კი ინვესტორებმა სპეციალური განცხადება გაავრცელეს, სადაც ნათქვამია, რომ „დღევანდელი აქციის გამართვის მიზეზი პრობლემისადმი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის გულგრილი და არაპროფესიონალური მიდგომა გახდა". განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ „ექსპერტიზის დასკვნის გაცემა ხელოვნურად ფერხდება და მათთან მიმართებაში ადგილი აქვს ელემენტარული და დაუფარავი „ფაშიზმის" გამოვლინებებს".

უცხოელი ინვესტორები აცხადებენ, რომ დიდი ოდენობით ზარალთან ერთად, ყოველ ნაბიჯზე ილახება მათი ბიზნეს და მორალური უფლებები. „კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საქართველოში არაფრად აგდებენ უცხოელ ინვესტორებს და მათ პრობლემებს, რადგან ქართული ტელეკომპანიების მეშვეობით გადაიცემა ფილმები, რომლებიც შავი პიარის უბინძურესი მაგალითია და მათზე კომენტარის გაკეთების საშუალებას არ გვაძლევენ", — განაცხადა ლატიფმა.

ინვესტორის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჰუსეინ ალიმ არაერთხელ სცადა სამართლებრივი გზით დაემტკიცებინა თავისი სიმართლე. „ვინაიდან აღნიშნულმა მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო, იძულებულები ვართ მივმართოთ პროტესტის უკიდურეს ფორმას და საკუთარი უფლებები პრეზიდენტთან დავიცვათ, რომელიც, იმედია, საქართველოში უცხოელი ინვესტორების მდგომარეობით დაინტერესდება", — აღნიშნულია განცხადებაში.

### შინაგანი ჯარი პანკისის ხეობიდან გამოვიდა

პანკისში დისლოცირებულმა შინაგანი ჯარების ნაწილებმა ხეობა დატოვეს. გაუქმებულია ყველა ბლოკ-საგუშაგო და ყაზარმა, 300-მდე ჯარისკაცმა, რომლებმაც ექვს თვეზე მეტი იმსახურეს, სამხედრო ბილეთი მიიღო და სახლში დაბრუნდა.

შინაგანი ჯარების კუთვნილი ყაზარმების მატერიალურ ქონებას რამდენიმე ოფიცერი იცავს. მათ რამდენიმე დღის საკმარისი სურსათი აქვთ და ხეობას უახლოეს დღეებში დატოვებენ.

2001 წლის დეკემბერში შინაგანი ჯარების ნაწილების ხეობაში შეყვანას ადგილობრივი მოსახლეობა იმედით შეხვდა. რთული კრიმინოგენური ვითარება სტაბილურობით შეიცვალა, ბლოკ-საგუშაგოების საშუალებით ხეობაში ყველა შესასვლელ-გასასვლელი კონტროლდებოდა.

შინაგანი ჯარების ნაწილების გასვლას როგორც პანკისში მცხოვრები ადგილობრივი, ასევე ჩეჩენი ლტოლვილების მხრიდან აზრთა სხვაობა მოჰყვა. ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ხეობიდან ჯარის გასვლა კრიმინოგენურ ვითარებას გაართულებს. მათი თქმით, უკონტროლო ტერიტორიაზე შესაძლოა, კვლავ შეიარაღებული დაჯგუფებები გამოჩნდნენ. მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ პანკისში სტაბილური ვითარებაა და ჯარი საჭირო აღარ არის.

პანკისის ხეობაში წესრიგის დაცვაზე საპატრულო პოლიციელები და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის წევრები იზრუნებენ. მათი ერთი ნაწილი სოფელ დუისის საკრებულოს შენობის სამ ოთახშია განთავსებული.

### ტენდერი ფინიშს მიუახლოვდა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემისა და სპექტრში გამსხივებელი წყაროების საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმარების პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია 21 თებერვალს გამოვლინდება.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ტენდერი შარშან 5 ნოემბერს გამოაცხადა და მისი ვადა 17 იანვარს ამოიწურა.

როგორც კომისიის მიერ გავრცელებულ პრესრელიზშია ნათქვამი, ამ ტენდერის მიმართ დაინტერესება ოთხმა მსხვილმა კომპანიამ გამოთქვა: „როდე და შვარცი", „აეროსისტემს ინტერნეშენალ", „AsD6" და „კურტ მიტტერფელნერ".

გამარჯვებულის გამოსავლენად სატენდერო საბჭოს მოსამზადებელი სხდომა 24 იანვარს გაიმართება, რომელზეც დამკვირვებლებად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები იქნებიან მიწვეულნი.

პრეს-რელიზში აღნიშნულია, რომ ტენდერის დასრულების შემდეგ, საქართველოს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე თანამედროვე მონიტორინგის სისტემა ექნება.

ინტერ-პრესი.

◉ პრესკონფერენცია

# „მართვეს“ ფრთები არ უნდა შეეჭრას!

**ამ სურათზე აღბეჭდილი ჩოხოსანი ბიჭუნები ანსამბლ „მართვეს“ მომღერლები არიან. მას ყველასათვის ცნობილი ანზორ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობს. ამ ახალგაზრდებს არა მარტო ჩვენთან, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სცენაზე არაერთხელ უსახელებიათ საქართველო და საკუთარი ერი. ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლეს კი, სადაც ისინი ფრთიანდებიან, უჭირს. თითქოს პრობლემა არ უნდა იყოს, რადგან სასახლის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი სასახლის დირექტორს თამაზ ანდღულაძეს მაგიდაზე უდევს (ამ პროექტის 3 ეგზემპლარი თბილისის მერიაში ინახება, მაგრამ ფაქტია, რომ უჭირს).**

პრესკონფერენციაზე, რომელიც სასახლის დიირექტორის კაბინეტში გაიმართა, გაკვირვება გამოთქვეს, როგორც სასახლის პედაგოგიური კოლექტივის წევრებმა, ისე ანზორ ერქომაიშვილმა და ფრიდონ სულაბერიძემ. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ აუცილებელია იმის შენარჩუნება, რაც ჩვენს მომავალს ეკუთვნის. იქ ითქვა, რომ, ეტყობა, საქმის მდგომარეობის შესახებ, კარგად არ არიან ინფორმირებული საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი და სხვები.

არადა, აფორიაქებულია სასახლის წრეებსა და კლუბებში გაერთიანებული 800-ზე მეტი მოსწავლე, მათი 70 პედაგოგი (მიზერულ ხელფასზე მომუშავენი). სასახლეს 4 წელიწადია აფინანსებს დედაქალაქის ბიუჯეტი, წლეულს კი ამოვარდა... მიზეზი გაურკვეველია, ზერელედ კი ამ საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება.

ანზორ ერქომაიშვილი: – ქართული ფოლკლორის აღორძინებას ყოველმხრივი ხელშეწყობა სჭირდება. „თეთრმა შურმა“ შემაწუხა, როცა კორეაში გასტროლებზე ჩასულმა ვნახე, მსოფლიოს 24 ქვეყნის წარმომადგენელი როგორ გულშემატკივრობდა თავისი ქვეყნის ფოლკლორს, ზრუნავდა მის მომავალზე. ახლა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა ხალხური ფოლკლორის აღორძინებას. ჩვენი ქვეყნისთვისაც ფოლკლორი ერთ-ერთი პრიორიტეტული უნდა იყოს. მისი ძირი სწორედ აქ არის, აღმაშენებლის 103-ში მდებარე მოსწავლეთა ფოლკლორის სასახლეში, დღეს აქ აღზრდილი ჭაბუკები უდგანან სათავეში საქართველოში არსებულ არაერთ სიმღერისა თუ ცეკვის ანსამბლს. ნუ მოვშლით კარგ ტრადიციას...

...დირექტორის მაგიდაზე, როგორც ვთქვით, დევს ფოლკლორის ბავშვთა ცენტრის რეკონსტრუქციის პროექტი, მაგრამ დაფინანსებას საშველი არ ადგება. სანამდე?

არაფრით შეიძლება, რომ ბიჭუნათა ანსამბლ „მართვეს“ ფრთები შეეჭრას. კულტურაც და ტრადიციაც წარსულიდან შემოგვრჩა, „ჩაკრულო“ და „მრავალჟამიერი“ სამუზეუმო ექსპონატად ვერ იქცევა. როგორ, ამ სასახლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა თავშესაფარი შემდეგ კარდაკარ ეძიონ?

პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა მთხოვეს, ხმა მიგვეწვდინა მათთვის, ვისაც ეს ეხება. ნურვინ დაიშურებს დახმარებას ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლისადმი...

**ნათელა ფაილოძე.**



შპს „ნაკადული“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას № 15.

◉ ახალი სეზონი



# საიუბილეო სამზადისი

**თბილისის „დინამოს“ წლეულს 80 წელი უსრულდება. საიუბილეო თარიღის აღნიშვნას ღირსეულად ვაპირებთ – ვიმედოვნებთ, ხელშეწყობა მთავრობის მხრიდანაც გვექნება, გამორიცხული არც რომელიმე ძლიერი უცხოური კლუბის მოწვევაა, – განაცხადეს გუშინ დიღმის ბაზაზე გამართულ წინასასეზონო პრესკონფერენციაზე კლუბის მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ, თან უახლოესი გეგმებიც გაგვაცნეს.**

– ვარჯიშები 5 იანვრიდან განვაახლეთ. ბუნებრივია, იმავდროულად სამედიცინო შემოწმებაც გავიარეთ. საწვრთნელი პროცესის I ეტაპი დღეს მთავრდება, ხოლო ხვალ 10-დღიან შეკრებაზე კვიპროსზე მივემგზავრებით, სადაც ამხანაგურ შეხვედრებს გავმართავთ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“, ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიასთან“, ხორვატეთის „სარტიდთან“ და რუმინეთის „არჯეშთან“. სამშობლოში ხანმოკლე დაბრუნების შემდეგ მოსამზადებელი ციკლის დასკვნით რაუნდში ესპანურ კურორტ მარბელას ვეწვევით და 3-5-7 თებერვალს შესაბამისად დონეცკის „შახტიორს“, მოსკოვის „სპარტაკსა“ და სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ ვეთამაშებით.

– ჩვენთან ამჟამად 28 ფეხბურთელი ვარჯიშობს, მათ შორის მძიმე ტრავმების შემდეგ გამოჯანმრთელებული კაშია და გრიგალაშვილი. უკვე დინამოელად შეგიძლიათ ჩათვალოთ ნოზაძე, რომელმაც კონტრაქტს ახლახან მოაწერა ხელი. ალბათ, წარმატებით დასრულდება ბაბუნაშვილის დამატების საკითხიც, ჭელიძის, შალამბერიძისა და ყველასათვის სასურველი ჯამარაულის ბედი კი ჯერჯერობით გაურკვეველია. გაუწყებთ იმასაც, რომ გუშინ ჩაიშალა მოლაპარაკებები მეგრელაძესთან. რაც შეეხება დანაკლისს, „ციურიხში“ გადავიდა ახალაია, „ალანიაში“ – ბურდული, ხოლო „თბილისში“ – შაშიაშვილი და იაშვილი.





– ლოზანაში, საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში, სავარაუდოდ, იანვრის ბოლომდე განიხილავენ ალადაშვილის დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით ჩვენი კლუბისა და სფფ-ს მიერ ერთობლივად შეტანილ სარჩელს, რომელშიც მოვითხოვთ მისი სანქციის შერბილებას, რაც გულისხმობს კახასთვის ეროვნული ჩემპიონატისა და ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობაზე უფლების მიცემას. შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ თემაზე ფიფას სააპელაციო კომიტეტმა თავის დროზე უარით გამოგვისტუმრა.

– სელექცია ჩვენს კლუბში ამჟამადაც გრძელდება, თუმცა უცხოელთა დამატებას ჯერჯერობით არ ვაპირებთ, – ესეც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ითქვა.

**გია პლატონიშვილი.**

**სურათებზე: დავით პეტრიაშვილი და გია გეგუჩაძე.**

◉ ჩვენებურები



# მენთეშაშვილიც, კორღალიძეც

**შარშან სეზონის მიწურულს რიგის „სკონტომ“ მსოფლიო რეკორდი დაამყარა – ზედიზედ მეთოთხმეტედ გახდა ლატვიის ჩემპიონი. მიზნის მიღწევაში მთავარი მწვრთნელის შეცვლასაც არ შეუშლია ხელი: ალექსანდრ სტარკოვმა ხომ რიგა დატოვა და მოსკოვის „სპარტაკს“ ჩაუდგა სათავეში.**

როცა „სკონტოს“ ახლანდელ წარმატებებს აღნიშნავენ, უპირველესად მობილურ ნახევარდაცვას გამოყოფენ, სადაც ჩვენებურები – ზურაბ მენთეშაშვილი და ლევან კორღალიძე გამოირჩევიან. მათ გარდა, „სკონტოში“ არაერთხელ ითამაშა გიორგი ყიფიანმაც. აქვე მოღვაწეობს მენეჯერი მიხეილ ძოძუაშვილი, რომლის მამამ – შესანიშნავმა ქართველმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა არც ისე დიდი ხნის წინათ ბევრი რამ გააკეთა „სკონტოსა“ და ლატვიის ნაკრების ასაღორძინებლად.

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას“ განცხადებისა გამო. ქონებას წარმოადგენს:

1. ყარადაღ-თბილისის I ხაზის 484-497 კვ. მონაკვეთის უფუნქციო 720 მმ-იანი დიამეტრის საერთო სიგრძით 1234.2 გრძ. მეტრი გაზსადენი მილი.

2. ნატახტარი-გორის მონაკვეთის უფუნქციო 720 მმ-იანი დიამეტრის საერთო სიგრძით 280 გრძ. მეტრი გაზსადენი მილი.

3. ყარადაღ-თბილისის I ხაზის 497-506 კვ. მონაკვეთის უფუნქციო 530 მმ-იანი დიამეტრის საერთო სიგრძით 1121.1 გრძ. მეტრი გაზსადენი მილი.

4. ყარადაღ-თბილისის II ხაზის 480-483 კვ. მონაკვეთის უფუნქციო 820 მმ-იანი დიამეტრის საერთო სიგრძით 528 გრძ. მეტრი გაზსადენი მილი.

5. რუსთავი-თელავის განშტოება საგურამო-გურჯაანის მონაკვეთის უფუნქციო 325 მმ-იანი დიამეტრის საერთო სიგრძით 98.1 გრძ. მეტრი გაზსადენი მილი.

6. ახალციხის ზონა უფუნქციო 320 მმ-იანი დიამეტრის საერთო სიგრძით 3015 გრძ. მეტრი გაზსადენი მილი.

7. საგურამო-გორის მონაკვეთზე უფუნქციო 720 მმ-იანი დიამეტრის საერთო სიგრძით 1719 გრძ. მეტრი გაზსადენი მილი.

8. საგურამო-გორის მონაკვეთზე უფუნქციო 820 მმ-იანი დიამეტრის საერთო სიგრძით 3479.6 გრძ. მეტრი გაზსადენი მილი.

9. რუსთავის აგგს-დან ცენტრალურ მაგისტრალამდე უფუნქციო 9 მმ-იანი სისქის 700 მმ დიამეტრი საერთო სიგრძით 1100 გრძ. მეტრი გაზსადენი მილი.

ვისაც შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია აღნიშნული ქონების გამო, უნდა განაცხადოს პრეტენზია წერილობითი ფორმით ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში (არაყიშვილის ქ. № 3) თავიანთი უფლების შესახებ 03 (სამი) თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა.

**მოსამართლე: ა. კახნიაური.**

მიმდინარეობს სს „დელიტას“ ლიკვიდაცია. დაინტერესებული იურიდიული და ფიზიკური პირები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:

38-20-06; 53-69-87.

სალიკვიდაციო კომისია.

## ინფორმაცია საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“:

1. 15.09.04 ნომერში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდა ს/გზის კმ. 28-32 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „გზის მშენებელი-11“.

2. 15.09.04 ნომერში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა თბილისი-სენაკი-ლესელიძე ს/გზის კმ. 16-28 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების (ლოტი-2) შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „თრიალეთი“.

3. 02.06.04 ნომერში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ს/გზებისა და ხელოვნური ნაგებობების პერიოდული შეკეთებისა და რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების გაწევის შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ტრანსპროექტი“.

4. 31.10.04 ნომერში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა სენაკი-ფოთი-სარფი ს/გზის 65-ე კმ.-ზე მდ. ჩოლოქზე ხიდის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ზიმო“.

5. 31.10.04 ნომერში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთი ს/გზის 55-ე კმ.-ზე, სოფ. ქაქუთთან, მდ. ჩოლოქზე ხიდის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა სს „ორიონი“.

6. 31.10.04 ნომერში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესყიდვას, ზონების მიხედვით გაიმარჯვეს შემდეგმა ორგანიზაციებმა:

| № | ზონა | გამარჯვებული ორგანიზაცია |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 1 | ზონა №1 | შპს "თელავის საგზაო სამმართველო" |
| 2 | ზონა №2 | სს. "კავკასავტომაგისტრალი" |
| 3 | ზონა №3 | შპს "საქართველოს სამხედრო გზა" |
| 4 | ზონა №4 | შპს "ცეკური" |
| 5 | ზონა №7 | შპს "იბოლია" |
| 6 | ზონა №8 | შპს "გზამშენი-5" |
| 7 | ზონა №9 | შპს "ავტოგზა-2000" |
| 8 | ზონა №10 | შპს №25 სსს "უჩა" |
| 9 | ზონა №11 | შპს "ლატექსი" |
| 10 | ზონა №12 | შპს "ამბროლაურგზა–7" |
| 11 | ზონა №13 | შპს "ჯ და ჯ" |
| 12 | ზონა №15 | შპს "მესტიის საგზაო სამმართველო" |
| 13 | ზონა №16 | შპს "გზამშენებელი-13" |
| 14 | ზონა №17 | შპს "ოზურგეთის საგზაო სამმართველო" |

სატენდერო კომისია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელმწიფო-სამართლებრივი ოლიმპიადის „ადამიანი და კონსტიტუცია“ საორგანიზაციო კომიტეტი იწვევს ზოგად საგანმანათლებლო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს და უმაღლესი სასწავლებლების სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებს ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად.

განაცხადების მიღება წარმოებს ამა წლის 31 იანვრამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სახელმწიფო-სამართლებრივი ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს.

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის ქ. № 29. ტ. 99-04-21, 92-08-34.

◉ თაოგა

# ძმასთან პარტიას ჩხუბით ამთავრებს

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. მონაწილეთა შორის გახლავთ ათწლიანებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ფოთელი ნინო ანაკიძე. დიდებთან პაექრობისას ხუთ ტურში მოპოვებული 2 ქულა ბრძენთა თამაშის ნორჩი მოყვარულისთვის სულაც არ არის ურიგო.**



**– რატომ აირჩიე მაინცდამაინც ჭადრაკი?** – ვკითხე ნინოს გუშინ მორიგი ტურის დამთავრების შემდეგ.

– ეს შემთხვევით მოხდა, – მითხრა მან. – დედას ბიძაშვილი ჩემს ძმას – გიას ჭადრაკის სვლებს ასწავლიდა. ერთ დღეს მეც გამიტაცა ჯადოსნური ფიგურების მოძრაობამ. თოჯინებს თავი მივანებე და 64-უჯრიან დაფასთან გადავინაცვლე...

მაშინ ნინო ანაკიძე 5 წლისა იყო, ამჟამად იაკობ გოგებაშვილის სახელობის ფოთის სკოლა „ბალავარის“ მე-5 კლასის მოსწავლეა. 6 წლისამ ძმასთან ერთად საჭადრაკო კლუბ „ნანაში“ დაიწყო ვარჯიში დავით კოდუას ხელმძღვანელობით. ოთხი თვის შემდეგ მშობლიურ ქალაქში გამართულ საახალწლო ტურნირში იასპარეზა.

– შეჯიბრებაში ორმოცდაათამდე დამწყები მოჭადრაკე გოგონა და ვაჟი მონაწილეობდა, – მითხრა ნინომ. – გიამ პირველი ადგილი დაიკავა, მე მეორე ადგილი მხვდა, მგონი, მაშინ დავითარსე, რადგან მას შემდეგ მნიშვნელოვან შეჯიბრებებში სულ მეორე ადგილზე გავდივარ.

ნინო ანაკიძე 2001 წელს ქობულეთში გამართულ საჭადრაკო ფესტივალზეც მეორე იყო რვაწლიანთა შორის – თანაქალაქელმა თათია ბურსულაიამ გაუსწრო. თბილისში ინწკირველის მემორიალზე მარიამ დანელიამ აჯობა. სამაგიეროდ, შარშანწინ ჯავრი ბიჭებზე იყარა – ქარსელაძის მემორიალში ვაჟთა გუნდის („ნანა“) პირველ დაფაზე ითამაშა და ყველა მეტოქეს სძლია. იმავე წელს ბათუმში შავი ზღვის აუზის ქვეყნების პირველობაზე რვაწლიანთა შორის ანა მარდალეიშვილთან ერთად თანაბარი ქულებით I-II ადგილები გაიყო, თუმცა, უარესი კოეფიციენტით აქაც ვერცხლის მედალი ხვდა. ასევე მოხდა ფოთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზეც – პირველობა უკეთესი კოეფიციენტით ქუთაისელმა ვიკა ბობოხიძემ წაართვა, აი, თანატოლ ვაჟებში კი ყველა დაჯაბნა.

**– ყველაზე მეტად რომელი შეჯიბრება დაგამახსოვრდა?**

– საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე გამართული მსოფლიო პირველობა. საქართველოდან 25 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ხუთდღიანი მგზავრობის შემდეგ ძლივს ჩავაღწიეთ ჰერაკლიონში. საზღვარზე დღენახევარი გაგვაჩერეს, რადგან ჩვენს მძღოლს საერთაშორისო მართვის მოწმობა არ ჰქონდა.

ტურნირი კარგად დავიწყე – ოთხი შეხვედრიდან ყველა მოვიგე. მეხუთე ტურში მერი არაბიძესთან დავმარცხდი. მერიმ შარშან შესანიშნავად ითამაშა, ჯერ თურქეთში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, მერე კრეტაზე თერთმეტივე ორთაბრძოლა მოიგო და იქაც ოქროს მედალი დაიმსახურა.

შეჯიბრების ბოლომდე ლიდერთა შორის ვიყავი, თუმცა ვერცხლის მედლის ბედი მხოლოდ მე-11 ტურში გაირკვა. მეტოქედ მყავდა ჩინელი ჰია ქსიუ, რომელსაც მესამე ადგილზე გასასვლელად მოგება სჭირდებოდა. კარგად ვითამაშე და პარტია ყაიმით დავამთავრე, რამაც ვიცე-ჩემპიონობა მომიტანა. ეს ჩემთვის დიდი წარმატება იყო, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს მწვრთნელებს – ბატონ დავით კოდუას და ბატონ გივი გოგიჩაიშვილს.

კრეტაზე სასიხარულო კიდევ ის იყო, რომ ქართველებმა ოთხი მედალი ავიღეთ. მერისთან ერთად ჩემპიონი გახდა ბელა ხოტენაშვილი, მესამე ადგილზე გავიდა მაკა ფურცელაძე. დაჯილდოებისას დარბაზში მოვიდნენ კუნძულზე მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები ხუთჯვრიანი დროშებით. ტურნირის ყველა ქართველ მონაწილეს სამახსოვრო სუვენირები გადმოგვცეს.

**– შეჯიბრებაზე გასამგზავრებლად ვინ დაგაფინანსა?**

– მსოფლიო და ევროპის პირველობებზე წასასვლელად ფოთის მერია დაგვეხმარა მე, ჩემს ძმას და ბატონ დავით კოდუას. საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ მეორე ადგილის დაკავებისთვის მერიამ ათასი ლარითაც დამაჯილდოვა. ფოთელმა ჟურნალისტებმა წლის ბოლოს გამოკითხვა რომ ჩაატარეს, საუკეთესოებში მეორე ვიყავი კრივში ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ევროპის ვიცე-ჩემპიონ ნიკა იზორიას შემდეგ, რამაც ძალიან გამახარა. დიდი მადლობა ყველას – ვინც დამეხმარა და დამაფასა.

**– ნინო, წლეულს რა გეგმები გაქვს?**

– ყველა ტურნირში გამოვალ, რომელიც საქართველოში გაიმართება. შარშანდელი ვიცე-ჩემპიონობით მსოფლიო პირველობის საგზური უკვე მაქვს. ახლა ათწლიანთა შორის ევროპის პირველობის საგზურისთვის ვიბრძოლებ.

**– სკოლაში როგორ სწავლობ?**

– ოთხებზე და ხუთებზე. კი მინდა, უკეთ ვისწავლო, მაგრამ ყოველდღიურად 4-5 საათს ჭადრაკში რომ ვიმეცადინებ, ვიღლები და სკოლის გაკვეთილებს ისე ველარ ვერევი, როგორც მინდა. თანაკლასელები და მასწავლებლებიც მეხმარებიან.

**– ჭადრაკის გარდა რა გიტაცებს?**

– ფეხბურთი, კრივი, ცურვა. სკოლაში ხელბურთსაც ვთამაშობ. ტელევიზორში ოლიმპიურ თამაშებს ვუყურე. ძალიან გამახარა ზურაბ ზვიადაურისა და გიორგი ასანიძის გამარჯვებამ.

ჰო, მართლა, ხატვაც მიყვარს – ხშირად მოდელების ესკიზებს ვხატავ.

**– ძმას თუ ეთამაშები ჭადრაკს?**

– იშვიათად, ისიც ბლიცებს, რადგან სერიოზულ პარტიებს ყოველთვის ჩხუბით ვამთავრებთ.

**– სამომავლოდ რას აპირებ?**

– პროფესიონალი მოჭადრაკე მინდა გავხდე – დიდოსტატი და მსოფლიო ჩემპიონი.

*როგორც ვხედავთ, ნორჩ მოჭადრაკეს დიდი მიზნები აქვს. მის ნიჭსა და მონდომებას თუ გავითვალისწინებთ, უნდა ვირწმუნოთ, რომ ნინო ანაკიძე ოცნებას აისრულებს.*

**ვაჟა დანელია.**

◉ ჭრელაჭრულა

## ფეხბურთელობა სახიფათო პროფესიაა?!

**როგორც ფაქტები მოწმობენ, აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში ფეხბურთელობა ნამდვილად საშიში პროფესიაა. არა მარტო კარიერის თვალსაზრისით, არამედ სიცოცხლისათვისაც. თუ ფეხბურთელს მინდორზე შემთხვევით მეხი არ დაეცა, როგორც ეს მოხდა სამხრეთ აფრიკაში, როდესაც ფეხბურთელს ბუნების რისხვა დაატყდა, მაშინ, შეიძლება, კოლეგამ, მეტოქემ, გულშემატკივარმა, ანდა, უბრალოდ, რომელიღაც ბოროტმოქმედმა მოუღოს ბოლო.**



მაგალითად, ჰონდურასის სასამართლომ კლუბ „პლატას“ მეკარეს რომას მელენდესს 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა თავისი თანაკლუბელის ხორხე ეპინოსის მკვლელობისათვის. ეს მოხდა 2003 წლის 31 ივლისს.

სამშობლოში, ბრაზილიაში მოკლეს შვეიცარიის „ციურიხის“ ფორვარდი კლეონისიო დოს სანტოს სილვა, რენატოდ რომ იცნობდნენ. უცნობი ბანდიტები მას თავს დაესხნენ რიო-დეჟანეიროს გარეუბანში, სადაც მეგობარ ქალთან ერთად იმყოფებოდა და მანქანის წართმევა მოუნდომეს.

ორშაბათს კი აფრიკის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ბენინის დედაქალაქში გარდაიცვალა ამ ქვეყნის ნაკრების მეკარე ისეო უფუ სამიოუ. კვირას 17 წლის ფეხბურთელი სასიკვდილოდ სცემეს.

## აუდიენციაზე რომის პაპთან

**ვატიკანში რომის პაპმა იოანე პავლე II მიიღო „ფორმულა-1“ – კლასის შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერი და მისი გუნდის „ფერარის“ თავკაცები.**

აუდიენციის დროს ცნობილმა იტალიურმა ავტომშენებელმა კომპანიამ რომის პაპს საჩუქრად გადასცა იმ ბოლიდის შემცირებული მოდელი (1:5), რომლითაც შუმახერმა თავისი მეშვიდე ტიტული მოიგო.

როგორც ჟურნალისტებს „ფერარის“ პრეზიდენტმა ლუკა კორდერო დი მონტეძემოლომ ჯერ კიდევ შარშან განუცხადა, მათი ფირმა რომის პაპს



აჩუქებს ნამდვილ სარბოლე მანქანას, რომლის საჭესთანაც ის 1988 წელს იჯდა. ახლა იოანე პავლე II ნამდვილად აქვს თავისი „ფერარი“.

## მარია შარაპოვა – მოსკოვის ელჩი

**დიახ, რუსული ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავს მარია შარაპოვას ეს წოდება მიანიჭეს, რათა მან სხვა ცნობილ სპორტსმენებთან ერთად შეძლოს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მოსკოვში „ჩატანა“.**



„თუკი მოსკოვი გახდება 2012 წლის ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების დედაქალაქი, მაშინ ასრულდება ჩემი და მილიონობით რუსეთელის ოცნება“, – თქვა მარიამ.

მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა კი თქვა: „ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ მარია – ახალგაზრდა მოკაშკაშე ვარსკვლავი მსოფლიო სპორტული ცის კამარაზე – დათანხმდა, გახდეს ჩვენი განაცხადის საერთაშორისო ელჩი. ის მშვენიერი მაგალითია იმისა, თუ რის შეთავაზება შეუძლია რუსეთს მსოფლიოსათვის. ის იდეალური სიმბოლოა „მოსკოვი-2012“ის საგანაცხადო კომიტეტისა“.

აღსანიშნავია, რომ მარიამ გამარჯვებით დაიწყო ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე ასპარეზობა. მან პირველ ტურში დაამარცხა ბულგარელი კარატანჩევა – 6:3, 6:1.

* * *

პირველსავე ტურში ხელი მოეცარა ჩვენებურ ირაკლი ლაბაძეს. ის ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე მსოფლიო რეიტინგით მეორე ჩოგანოსანთან, ამერიკელ ენდი როდიკთან დამარცხდა.

## ლამაზმანი მოკრივე

**ეს ლამაზმანი, ფოტოსურათიდან რომ შემოგვცქერის, გერმანიაში ყველაზე ცნობილი მოკრივე რეგინა ჰალმიხია, რომელსაც ბევრი გერმანული სპორტის სიმბოლოდ მიიჩნევს.**

ამას წინათ მან დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დომინიკის რესპუბლიკის წარმომადგენელთან.



28 წლის რეგინამ კარიერაში უკვე 47 ბრძოლა გამართა და სამართლიანადაა აღიარებული პლანეტის საუკეთესო სპორტსმენ ქალად. ის თავის ქალურ მომხიბვლელობას მშვენივრად იყენებს რინგს მიღმაც.

თვით რეგინას განცხადებით, მას მაცდური წინადადებები არ აკლია. „ვფიქრობ, მალე ხელთათმანებს გამოვეთხოვები. იმიტომ, რომ რინგის გარეთ გაცილებით მეტს ვშოულობ, რინგზე ფულის გულისთვის როდი ვიბრძვი. ეს სულის ძახილია“.

## განცხადება

სს „ხრამჰესი I“ იტყობინება, რომ 2005 წლის 9 თებერვალს, 10 სთ-ზე ტარდება აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება, მისამართზე: ქ. თბილისი, ვანის ქ. № 3.

დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. აუდიტორის არჩევა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
3. სხვადასხვა.

## განცხადება

სს “ხრამჰესი II” იტყობინება, რომ 2005 წლის 9 თებერვალს, 12 სთ-ზე ტარდება აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება, მისამართზე: ქ. თბილისი, ვანის ქ. № 3.

დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. აუდიტორის არჩევა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
3. სხვადასხვა.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 14, ოთხშაბათი, 19 იანვარი, 2005 წელი.

## ალბომი

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



და-ძმა ნათია და გიორგი ხორგუაშვილები, მწერალ გიორგი ხორგუაშვილის შვილიშვილები. გადაღებულია 1989 წელს.
ახლა ორივენი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან.

მოგვაწოდა ია გოგიბედაშვილმა.

## რეპლიკა

# ქვისლი სხვაა, მძახალი სხვაა...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთ-ერთ ამასწინანდელ ნომერში, ბოლო, მერვე გვერდზე რუბრიკის „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ ქვეშ დაბეჭდილია ორი ახალგაზრდის – გოგოსი და ბიჭის ნათელი, მშვენიერი სურათი. ბიჭს მოფერებითა და სიყვარულით გადაუხვევია გოგოსთვის ხელი, ლოყა ლოყასთვის მიუდვია და კეთილი, ბავშვური უბრყვილო ღიმილი დასთამაშებთ სახეზე, თვალებიც სიხარულით გაცისკროვნებიათ, გოგო უფრო გამეტებით იღიმება და მეტ სითბოს გამოსცემს. მაშინვე მიხვდებით, რომ ძალიან მახლობელნი არიან, და-ძმა თუ არა, სისხლისმიერი მოჯიგრენი უნდა იყვნენ და არც შეცდებით.

სურათს ქვეშ აქვს წარწერა:

**„ბიძაშვილები: გოგი აბაშიძე – კიტა აბაშიძის ვაჟი და დალი გერსამია – ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილი (ბატონი ივანე და კიტა მძახლები გახდნენ. მათი მეუღლეები ორბელიანები იყვნენ). გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლები.**

**მოგვაწოდა რევაზ ტყემალაძემ.“**

ბატონ რევაზს კარგი უქნია, რომ სახელოვან პიროვნებათა შთამომავლები წარმოუჩენია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ მცდარ ინფორმაციას აწვდის მკითხველს, კარგად ვერ გარკვეულა კიტა აბაშიძე და ივანე ჯავახიშვილი რანი იყვნენ ერთმანეთის.

კიტა აბაშიძესა და ივანე ჯავახიშვილს ცოლებად ჰყავდათ დები ორბელიანები. კიტას მეუღლეს თეკლე ერქვა, ივანესას – ანასტასია. ამდენად, კიტა აბაშიძე და ივანე ჯავახიშვილი იყვნენ **ქვისლები** და არა **მძახლები.**

ამჯერადაც შევეკითხოთ სიტყვის პაპას – სულხან-საბა ორბელიანს.

„მძახალი – სიძე-რძალთ მამა-დედანი , რძლისა და სიძის მამა-დედანი“.

ანუ მშობლები.

„ქვისლი – ორთა დათა ქმარნი – ქვისლნი არიან და ორთა ძმათა ცოლნი შილი არიან“.

შილს – „მაზლის ცოლი“ – იქვე მარტავს საბა.

(შილი მშვენიერი ქართული სიტყვაა, მაზლის ცოლს რომ ესინონიმება. ურიგო არ იქნება, რომ კვლავ გაცოცხლდეს და ამოქმედდეს ეს მივიწყებული შუმი ქართული სიტყვა).

თანამედროვე განმარტებით ლექსიკონში საბასეულად არის განმარტებული ორივე სიტყვა.

**„მძახალი** – ერთ-ერთი მეუღლის მშობელი მეორე მეუღლის მიმართ“.

**„ქვისლი** – ცოლის დის ქმარი“ – განმარტებულია დიდ ლექსიკონშიც...

მაშასადამე, კიტა აბაშიძე და ივანე ჯავახიშვილი **ქვისლები** ყოფილან ერთმანეთისა და არა **მძახლები.**

**გიორგი ხორგუაშვილი.**

პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდი

„იავნანა“

**2005 წლის 20 იანვარს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში წარმოგიდგენთ**



**ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძის**

**საქველმოქმედო კონცერტს.**

**დასაწყისი 19 სთ.**

**ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში.**

**შემოსავალი მთლიანად გადაირიცხება ობოლ და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდში.**

„ერთად გადავარჩინოთ მომავალი“.

## ცოტაც გავიღიმოთ...



ვინც მეგობარი იპოვა, მან განძი იპოვა, ხოლო ვინც განძი იპოვა, ის უკვე მეგობარს არ ეძებს.

* * *

— გუშინ ქმარი მივლინებაში გავაცილე. მის კუპეში ისეთი მახინჯი ქალი იჯდა! — ეუბნება დადარდიანებული დაშა დაქალს.

— მერე რა გადარდებს? თუ ასეთი შეუხედავია, შენთვის უკეთესი არ არის?

— მასე გეგონოს. ჩემსას იმდენი არაყი მიაქვს, რომ...

* * *

— ქალიშვილო, ქალიშვილო, რა გქვიათ?

— ინა...

— სრულად მითხარით სახელი...

— ინოკენტი!

* * *

ქმარი ძალიან გვიან და ძალზე გაბრაზებული დაბრუნდა სახლში. სწრაფად ივახშმა, ლოგინში შეძვრა და ცოლს დაუწყო ალერსი.

— ძვირფასო, ჩემთვის დღეს არ შეიძლება, — ნაზად უძალიანდება ცოლი.

— გადამრევთ ქალები, თქვენ რა, პირი შეკარით?

* * *

ტიპმა უნივერსიტეტი დაამთავრა, დაიწყო ფულის კეთება და მაშინვე აღმოაჩინა, რომ ფულის კეთება თურმე ხუთი წლის წინათაც შეეძლო!

* * *

— წიგნი უნდა დავწერო, — ამბობს ტიპი.

— რატომ?

— წასაკითხი არაფერია.

* * *

უკანასკნელი გამოკვლევების თანახმად, ფეხები თურმე მარტო მგელს კი არა, მანეკენ ქალებსაც კვებავენ.

## ჭირია თუ ლხინია...

# რა ყრია ლოთობაში?

**ჯერ ახალი ახალი წელიო, მერე – შობაო, მერე ძველი ახალი წელიო... აქეთ ოჯახი, იქით სამსახური... ხან ნათესავი, ხან – ძმაკაცი, ხან – თანამშრომელი... ორი ჭიქა ერთგან, ორი მეორეგან, ორიც მესამეგან და... ამ ჰიპერტონიკს მეტი აღარც მინდა. 15 დღეა, გამოჭუკებული მივდივარ სახლში. ეგერ, გუშინაც მაგრად გამოვტყვერი. თავი მისკდება, გული მეკუმშება, მაჯა მივარდება. ფიქრის ონსილაც კი გამიწყდა, – ან ცოლს რა ვუთხრა, ან რედაქტორს...**

* * *

კარი გაიღო და საძინებელში ჩემი ცოლი შემოვიდა ჩვენი ორი ღლაპითა და გეოგრაფიის რუკის საჩვენებელი ჯოხით. ბავშვები კედელთანააყუდა, ოდნავ ჩაახველა და პატარებს მიმართა:

– ბიჭებო! მე ახლა წაგიკითხავთ ლექციას ლოთობაზე. კონკრეტულ ფაქტად და თვალსაჩინოების მაგალითად მამათქვენი გამოდგება. წუხელ 3 საათზე მოგვადგა გალეწილი, გათხუპნული, ენაჩაგდებული, თვალებგადმოკარკლული, დუჟმორეული...

– რას მიშვრები ფატი, ბავშვებთან ყელსა მჭრი? – ძლივს ამოვილუღლუღე.

– შენ ყელი ყველასთან გამომჭერი: – ბავშვებთანაც, თანამშრომლებთანაც, ნათესავებთანაც, მეზობლებთანაც, მეგობრებთანაც...

– გეხვეწები, მეტს ნუღა გააგრძელებ, თავი მისკდება!

– თავი კი არა, მუცელი უნდა გაგისკდეს, მუცელი, – მკვახედ მომახალა და ბავშვებს მიუბრუნდა. – მაშ ასე, დავიწყოთ:

– კაცობრიობის ერთი უგუნური ნაწილი უძველესი დროიდან ეტანება მათრობელა, გამაბრუებელ სასმელებსა და ნივთიერებებს. ღვინოს, არაყსა და სპირტს უზომოდ იმთავითვე ყველა რეგვენი და უტვინო, უპატრონო და უპატიოსნო სვამდა. ძველ ეგვიპტეში მათი სახეები ქვებზედაც კი იყო ამოკვეთილი სხვათა დასაცინად და გასამასხარავებლად.

ბერძენი ისტორიკოსის პლუტარქეს მიხედვით ერთი ასეთთაგანი იყო ვინმე პრომაქე, რომელმაც ალექსანდრე მაკედონელის მიერ გამართულ ღვინის სმის შეჯიბრში გაიმარჯვა. მან ოთხი ვეებერთელა ფიალა დაცალა და ჯილდოდ კაი ძვირფასი გვირგვინი დაიმსახურა. სამწუხაროდ, იმ უბედურმა სამი დღეღა იცოცხლა. ამ შეჯიბრში დაიღუპა 41 კაცი. ეს დებილიც რომ იმ პერიოდს მოსწრებოდა, – აქ გეოგრაფიის რუკის ჯოხი ცოლმა ჩემსკენ გამოიშვირა, – ეჭვიც არ მეპარება, აუცილებლად 42-ე ეგ იქნებოდა.

– რას ამბობ, ქალო, გაგიჟდი?

– ჰმ, მე გავგიჟდი? გიჟობა ლოთობის ბოლოა. აბა, ბიჭებო, ყური დამიგდეთ, – ახლა შვილებს მიუბრუნდა ჩემი ცოლი, – ლოთობის უმძიმეს შედეგებს იმთავითვე აანალიზებდნენ მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნები. გერმანიის სამკურნალო დაწესებულებებში თვალი ადევნეს 10.360 ლოთს. გაძლიერებული მკურნალობის მიუხედავად, გარდაიცვალა 1.335 კაცი. 500-მა თავი მოიკლა, ამდენივე კი ჭკუიდან შეიშალა. ოჰ, ღმერთო, – და ჩემმა მეუღლემ ხელები მაღლა აღმართა, – აქამდე მაგის ხელფასის მომატებას გევედრებოდი და, მოდი, ახლა წნევა მოუმატე, სული გააფრთხობინე ამ სალახანას. ამისთანა ცოცხალს მკვდარი არ მირჩევნია?

– ჩემო ფატი, – ცოტა მოვეფერე ცოლს, – ოღონდ გაჩუმდი და ავდგები, დაგიჩოქებ, კაბაზე გემთხვევი!

– ვის უნდა ემთხვიო მაგ აყროლებული პირით, შე დამთხვეულო შენა! ხომ ხედავ, რომ კილომეტრზე გა-



გირბივარ! შენი კი არა, საკუთარი თავიც შემაძულე. მე თუ არ გენაღვლებოდი, ბავშვების ცოდო რაღაზე დაიდე?

– რა შუაში არიან, ქალო, ბავშვები?

– ჰმ, რა შუაში არიან! საფრანგეთში სპეციალურად თვალყური ადევნეს ლოთი მშობლების შთამომავლებს. 419 ბავშვიდან 16 მკვდარი დაიბადა, 37 – უდღეური, 38 – განუვითარებელი, 55 – ტუბერკულოზით, 125 – სულიერად დაავადებული, 121 – ნაადრევად გარდაიცვალა... ჩემი გამწლიკული დედამთილი ყოველდღე მეჩიჩინება, – მესამეც გააჩინეო. ვისგან გავაჩინო, ამ ლოთისგან? მე კი არა, ქალღმერთ იუნონას კოჭლი ვულკანი სწორედ მთვრალი იუპიტერისგან შეეძინა! თუ ამ ბავშვებს ოდნავ რაიმე წამოსტკივდათ, – იცოდე, საიქიოში გაგისტუმრებთ შენცა და შენს თანამეინახეებსაც...

– იმათ რაღა დაგიშავეს?

– სწორედ იმათ უნდა ვადინო ცხვირიდან ძმარი.

– აუჰ, კარგი რა, ქალი არა ხარ?

– ქალი ვარ, დიახ! თქვენ ქალების მეტი ოინს ვერავინ გიზამთ! 1886 წელს ჩიკაგოში სწორედ ქალებმა ჩამოაყალიბეს ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება. 1901 წელს კანზასში სწორედ ქალებმა დაარბიეს რესტორნები და კარგად მიტყეპეს მათი მეპატრონეებიც და ალკოჰოლის მუდმივი კლიენტებიც.

ოხ, ერთი პატრული მაინც როგორ არ წაგაწყდა წუხელ. იტალიაში მთვრალებს 3 კვირით აპატიმრებენ, არგენტინაში ქუჩებს ახვეტინებენ. ამერიკაში პრეზიდენტ ბუშის გოგონებს ბარში ლუდის წრუპვისთვის ახეხინეს საკნები და ამ გლეხუჭა შაქროს ბიჭს სამსახურში არყის ყლუპვისთვის არაფერს ეუბნებიან?

– გეყოფა, ჩემო ფატი, შემიბრალე!

– მე შეგიბრალო? შენ შეიბრალე შენი თავი! – ბავშვებო, – ისევ შვილებს მიუტრიალდა ჩემი ცოლი, – ლოთობა იწვევს სხვადასხვა რთულ ავადმყოფობას, – ატროფიას, გულის კუნთის გადაგვარებას, კუჭის გახეთქვას, სისხლძარღვთა სკლეროზს, ღვიძლის ციროზს, ინფარქტს, ფსიქოზს... ყოველი 200 გრამი სუფთა ალკოჰოლი თავის ტვინის 17 მილიონამდე უჯრედს სპობს. წუხელ მაგას 5 ბოთლი მაინც ექნებოდა დალეული. ახლა გეკითხებით: დარჩებოდაღა თავში რაიმე ჭკუა?

– ფატი!

– რა, რა, რა ფატი! აკადემიკოსი ლანდაუ აღნიშნავდა, რომ ერთი ჭიქა ღვინო მას ორი თვით ართმევდა აბსტრაქტული აზროვნების უნარს. შენ რას გიზამს ერთდროულად ჩახეთქილი, ალბათ, 30 ჭიქა? ხელფასი გაგინახევრეს, ხელშეკრულებით თვეში ოთხი სტატიის მომზადება დაგავალეს და იმასაც ვეღარ ახერხებ. კაცი ხარ ახლა შენ?

– აბა, რა ვარ, ქალო?

– კაცი ოჯახს ინახავს, შვილებს პატრონობს, მშობლებს კითხულობს... შენ? ჭიქა გელანდება დღე და ღამე. მაგას ელაციცები, მაგას ეფერები. წამოდით, ბავშვებო, – მიმართა ბიჭებს ჩემმა ცოლმა, – ეს გაკვეთილი იყოს თქვენთვისაც. დაიმახსოვრეთ: ლოთი კაცი ყოველნაირ ბოროტებას სჩადის. ბოროტების ჩამდენი კი არც მამად ვარგა და არც შვილად!

* * *

როგორც იქნა, ლოგინიდან წამოვდექი. რაუნატინიც დავლიე, ადელფანიც, ბორჯომიც, კოკა-კოლაც... წავჩანჩალდი სამსახურში. მთელი დღე ვიწრიალე, თავი ვერაფერს მოვაბი. ჩემს გამოლანძღვაზე იმდენს არ ვფიქრობდი, რაც ფატის გაწიწმატებაზე, ბავშვების წინაშე თავის მოჭრაზე...

სამსახურის დამთავრების შემდეგ ფეხი ავითრიე, ხან სად შევუხვიე, ხან სად. აღარ მინდოდა ოჯახში შესვლა, რომელიმესთვის თვალებში შეხედვა. ბავშვებს კიდევ მოვუხერხებდი რაღაცას, მაგრამ ცოლის შეკრულ შუბლს რა გახსნიდა!

ზარი დავრეკე თუ არა, კარი გაიღო და ფატი ყელზე ჩამომეკიდა:

– სად დაიკარგე, კაცო, რა თვალები დაგვაწყვიტე, მომილოცე!

– დაგაწინაურეს? – ამოვღერღე ერთი სიტყვა.

– არა, დღეს სოროსის ფონდში კონკურსი ტარდებოდა ლოთობის მავნეობაზე. ჩემმა პროექტმა ყველას აჯობა. 1000 დოლარს ავიღებ, ცოტა შენს დაგროვილ ვალებს გავისტუმრებ. ისე, ძალიან გამომადგა დილანდელი გენერალური რეპეტიცია...

**ბონდო გულიაშვილი.**

## ნინო რამიშვილის დაბადების 95 წლისთავი

# [illegible]

## ცოცხალ ლეგენდებს ლეგენდები მოჰყვებათ მემკვიდრეობად...

(პირველი გვერდიდან)

...მთელი მსოფლიო ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს ფეხზე ადგომით ეგებებოდა... ყველა აღფრთოვანებულ სიტყვებს ესროდა... ცოცხალი ლეგენდების ცოცხალი შედევრებით „ქართული ნაციონალური ბალეტი“ პარიზში, რომში, ლონდონში, ჟენევაში, მილანსა... თუ კოპენჰაგენში საოცარ ეფექტს ახდენდა... დასის ტრიუმფული გამოსვლები „ლა სკალაში“, „კოვენგარდენსა“ თუ „გრანდ ოპერაში“ დიდხანს გრძელდებოდა, თუმც საერთო ვნებათაღელვა არ ცხრებოდა... თეატრების ფარდა მრავალჯერ იხსნებოდა, იხურებოდა, მაგრამ რესპექტაბელური მაყურებელი ადგილიდან არ იძვრებოდა... ხელები რომ აღარ ემორჩილებოდა, ფეხებს აბრახუნებდა და ბრწყინვალე მაესტროებს ავანსცენაზე უხმობდა... და როცა ულამაზესი მოცეკვავეების გარემოცვაში დიდი ნინო და დიდი ილიკო გამოჩნდებოდნენ, დარბაზი ერთიანად ინგრეოდა, ქართული გენი კი ყვავილების ზღვაში იძირებოდა.



უცხო მიწაზე, ალბათ, მარტო ქართველებს შეეძლოთ ამგვარი ფურორი მოეხდინათ... და ეს იყო მაშინ, როცა საქართველო ბიუროკრატიულ ბორკილებს ატარებდა და დაკარგული სუვერენიტეტის აღდგენაზე ოცნებობდა... სცენაზე კი იშლებოდა ქართველთა ეთნოგრაფია, ეთნოეთიკა, ეთნოკულტურა... ანუ ქართველთა სულის ისტორია, რომელიც გალაქტიკამ სანიმუშო შედევრად აღიარა და ნინოს და ილიკოს უკვდავსაყოფად, „უდიდესთა შორის უდიდესნი“ უწოდა...

ბუნებრივია, მათი ნოვატორული ქორეოგრაფია ესთეტიკურ შემფასებელთა კალეიდოსკოპურად ჭრელ, იერარქიულ შთაბეჭდილებებს ბადებდა, უფრო მეტიც, ქორეოლოგთა დაბნეულობასაც კი იწვევდა... მაგრამ ნაციონალური ბალეტის ასკეტურ კონსტრუქციაში „სუხიშვილისეული“ ჩამოქნილი პლასტები ხმაურით ჩნდებოდა და დიდი ილიკოსეული ფრაზებიც კი უკომპრომისოდ მძვინვარებდა.

ნინო რამიშვილი საუკუნის დასაწყისში დაიბადა და თითქმის მთელი საუკუნე იცხოვრა... ცოტაც რომ დასცლოდა, დღეს 95 წელი შეუსრულდებოდა... მაგრამ მაინც, ცოცხალი ლეგენდა დღესაც ცოცხლობს... ლეგენდებს ძეგლებს უდგამენ, დავუდგათ ჩვენც ძეგლი ამ ორ ლეგენდას!

**მზეხა მახარაძე.**

## თითქმის ნატურიდან

# ოპოზიცია

სწორედ ამაზე იტყვიან, შარი ძალად აიკიდაო. ჭკუა რომ მეხმარა და მწერალთა კავშირში არ შევსულიყავი, არც ეს აბეზარა ოპოზიცია ამედევნებოდა.

ყველაფერი გუბაზის ბრალია, აქაოდა მწერალი ვარო, ჩემი გამწერლებაც მოიწადინა. ადრევე ჩამჩიჩინებდა – მწერლობისკენ მიდრეკილი ჟურნალისტი ხარო, ახლა კი კატეგორიულად მომთხოვა: როდემდე უნდა იარო ასე მიდრეკილ-გადაზნექილმა, დაწერე განცხადება და შემოდი!

– სადა, კაცო, – ვიუარე, – მწერალთა კავშირიდან სხვები გადიან და მე შემოვიდე?

– მერე, რატომ გადიან?

– თვეში რაღაც 22 ლარს აძლევდნენ, ეგეც შეუწყვიტეს და ლატლაკინა კავშირი ვის რად უნდა?

– აი, სწორედ ეს მომენტი უნდა გამოიყენო!

– რა მომენტი?

– ვერ ხვდები? ირგვლივ რომ აღარავინ დარჩება, შეიძლება კავშირის თავმჯდომარეობასაც გამოჰკრა ხელი.

– რად მინდა მაგნაირი თავმჯდომარეობა, თუ დასაჯდომი არ მექნება?

– რა დასაჯდომზეა ლაპარაკი?

– დაგავიწყდა, მწერლებს სასახლეს რომ უყიდიან!

– შე დალოცვილო, თუ ფული გექნება, სულაც შინ დაჯექი, ვინ დაგემდურება?

– მერე, ფული საიდან?

– სასახლიდან. თუ გაყიდეს, წილში ჩაუჯდები!

ეს აზრი, ეტყობა, გუბაზს თავადაც მოეწონა (ჩემთან წილში ჩაჯდება) და მწერალთა შეკრებებზე, საიუბილეო თარიღებსა და წვეულებებზე ისე არ წავა, მეც ხელს არ გამაყოლოს. სუფრასთანაც ერთ ამბავშია, ჩემს სადღეგრძელოს გამორჩეულად სვამს და ქება-დიდებას მასხამს.

– ასეა საჭირო, – მეუბნება, – დაწინაურება თუ გინდა, მწერლებმა ახლოს უნდა გაგიცნონ.

დაწინაურებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ოპოზიცია კი გადამკიდა. ჩემს წინააღმდეგ გაერთიანდნენ როგორც ჟურნალისტები, ისე მწერლები. პირველნი ფიქრობენ, რომ ჟურნალისტიკას ვუღალატე, მეორენი – მწერლობას მივეტმასნე.

მე კიდევ არაფერი, ჩემი ოპონენტები თავად გუბაზსაც უტევენ:

– რა უნდოდა, დატეულიყო ჟურნალისტიკაში, არ ერჩივნა? – უსაყვედურა მას ერთმა კალამხმიანმა ჟურნალისტმა.

– ვთქვათ, ნაპირებიდან გადმოვიდა, ბოსტანი ხომ არ დაგიზიანა?

– ვერ ვიტან, როცა დაუმსახურებლად აქებ. ეს უფრო შაყირს ჰგავს, ვიდრე რეალობას.

– ვიცი, საითაც ისვრი, მაგრამ ვერ მოარტყამ, – მოუჭრა გუბაზმა, – დიდი თავი გაქვს და ჩვენი მეგობრობის ღობეში ვერ გაეტევი...

მანამდე გუბაზი ჩემი გულისთვის ერთ პოეტ ქალსაც დაეტაკა.

– მე ლირიკოსი ვარ და ჩემს გვერდით ასეთ პროზაიკოს-ნატურალისტებს ვერ ავიტან, – განუცხადა მან გუბაზს.

– „ნატურიდან“ რომ წერს, ეგ არ მოგწონს?

– რა თქმა უნდა, სად ჩემი ლირიკა და სად მაგის „ნატურა“!

– აი, მაგდენიც არ გაგეგება, დღეს მკითხველი მწერლობაში უფრო მეტად ნატურალიზმს ეტანება.

– კრიმანჭული ვერ გიშველით, – გაწიწმატდა პოეტი, – ორივეს სასამართლოში გიჩივლებთ.

– კაი კურდღელსაც დაიჭერ! – არ დაიბნა გუბაზი, – იქ უფრო მსხვილი „ნატურალისტები“ სხედან.

ამის საპირისპირო ამბებიც ხდება. ამას წინათ ერთმა ავტორიტეტულმა ჟურნალისტმა, მაგალითად, თავის სტატიაში ჩემი გვარი გამორჩენილი ქართველი მწერლების გვერდით მოიხსენია. ამან, ცოტა არ იყოს უხერხულობაში ჩამაგდო. სიმართლე გითხრათ, გულიც მომივიდა:

– რას გავს ეს? – შევჩივლე გუბაზს.

– გაჩუმდი, – მირჩია მან, – უნდა ისწავლო ქების შეშვენევა, ეს მომავალში გამოგადგება.

– რაში გამომადგება?

– მალე მწერლობაში რეფორმას ჩაატარებენ, ხალხი გაიცხრილება, შენ კი ხელთ მშვენიერი დამცავი დოკუმენტი გექნება.



– როგორ ფიქრობ, ვინც დავრჩებით, ხელფასს დაგვინიშნავენ?

– რა თქმა უნდა, რეფორმა სწორედ ამისთვის ტარდება. უფრო უკეთესი იქნება, თუ მწერალთა კავშირში მთავრობის წევრებსაც მოვიზიდავთ.

– ვითომ სჭირდებათ?

– მათ არა, ჩვენ გვჭირდება – თვითონ რომ ორი ათასები დაირტყეს, ჩვენ ათას-ათასს მაინც გადმოგვიგდებენ.

– კარგია, – მოვუწონე, – ჩვენ ფული გაგვიჩნდება, იმათ კი – ოპოზიცია. მთავრობას მწერალთა კავშირში რომ დაიგულებენ, ნახე, რა მკაცრი და პირუთვნელი ოპოზიცია დაუპირისპირდება.

– აბა რა, – კვერი დამიკრა გუბაზმა, – თვითონაც ხომ სულ ამას ნატრობენ!

**ოთარ ხუციშვილი.**

## დღის კალენდარი 19 იანვრისთვის

ამოდის 07.24
ჩადის 16.59
(ამოდის 12.09, ჩადის 02.20

**წლის მე-19 დღე, ახალ წლამდე დარჩა 346 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

**ნათლისღება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. განცხადება. დიდი აიაზმა.**

**დაიბადნენ:**

**1736 – ჯეიმს ვატი,** დიდი შოტლანდიელი გამომგონებელი, ორთქლის ძრავის შემქმნელი. გარდაიცვალა 1819 წელს.

**1747 – იოჰან ბოდე,** გამოჩენილი გერმანელი ასტრონომი. გარდაიცვალა 1826 წელს.

**1809 – ედგარ ალან პო,** ამერიკელი მწერალი. გარდაიცვალა 1849 წელს.

**1839 – პოლ სეზანი,** ცნობილი ფრანგი მხატვარი. გარდაიცვალა 1906 წელს.

**1848 – ჰერმან კრეჩმარი,** გერმანელი მუსიკათმცოდნე, დირიჟორი. გარდაიცვალა 1924 წელს.

**1865 – ვალენტინ სეროვი,** რუსი მხატვარი. გარდაიცვალა 1911 წელს.

**1905 – არჩილ ჩხარტიშვილი,** თეატრალური რეჟისორი. გარდაიცვალა 1980 წელს.

**1910 – ნინო რამიშვილი,** – ქართული ნაციონალური ბალეტის ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 2000 წელს.

**1912 – ლეონიდ კანტოროვიჩი,** რუსეთელი მათემატიკოსი და ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1986 წელს.

**1920 – ხავიერ პერეს დე კუელიარი,** პერუელი დიპლომატი, გაეროს გენერალური მდივანი 1981-1991 წლებში.

**მედია-ნიუსი.**

საქციო საზოგადოება „ეგრისის“ აქციონერები და თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამავე საზოგადოების თანამშრომელს თამარ ჩხაიძეს დედის

ნარგიზი რამიშვილის

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა 20 I, 14 სთ. ოზურგეთის რ-ნი, სოფ. ნაგომარი.

---

გამომცემლობები „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ თანაუგრძნობენ ანა და ეთერ კვანჭიანებს მამის

შალვა კვანჭიანის

გარდაცვალების გამო.

**გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 21 იანვარს.**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika